

დ ა ვ ი თ ბ რ ე ა უ რ ი

აფხაზეთის კონფლიქტის
გადაჭრის გზა
ეკონომიკაზე გადის



„ეროვნული მწერლობა“
თბილისი
2006

წიგნში მოცემულია აფხაზეთის კონფლიქტის არსის, შედეგებისა და მისი დაძლევის გზების ეკონომიკური ასპექტები. აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირება თითოეული ნვენგანის – დუენილის და არადუენილის – სულიერი ტკივილი და ხისხლის ყვილია.

წარმოდგენილი ნაშრომით, ავტორი შეეცადა მკითხველისთვის ენვენებინა კონფლიქტის მოგვარების საკითხში ეკონომიკური გზების უპირატესობა, რაც ქართველი და აფხაზი საზოგადოების თანაცხოვრების შესაძლებლობას იძლევა.

ავტორი გამოხატავს მადლიერების გრძნობას მათ მიმართ, ვინც გამოთქვა საქმიანი შენიშვნები და მხარი დაუჭირა წიგნის შექმნის იდეას.

წიგნი განკუთვნილია საკითხავად საზოგადოების ფართე ფენებისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი — პროფესორი
გივი გამსახურდია

რედაქტორი – ლალი ბრეგვაძე-კახიანი

სამეცნიერო კონსულტანტი – გელა სულაძე
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

რევენსენტი – პროფესორი ელგუჯა მექვაბიშივილი

ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს მიერ ქრისტეს ნათლით გაბრწყინებულ და ათთა ბევრთა და სხვათა მრავალ მოწამეთა სისხლით მორწყულ; დროშავ სვიანო, უძლეველო, გორგასლიანო, დავითიან-თამარიანო: საიდუმლოთა დიდთა დამტკუნელო, ღვთაებრივი სიყვარულის თანაზიარო, სულო ქართულო, უტკბილესო ჩანგო ჩვენო, მრავალხმიანო.

მე მჯერა, რომ მალე დადგება ის დრო, როცა საქართველო გამთლიანდება, როცა ჩვენ ვიზიჟიმებთ საქართველოს მოღლიანობას აფხაზეთში, სამანაბლოში, როცა ჩვენ ვიხილავთ გამთლიანებულ საქართველოსა და გაერთიანებულ ერს.

შეურყენელი იდექ მტკიცედ, უფალი შენთანა! გწამდეს გიყვარდეს, სოესე სიკეთე და დასტკბი სულოთა შენის შრომის ნაყოფით, რათა იყო ერთიანი და მთლიანი და იხარო ორთავე სოფელსა შინა. ამინ!

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

მქონდა ბედნიერება, მისი შექმნის პირველივე ფურცლებიდან, გაეცნობოდი უდაოდ ნიჭიერი ახალგაზრდის და პერსპექტიული მეცნიერის ბატონ დავით გონდაურის შესანიშნავ ნაშრომს, რომელიც საკითხთა აქტუალობის გამო, სასოგადოებრიობისა და მეცნიერთა ფართე წრის დიდ ყურადღებას მიიპყრობს.

მისასალმებელია ის გარემოება, რომ მისი თაობის ახალგაზრდობის ღირსეული წარმომადგენელი, რომლისთვისაც საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში წარმოქმნილი კონფლიქტები ბავშვობის მწარე სისმარია, საქართველოს გამთლიანებას, ერის სულიერ და სწავლადივ ამაღლებას მშვიდობიან გზაში – ქვეყნის ეკონომიკურ აღმაშენებაში ხელდავს და ცდილობს თავის მიკრძალვულ ნაშრომში აზის მეცნიერულ მტკიცებას, ცდილობს და გამოხდის კიდევც ნაშრომის უმთავრესი ღირსებაც სწორედ ამაშია.

წარმოდგენილ ნაშრომში რომ ავტორის დიდი შრომაა ჩადებული მოწმობს მისი ყოველი თავი, აბსაჯი თუ სტრიქონი. ბატონი დავითი არ თავილობს ცნობილ მეცნიერთა და პუბლიცისტთა მოსაზრებების გაზიარებას და საკუთარ ინტუიციასუ და ცოდნასუ დაყრდნობით ცდილობს მკითხველს აჩვენოს კონფლიქტების მოგვარების საკითხში მშვიდობიანი გზების უპირატესობა და ეკონომიკური ბერკეტებით საქართველოს განდგომილი რეგიონების შემოფერებების პერსპექტივა და ამ გზით საქართველოში მცხოვრები ერების მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობა.

ღირსეულ ოჯახში აღზრდილი, ცნობილი ქართველი პედაგოგის, სახალხო მასწავლებლის დიდი დავით გონდაურის შვილიშვილისგან სხვაგვარ არსიეანს არც უნდა ველოდეთ. გზა, რომელიც მან აირჩია ეკლიანი და ძნელად საკალია, თუმცა, სამყაროს შეცნობისაკენ სწრაფვა საპატიო და საპასუხისმგებლოა.

მაშ, ვუსურვოთ ბატონ დავითს ამ გზასუ ღირსეულად და წარმატებით სიარული ჩუენი სამშობლოს და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

ბელო სულაძე

საქართველოს სახელმწიფო პრემიის ღაურეატი
მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პუბლიცისტი
23 ივლისი 2006წ.

აფხაზი ხალხი, ისევე როგორც მეგრელი, სეანი თუ კახელი, ისტორიულად, ინსტიტუციონალურად ნამოყალიბდა როგორც ერთიანი ქართველი ვრი თვითიდენტიფიკაციის მძლავრი მითოლოგიური საფუძველით – ქართლოსის შვილები, რომლებმაც ამ ეროვნული ერთიანობისათვის ხანგრძლივი და მძიმე ისტორია გამოიარეს. მაშ რატომ ისმის დღეს „აფხაზი“ და „ქართველი“, საიდან წმდება ეს დაპირისპირება, ნუთუ რელიგიურ ნიადაგზე? ალბათ, არა, ვინაიდან საქართველოს მუსულმანური მონახლეობის სხვა ნაწილებთან ამ მოძრაობას საერთო არაფერი აქვს. იგი ცალკე, განყენებულად დგას და არც პრეტენზიას გამოთქვამს ამ ნიშნით. ცივილიზაციები განსხვავდებიან ისტორიით, ენით, კულტურით, ტრადიციებით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რელიგიით. როგორც ვხედავთ, ისტორიული, ტრადიციული, კულტურული და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რელიგიური საფუძველები ამ კონფრონტაციას არ გაანინია. ამ თვალსაზრისით უფრო დიდი განსხვავებაა რუსულ–სლავურ და აფხაზურ–ქართულ ცივილიზაციებს შორის. თუ არა სეპარატიზმი, მაშ რატომ ექცევა ასე მძლავრად რუსული სეგაფლენის ქვეშ აფხაზური ფრთა?

საქართველოს დღეს გეზი დასაველეთისკენ აქვს. დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, მან კურსი დემოკრატიაზე, ამერიკული ტიპის საპრესიდენტო მმართველობაზე აიღო. წვენი აზრით, სწორედ აქ წმდება რეალური დაპირისპირების საფუძველი – რუსეთი ორიენტირებულია სლავურ იდენტიფიკაციაზე, საქართველო კი – ევროპულ და ჩრდილო–ამერიკულზე. მათი ინტერესები მსოფლიოს ახალი გადანაწილების პერიოდში

იმიჯნება, ხოლო ცხელი წერტილების შესაქმნელად მოხერხებულია ურთიერთშუღლის თვისვა. ეს შენელებული ნაღმი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში წაიღო, როდესაც აფხაზეთში რუსეთიდან ინიშნებოდნენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მოხელეები და ხელს უწყობდნენ სეპარატისტული, შოვინისტური იდეების გადრმავებას. სწორედ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა აფხაზეური დამწერლობა რუსული ანბანის – კირილიცას საფუძველზე, გაიხსნა აფხაზეური სკოლები და ბოლოს აფხაზეური უნივერსიტეტი. დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობაში ჯერ არ იგრძნობოდა. დაპირისპირება იყო მხოლოდ ზედა ფენებში – აფხაზეურ და საქართველოს უზენაეს ნომენკლატურებს შორის. ქვედა ფენებში ეს მსუბუქად იკვეთებოდა მხოლოდ სტუმრების მიმართ – უპირატესობა ენიჭებოდათ რუს და უცხოელ ტურისტებს, საქართველოს სხვა მოსახლეობა მათთვის ნაკლებად საინტერესო გახლდათ. ამას თან დაერთო ეკონომიკური საფუძველი – ციტრუსების დიდი სამომხმარებლო ბაზარი რუსეთში.

შავი ზღვის ეს სანაპირო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკაში. რუსული პოლიტიკა თავიდანვე იყენებდა რომაელთა სტრატეგიას – „დაწალე და იბატონე“. ეს პრინციპი უფრო აშკარა გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. მოგუხსენებათ, „ციხე შიგნიდან გატყდებისო“. ამიტომ ამიერკავკასიაში ლოკალური კონფლიქტების განადება რუსეთს საშუალებას აძლევდა კავკასიის ქვეყნებთან საურთიერთობო ბერკეტების შესანარჩუნებლად. კავკასიური სახელმწიფოები კი, ჯერ ფეხზე ვერდამდგარნი, დამოუკიდებლობას შეუწყეველნი, ვერ ახორციელებდნენ სა-

თანადო პოლიტიკას. ეროვნულ და პარტიოტულ გრძნობებს აყვავებული მოსახლეობა თითქმის უმართავე შეიქნა და სიტუაციის რეალური შეფასების, ერთიანი პოლიტიკის შემუშავების საფუძვლები ვერ ჩაიყარა. ყოველივე ამან გამოიწვია ღია კონფრონტაცია, სისხლიანი შეტაკებები, რომლებმაც უფრო გაამწვავა ეთნიკურ დონეზე დაპირისპირება.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლები როდესაც იყო მრავალი შიდა ფაქტორის გამო. ქვეყანა მოემსადაბლებელი აღმოჩნდა ერთბაშად შებნობდა დამოუკიდებელი მმართველობის სირთულეებს, საგარეო პოლიტიკის გამოუცდებლობას. ყოველივე ეს ნაყოფიერ ნიადაგს უქმნიდა რესესოს, ზეგავლენა მოეხდინა აფხაზს, ოს თუ მთიანი ყარაბახის მოსახლეობაზე.

ძალზე გაჭიანურებული ქართველ-აფხაზური კონფლიქტი გვაძლევს ახალი გზები ვეძიოთ მისი დარეგულირებისათვის, რომელიც გაითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სრულიად რეალური იყო კონფლიქტის თავიდან აცილება, თუმცა ომის წამოწყების ინტერესი, ალბათ, უფრო დიდი.

ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში არ არის მთავრობის ოფიციალური პოზიციის, მისი ქმედებისა თუ უმოქმედობის კრიტიკა, იმაზე საუბარი, რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო და არ გაკეთდა, არამედ გვსურს შევეცადოთ სხვა კუთხით მივუდგეთ არსებულ პრობლემას და კონფლიქტის მოგვარების ე.წ. ალტერნატიული გზები განვიხილოთ. გამოეთქვათ ჩვენი მოსაზრებები, თუ რამდენად რეალური და შედეგიანი შეიძლება იყოს მათი გამოყენება, ძირითადად რა მიმართულებებზე უნდა გაიხვილდეს ყურადღება. ქვემოთ წარმოდგენილი საშუალებები

ბულისხმობს არა კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებას, არამედ მყარი ნიადაგის მომზადებას, რომელიც მნიშვნელოვან შემოქმედებას მოახდენს კონფლიქტის დარეგულირებაზე.

კონფლიქტი, რომელსაც შეიძლება ეთნიკური ეწოდოს, ხელოვნურად შექმნილ ნიადაგზე განვითარდა და, მნიშვნელოვანწილად, ინტერესთა კონფლიქტად იქცა. თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო პოლიტიკურ თეორიათა შორის გასული საუკუნის ყველაზე გავრცელებულ „რეალური პოლიტიკის“ (Real-Politiks Theory) თეორიას, დავინახავთ, რომ სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობა დიდ გავლენას ახდენს მის საგარეო პოლიტიკურ კურსზე, მისდამი სხვა სახელმწიფოების ინტერესსა და დამოკიდებულებაზე. სწორედ ეს იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წარმოშობის და გააქტიურების ერთ-ერთი მიზეზი. დღეს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის განწყობა ქართველებისადმი ძალზე აგრესიულია. გაიზარდა თაობები, რომლებიც კონფლიქტისთვის ფსიქოლოგიურად და მორალურად იყენენ მომზადებულნი. ასევე ცხადი გახდა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ტრადიციულმა საშუალებებმა არ გაამართლა. პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელი გახდა ახალი ეკონომიკური გზებისა და ბერკეტების ძიება, რომელიც დამყარებული იქნება როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური დიპლომატიური საშუალებების გამოყენებაზე.

საინტერესოა, მაინც რა არის იმის მიზეზი, რომ აფხაზები რუსეთის ორიენტაციას ამჯობინებენ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას. როგორ წარმოუდგენიათ მათ თავისი

მომავალი. ცხადია, აფხაზეთი სრულიად დამოუკიდებლად არე-
ბობას ვერ შეძლებს. მაშინ მან კარგად უნდა გაიცნობიეროს,
რამდენად რეალური და მომგებიანია თანამშრომლობა ქვეყა-
ნასთან, რომელსაც საკუთარი ეთნიკური პრობლემები აქვს და
უჭირს მათთან გამკლავება. ღირს კი ისეთ სახელმწიფოსგან
მფარველობის მოთხოვნა, რომლისგანაც მის შეამადგენლობა-
ში მეოფი მცირე ერები დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდი-
ლობენ? თუ აფხაზეთი პოლიტიკურ თავშესაფარს ეძებს ძლი-
ერ მეზობელთან, მაშინ საკითხავია ვისთან.

დღეს მსოფლიოში დიდი, გლობალური ომების საშიშროება,
რომლის შედეგადაც აფხაზეთი შეიძლება დასარადღეს ნაკ-
ლებადაა, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკური
ფაქტორები. ამ შემთხვევაში აფხაზეთს არსევანში სერიოზუ-
ლი დაფიქრება მართებს – დიდი, მაგრამ ეკონომიკურად და-
სუსტებული რუსეთი, უამრავი საკუთარი პრობლემით, თუ ასევე
სუსტი საქართველო, რომელსაც სწორი საგარეო თუ საშინაო
პოლიტიკის და ეკონომიკური კურსის გატარების შემთხვევაში,
განვითარების საკმაოდ ნორმალური პერსპექტივები აქვს. (თან
იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ასიმეტრიის სა-
შიშროება მცირე სახელმწიფოს შეამადგენლობაში ნაკლებია,
შესაბამისად, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება ბევ-
რად ადვილია საქართველოს შეამადგენლობაში, ვიდრე რუსე-
თის).

კონფლიქტის მოგვარების პროცესი, რომელიც დაიწყო პოლი-
ტიკური ინტერესების საფუძველზე და წარიმართებოდა პოლი-
ტიკოსების მიერ, სრულიად უშედეგო აღმოჩნდა. მის გაჭი-
ანურებას, არაფრის მომტან მოლაპარაკებებს, ურთიერთბრალდუ-

ბებს და მუქარებს უარყოფითი შედეგები მოჰყვა. ამგვარი მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვით, რომლის საშუალებითაც მოხდება რეგიონის ცენტრთან ინტეგრაცია. მხოლოდ ეკონომიკური აღმავლობა და კუთილდღეობა იძლევა ქართველი და აფხაზი საზოგადოების თანაცხოვრების შესაძლებლობას. ადამიანებს შორის ნდობის აღდგენა, საერთო ეკონომიკურ ინტერესებზე, ღირებულებებზე, პრობლემებზე ორიენტირება აუცილებელი პირობაა შემდეგში დადებითი შედეგების მისაღწევად.

წარმოდგენილი საკითხი ძალიან დიდი, სერიოზული და მრავლისმომცველია. იგი მოითხოვს მრავალი კუთხით შესწავლას და ღრმა ანალიზს. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა კონფლიქტის გამომწვევი ეკონომიკური მიზეზები, გაგვეანალიზებინა პრობლემის ნაწილი და შემოგვეთავაზებინა ეკონომიკური საშუალებები, რომლებიც, იმედაც, ხელს შეუწყობენ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას და მყარ ნიადაგს შექმნიან, რომ აღნიშნულმა პრობლემამ კვლავ არ იჩინოს თავი. ერთადერთი სირთულე ამ მხრივ ისაა, რომ ეს გზა შედარებით დიდ დროს, ძალისხმევას, და მოთმინებას მოითხოვს. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ პრობლემის გადაწყვეტა ჩვენს ხელთაა და ჩვენს ინტერესებში.

აქვე მინდა ვისარგებლო და გაწეული უანგარო დახმარებისთვის უღრმესი მადლობა მოვახსენო სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პუბლიცისტს ბატონ გელა სულაძეს, პროფესორებს: გივი გამსახურდიასა და

ელგუჯა მექვაბიშივილს, დეკანოზ იოსებ ვანიძეს, ფერისცვალების დედათა მონასტერს [REDACTED] [REDACTED]. „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა“ ინსტიტუტს და მის დირექტორს ბატონ ზურაბ შენგელიას, პარლამენტის აპარატის ბიბლიოთეკას, ქალბატონებს მარინა ქორჩილაევასა და თამარ აბელიშივილს, „კაეკასიის სახლსა“ და ლეილა ასანიშივილს, ასევე ბატონ ნუგზარ მიქაუტაძეს.

მიგვანია, რომ ნაშრომი დასლვეკული ვერ იქნება ხარვეზებისგან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ავტორი მადლიერებით მიიღებს მკითხველის მიერ მოწოდებულ სასარგებლო შენიშვნასა და რჩევა-წინადადებებს.

~~საქართველოს~~ რსიპული კონფლიქტების შესწავლა

ეკონომიკური გაცნობების თვალსაზრის ~~საქართველოს~~

საქართველოს ეკონომიკა მკიდროდ იყო შესრდილი საბჭოთა მბრძანებლური ეკონომიკის საერთო სტრუქტურასთან და უადრესად როულ და ახალ პოლიტიკურ კონტექსტში დამოუკიდებელი და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ძვირადღირებულ გარდაქმნებს საჭიროებდა. გასაგები მი'სე'სების გამო, საქართველოს განვითარებას საბჭოთა კავშირის განვითარების ტენდენციები განსა'სლურავდნენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკენათ, რომ ეს პერიოდი განვითარების დემოდერნი'საციის პერიოდი იყო. საბჭოთა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სისტემამ ძლიერ დაამახინჯა მდგრადი და დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელი საბა'სრო ინსტიტუტები: კერძო საკუთრება, ბა'სარი, კონკურენცია, ლეგიტიმური სახელმწიფოებრიობა, მორალი და მისი საფუძვლები, რელიგია. სხვა კონკრეტული მი'სე'სებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საბა'სრო-კონკურენტული და შრომითი მოტივაციის მექანი'სმების უქონლობა; შინაგანად ინიცირებადი, ანუ ენდოგენური მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის არარსებობა; ადამიანის თავისუფლების, მისი სრულყოფილი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების უგულვებელყოფა; ნრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მ'სარდი მასშტაბების პირობებში, დეფიციტური ეკონომიკა; სამეურნეო ურთიერთობების ნამორჩენილობა და მოუქნელობა; წარმოების ეფექტიანობის დაბალი დონე.

ბუნებრივია, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ საბჭოთა პერიოდში ცალკეულ სფეროებში პროგრესი და ნაწილობრივი მხედრნიშაცია საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მიმართულებით, უდავოდ იყო. სხვანაირად საბჭოთა რეჟიმი ასე ხანგრძლივად, 70 წლის განმავლობაში ვერ იარსებებდა. ასეთ სფეროებს განეკუთვნებოდა: განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობა, კულტურა. იყო წარმატებები კოსმოსის, ატომური ენერგეტიკის, ქიმიის, მეტალურგიის, ავიაციის, სამხედრო კომპლექსის განვითარებაში.

ეკონომიკური ზრდის ტემპების თანდათანობით შემცირებას საბჭოთა კავშირში იწვევდა ტრადიციული რესურსების – შრომის, კაპიტალის, ბუნებრივი სიმდიდრის დამატებითი მასის სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის დაბალი ტემპი. მაგრამ ეს ყველა ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა, სხვაგან ამის კომპენსირება ხორციელდებოდა სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციებით, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით. საბჭოთა კავშირში კი ასე არ ხდებოდა, რადგან მან ვერ შეძლო სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის სათანადოდ ათვისება.

ზემოაღნიშნული ტენდენციები განაპირობებდნენ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასაც. 80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დასაწყისში ვითარება გართულდა იმის გამო, რომ „პერესტროიკის“ ეკონომიკურმა რეფორმამ (1988–1991წ.წ.) მდგომარეობა საქართველოში მკვეთრად გააუარესა. საბოლოო ჯამში, ეს პროცესი ფინანსური სისტემის მოშლით, პროდუქციის დეფიციტისა და

უმუშევრობის ზრდით გამოიხატა. საფინანსო სისტემის დაუბალანსებლობამ, თავის მხრივ, სამომხმარებლო ბაზრის კრიზისი გამოიწვია. აუიოტაჟური მოთხოვნა, ღია ინფლაცია (შემდგომში ჰიპერინფლაცია), ჩრდილოვანი ეკონომიკა და „შავი ბაზარი“ კიდევ უფრო გაძლიერდა. სახელმწიფომ დაკარგა კონტროლი ხელფასსა და მეურნეობრიობის შედეგებზე. ფულადი მასა გროვდებოდა საწარმოებისა და მოსახლეობის ანგარიშებზე. კრიზისის გაღრმავების დამაგვირგვინებელი ფაქტორი იყო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირების თანდათანობითი მოშლა, რასაც საბოლოოდ 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა.

საქართველოში და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ყველაზე უფრო ძლიერად პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნის სურვილი გამოვლინდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტენსივობამ ქვეყანაში აპოგეას მიაღწია. ეს კი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას აიძულებდა, საქართველოზე პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა გაეძლიერებინა. ამავდროულად, საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითად ზემოქმედებდა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირების მოშლა. უპირატესად, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ნებაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის მეურნეობა, რომელიც მას ყველაზე მთავარი რესურსებით – ფინანსებითა და ენერგორესურსებით უსრუნველყოფდა. ეკონომიკური კავშირების მოშლის უარყოფითი ზემოქმედება, რაც პოლიტიკური ნებით იყო ნაკარნახები, იმით დადასტურდა, რომ საქართველოში ეკონომიკური კრიზისი, წარმოების მოცუ-

ლობის შემცირება გაცილებით ღრმად აისახა, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

მოსალოდნელი და ყრიად შესაძლებელი საბჭოთა აგრესიონა და საომარი მოქმედებების საშიშროებიდან გამომდინარე (რაც უკვე დაწყებული იყო სამანაბლოში და მხადდებოდა აფხაზეთში), გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური დოქტრინა ითვალისწინებდა გარკვეული ზომით სამხედრო ეკონომიკის (საომარი ეკონომიკის) საფუძვლების შექმნას და ამისთვის ყოველად აუცილებელი (ტაივანის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის ტიპის) სახელმწიფო კაპიტალიზმის ელემენტების აგებას. *გარდამავალი პერიოდის პრაქტიკული საწყისი თავისებურებანი შემდეგნაირად გამოიყურებოდა:*

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკანონმდებლო საფუძვლების მომზადება. უსენაესი საბჭოს კომისიებსა და მინისტრთა საბჭოში მიმდინარეობდა ინტენსიური მოსამზადებელი სამუშაოები; არავითარი გამოცდილება, მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია აღნიშნული პერიოდისთვის მსოფლიო მასშტაბით არ არსებობდა; შეიქმნა შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურები და დაიწყო მათი მომზადება.

სახელმწიფოებრიობა. 1991 წლის 9 აპრილიდან (როდესაც ცალმხრივად დამოუკიდებლობა გამოცხადდა) და 1991 წლის დეკემბრის ბოლო დეკადამდე (როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს მსოფლიოს გაელენიანმა სახელმწიფოებმა) არსებითად საქართველო წარმოადგენდა „თვითგამოცხადებულ“, „თვითდეკლარირებულ“ სახელმწიფოს (დაახლოებით ისეთსავეს, როგორებიცაა

ამჟამად თვითგამოცხადებული მთიანი ყარაბახი, აფხაზეთი, ალანია ან დნესტრისპირეთი).

სახელმწიფო აპარატი. 1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნებით შეიცვალა მხოლოდ ხელისუფლების პირამიდის წვერი. მრავალ ასეულ ათასიანი საბჭოთა ბიუროკრატის შეცვლა კი ფიზიკურად შეუძლებელი გახდა. საბჭოთა ბიუროკრატია (საწარმოთა მართვის აპარატის ნათელით) არ ფლობდა მართვის სხვა ხერხებს, გარდა გეგმიურისა, და მისი ხელახალი სწავლება და წვრთნა არსებით რესურსებს, დროს და სტრუქტურას მოითხოვდა, რომელიც შესაქმნელი იყო.

მოქალაქეობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაფერისი მოქალაქეობის სისტემა საქართველოს ამ პერიოდში არ გააჩნდა; არ არსებობდა მოქალაქეობის საკანონმდებლო ბაზა (საქართველოს მოქალაქეები საბჭოთა მოქალაქეებად ითვლებოდნენ); საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდათ მხოლოდ საბჭოთა პასპორტები. უცხოეთში გასასვლელი სპეციალური პასპორტის მიღება შეეძლოთ მხოლოდ მოსკოვის გაყვლით; საერთაშორისო ცნობის გარეშე მოქალაქეობისა და საპასპორტო სისტემის შემოღება პრაქტიკულად ნიშნავდა საქართველოს მოქალაქეების სააღყო წესების ვითარებაში მოქცევას.

ფინანსები და ვალუტა. საქართველოში მიმოიქცეოდა მხოლოდ საბჭოთა ფულის ნიშნები და მომარაგება ხდებოდა გეგმიური წესით, ცენტრალიზებულად მოსკოვიდან; უცხოეთთან ნებისმიერ გადასახდელებსა და ტრანსაქციებზე მოსკოვს უნდა გაეცა ნებართვა; საქართველოს არ გააჩნდა (არ ჰქონდა უფლება) საბანკო ანგარიშები უცხოეთში; კერძო პირებს ეკრძა-

ღებოდათ, პქონოდათ უცხოური ვალუტა (ეს უმკაცრეს სასჯელს – 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა); საკუთარი ვალუტის შემოსაღებათ საქართველო მოკლებული იყო მხარდამჭერ ფინანსურ და ფისკალურ სისტემას; საბჭოთა ეკონომიკის ნგრევის პერიოდში კატასტროფული ტემპები მიიღო ინფლაციამ, ხოლო პიპერინფლაციის პირობებში ეკონომიკურად გაუმართლებელი იყო პრივატიზების დაწყება; ასევე სასაქონლო მასის დაგროვება–აკუმულირება ფულადის ნაცვლად; საბჭოთა ცენტრმა 1992 წლიდან გამოაცხადა ფასების სრული ლიბერალიზაცია (ფიქსირებული სახელმწიფო ფასების გაუქმება); ფასების ლიბერალიზაციის მოლოდინში ცენტრალური და არსებითი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში საქართველომ შეაჩერა მაღალი მოთხოვნილების საქონლის ქვეყნის გარეთ რეალიზება, რათა ლიბერალიზების შემდეგ შეძლებოდა ამ სასაქონლო მასის მაღალ ფასებში რეალიზება; დარეზერვდა სპირტიანი სასმელებისა და სხვა ადგილობრივი წარმოების მსა საქონლისა და ნედლეულის მთელი წლიური პროდუქცია (პუტნის შემდგომ ამ რესურსის ხარჯვის დოკუმენტი არ არსებობს); დარეზერვებული და სასწრაფოდ მთელი ფინანსური რესურსებით მოხდა საკავშირო ბაზარზე მისაწვდომი სხვადასხვა ძვირფასი საქონლის შექმნა – თვითმფრინავები, ვაგონები, ოქრო, იმპორტული ელექტრონიკა, ძვირფასი ქურქები და სხვ. (პუტნის შემდგომ ამ რესურსების ხარჯვის დოკუმენტი არ არსებობს); სავალუტო–ფინანსური სირთულეები ნაწილობრივ დაიძლია საკავშირო ბიუჯეტში ჩანარციხების პარტიზანული ხერხებითა და მეთოდებით. ამას გარ-

და, ფულის ნიშნების მოწოდების წყაროებთან კერძო-პირადი პირდაპირი (საკავშირო ცენტრის გეგმის ავლით) საქმიანი ურთიერთობების დამყარებით; დაწყებული იყო ნაციონალური ვალუტის შემოდების საკანონმდებლო და ორგანიზაციული ღონისძიებები.

საკუთრება, როგორც ცენტრალური ეკონომიკური პრობლემა. საკუთრება წარმოების საშუალებებსა, ბუნებრივ რესურსებსა და მიწაზე – ყველა ეს საბჭოთა კავშირის საკუთრებად ითვლებოდა (საკუთრების კანონიერ, საბჭოთა სისტემასთან შეთანხმებულ გაყოფაზე საბჭოთა ცენტრი არ თანხმდებოდა); სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და მომსახურებითი საწარმოები ნედლეულით, ენერჯით, ხელფასის ფონდით საკავშირო გეგმის თანახმად, ცენტრიდან მარაგდებოდნენ; რამდენადაც საწარმოები საბჭოთა კავშირის საკუთრებად ითვლებოდა – შეუძლებელი და კანონსაწინააღმდეგო იყო არსებული სამართლებრივი ნორმებით მათი ნებისმიერი სახით გასხვისება, მაგალითად, პრივატიზების სახით; სახელმწიფო საწარმოების მთელი პროდუქცია სსრკ სახელმწიფოს ეკუთვნოდა და მისი რეალიზება მხოლოდ სახელმწიფო სისტემის მეშვეობით ხდებოდა; კერძო ბინათმფლობელების გარდა, მთელი საბინაო ფონდი ითვლებოდა საბჭოთა საკუთრებად, ამდენად, შეუძლებელი იყო არსებული კანონის ფარგლებში საბინაო ფონდის რაიმე სახით პრივატიზება, ასევე მიწა, რომელზეც იდგა თუნდაც კერძო ბინა, სსრკ საკუთრება იყო, რაც მის პრივატიზებას გამორიცხავდა; კერძო ტიპის საწარმოები (მაგ: კოოპერატივები) კანონის მიხედვით, შეიძლე-

ბოდა დაარსებულიყო მხოლოდ რომელიმე სახელმწიფო საწარმოს ან დაწესებულების ფარგლებში და მისი გარანტიით, რომელსაც მისი ფინანსური კონტროლი ეკადებოდა (მათ საქმიანობაზე სახელმწიფოს წინაშე, საბოლოო ჯამში, ეს სახელმწიფო საწარმო ან დაწესებულება აგებდა პასუხს); პრივატიზების პერსონალური თვალსაზრისით, საბჭოთა კანონების შესაბამისად, დამნაშავედ წაითვლებოდა არა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, არამედ ის მოქალაქეც, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა პრივატიზების აქტში. სსრკ შეუცდებოდა მის დაპატიმრებას ნებისმიერი ხერხებით საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც (დასავლეთის სახელმწიფოების ჩათვლით); სირთულეთა დაძლევა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: ცენტრთან საკუთრების გაყოფის მოლაპარაკებებით (მცირედ შედეგიანი) და ძალაუფლებრივ-ნებისყოფითი მეთოდებით.

სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკონომიკური რესურსები. საქართველოს წლიურად ესაჭიროებოდა დაახლოებით 0,3–0,5 მილიარდი დოლარის ღირებულების ენერჯია, რომლის 75–80% რუსეთიდან შემოდებოდა ცენტრალიზებული გეგმიური პრინციპით; საწვავით, ძირითადად, აზერბაიჯანიდან მარაგდებოდა საკავშირო ცენტრალიზებული გეგმის შესაბამისად. საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი მარაგების გაკეთება შეუძლებელი იყო, რამდენადაც მარაგების ოდენობას აკონტროლებდა საიდუმლო სპეცორგანოები. როგორც კი დაიძაბებოდა პოლიტიკური ურთიერთობები საკავშირო ცენტრთან, მაშინვე კატასტროფულად მცირდებოდა მოწოდებები; საქართვე-

ლოს წლიურად ესაჭიროებოდა დაახლოებით 0,3–0,5 მილიარდი დოლარის ღირებულების მარცვლეული, რომლითაც იგი მარაგდებოდა უმთავრესად სსრკ მიერ აშშ და კანადიდან სსრკ ხელშეკრულებით იმპორტირებული რესურსებით (რომლის საფასურსაც სსრკ იხდიდა); მარცვლეული ძირითადად ფოთის პორტიდან შემოდის და თვიური განრიგით ისე, რომ საქართველოს არ ჰქონდა საშუალება რაიმე მარაგები შეექმნა (მარცვლეულის ხარჯვას საიდუმლო სპეცორგანოები აკონტროლებდნენ, რომლებიც მიუწვდომელი იყვნენ ეროვნული ხელისუფლებისთვის); იკრძალებოდა მარცვლეულის არაგემიური შესყიდვა სსრკ სხვა რესპუბლიკებიდან; როგორც კი დაიძაბებოდა პოლიტიკური ურთიერთობა საკავშირო ცენტრთან, მაშინვე ფერხდებოდა ხორბლის მოწოდება და საქართველო შიმშილის რეალური საფრთხის წინაშე დგებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ელვეატორებში მხოლოდ 2–3 დღის სამყოფი მარცვლეული რჩებოდა.

რეგულირებადი ბლოკადები. ფინანსური; ენერგეტიკული; სასაქონლო (ღვინისა და მინერალური წყლების რუსეთის მიერ 2006 წლის აპრილ–მაისის ბლოკადის მსგავსი); სანედლეული; ინფორმაციული.

კატასტროფული მიწისძვრა. მიწისძვრამ რამდენიმე რეგიონში უმძიმესი ნგრევა გამოიწვია (რომელსაც ვერ შეედრება არათუ თბილისში პუტნის დროს მომხდარი ნგრევა, არამედ სამანაბლოსა და აფხაზეთში ომით გამოწვეული ნგრევა(კ)); საქართველომ მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისთვის აბსოლუტურად ვერ მიიღო ვერანაირი გარე დახმარება; 1991

წლის ბოლოსთვის შინაგანი რესურსებისა და რესურსების მობილიზებით მოხერხდა მიწისძვრის შედეგების 75%-ით ლიკვიდაცია (გ'სები, ხიდები, საცხოვრებელი და საწარმოო შენობა-ნაგებობები); რამდენიმე თვის განმავლობაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაზე მიდიოდა ბიუჯეტის ხარჯებითი ნაწილის 15–25%.

ნათლად ჩანს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების დროისთვის – 1991 წელს და შემდგომ – 1993 წლამდე პერიოდში, საქართველო ეკონომიკურად მიბმული იყო რუსეთს. მას არ გააჩნდა დამოუკიდებელი ბიუჯეტი და 1992 წლამდე რუბლის ზონაში რჩებოდა. ვინაიდან 1993 წლიდან რუბლის კუპონურების მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა, ქვეყანა იძულებული ხდება მიმოქცევაში გაუშეას ფულის ეროვნული ერთეულის სუროგატი – კუპონი. სწორედ 'სემოაღნიშნული პრობლემებია არა ერთადერთი, მაგრამ მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველო კარგავს ეკონომიკურ სეგაელენას როგორც აფხაზეთზე, ისე სამანაბლოზე, რასაც მოგვიანებით ტერიტორიების დაკარგვაც მოჰყვა. აფხაზეთისა და ოსეთის ეკონომიკა ავტომატურად მიება რუსეთის ეკონომიკას. იკეტება რუსეთთან შემაერთებული ყველაზე მოკლე სარკინიგზო ხაზი, რამაც კიდევ უფრო დააზარადა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემის შესწავლა და მოგვარება ეკონომიკური მეცნიერების თვალსაზრისით, თანამედროვე ეტაპზე ძალზე აქტუალური და მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ეთნოკონფლიქტების „ეკონომიკურ ასპექტებს“

მრავალი კონფლიქტოლოგი გაცილებით ნაკლებ ეურადღებებს უთმობს სხვა ფაქტორებთან შედარებით. არადა, უბრალო დაკვირვებაც კი ცხადყოფს, თუ რაოდენ მჭიდრო კავშირია მათ შორის. აქ იგულისხმება როგორც პროვოცირებული კონფლიქტებით გამოწვეული პირდაპირი თუ ირიბი ეკონომიკური დანაკარგები. ასევე ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტების დარეგულირებაში.

„კარნეგის კომისიის“ მონაცემებით, მარტო 1990-იან წლებში მხოლოდ შვიდი უმსხვილესი კონფლიქტი, კოსოვოს კონფლიქტის გარდა, დაჯდა 199 მილიარდი დოლარი, ხოლო აფხაზეთის ომის შედეგად პირდაპირმა ეკონომიკურმა ზარალმა 6–7 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამ დანაკარგების თავიდან აცილება ნაწილობრივ მაინც შეიძლებოდა სათანადო სომეხების მიღების შემთხვევაში.

ამასთან, გასათვალისწინებელია მოსაზრებაც, რომ ეთნიკონფლიქტები უნდა განიხილებოდნენ არა მხოლოდ როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატასტროფები, რომელთა თავიდან აცილებაა საჭირო, არამედ პოზიტიური თვალთაზრისითაც, როგორც ჩამოყალიბებული წესრიგის დეფექტების ინდიკატორები, რომლებიც არსებული საზოგადოებრივი ვითარების სრულყოფის საშუალებას გვაძლევენ. პოლიტოლოგიური მეცნიერების თვალსაზრისით, კონფლიქტების მოგვარების შემდეგ სახელმწიფო ხდება უკეთესი, ვიდრე იყო მანამდე, ხოლო გაღებულ ადამიანური მსხვერპლი და ეკონომიკური ზარალი წესრიგის სრულყოფის ერთგვარი საფასურია. თუმცა ეს არის პროგრესისათვის გაღებულ მეტად დიდი მსხვერპლი, რადგან

თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში, პროგრესის მიღწევა შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტების გარეშეც, გონიერებისა და თანამშრომლობის საფუძველზე.

ფაქტები მოწმობენ, რომ ღარიბი და ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნები გაცილებით ხშირად არიან ჩათრეულნი ეთნოკონფლიქტებში, ვიდრე ეკონომიკურად აყვავებული ქვეყნები. თვით ეს ფაქტი უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკური ჩამორჩენა და შესაძლებელი რესურსები შესაძლოა იყვნენ არსებითი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად განაპირობებენ ან ხელს უწყობენ კონფლიქტების წარმოქმნას. საქართველოში კონფლიქტების განხილვა განაპირობა არა მხოლოდ ეკონომიკურმა ფაქტორებმა (ისევე როგორც სასოგადოებრივი ცხოვრება არ დაიყვანება მხოლოდ ეკონომიკაზე). დაპირსპირების გამომწვევი მიზეზები, როგორც წესი, გადახლართულია ეკონომიკური, სოციალური, ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური ფაქტორების რთულ კვანძში და ხშირად ძნელია მათი ერთმანეთისგან განცალკევება. ამასთანავე ცხადია, რომ ეკონომიკურ ფაქტორებს გააჩნიათ ძალზე დიდი მნიშვნელობა კონფლიქტების წარმოშობაში, თუმცა ხშირად ეს არ ჩანს გარედან და ამიტომ არ არის ყოველთვის გაცნობიერებული.

ეთნიკური სუბიექტების ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნის რეალიზაციაში ეკონომიკური ფაქტორების არსებითი როლი განპირობებულია ეკონომიკური რესურსების უზარმაზარი მნიშვნელობით. პოლიტიკური დამოუკიდებლობა, შიდა და საგარეო უსაფრთხოება, განათლების, მეც-

ნიერებისა და კულტურის განვითარება – ყოველივე ეს საჭიროებს ეკონომიკურ რესურსებს. ამავდროულად, ეთნოკონფლიქტების მხოლოდ პოლიტიკური მიზეზებით ახსნა პრობლემის ზედაპირულად გაგებაა, თუნდაც იმიტომ, რომ თავად პოლიტიკა არის ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება. ზოგიერთი კონფლიქტოლოგი მიუთითებს, რომ კონფლიქტების მთავარი მიზეზია არა ეკონომიკური ჩამორჩენა და რესურსების დეფიციტი, არამედ მათი განაწილების უსამართლობა, შელახული ეროვნული ღირსების გრძნობა და ა.შ.

საქართველოში კონფლიქტების წარმოშობაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირებამ (განსაკუთრებით გეოპოლიტიკური თვალსაზრისით). ნაყოფის, შავი ზღვის პორტების, ტრანსკავკასიური მაგისტრალების, ევროაზიურ ტვირთნაკადებზე კონტროლის პრობლემები, ბრძოლა გასაღების ბაზრებსა და ინვესტიციებისთვის დგას იმ პოლიტიკური ძალების უკან, რომლებმაც მოახდინეს საქართველოში და რეგიონში კონფლიქტების პროვოცირება, რაც შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ისინი ეფუძნებოდნენ ეთნოსებს შორის ეკონომიკურ ინტერესთა წინააღმდეგობებს, გამოწვეულს ეკონომიკური კრიზისებით, ცხოვრების დონის ვარდნით, მოსაღოფნელი პრივატიზაციით, შემოსავლების დიფერენციაციით, არათანაბარი რეგიონალური განვითარებით, ეკონომიკურ რესურსებზე კონტროლის სურვილით.

კონფლიქტოლოგიასა და ეკონომიკურ თეორიას შორის გაცილებით მეტი შეხების წერტილია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მრავალი კონფლიქტოლოგი კონფლიქტების უნი-

ვერსაღურ წყაროდ მიიჩნეეს მხარეთა პრეტენზიებისა და მოთხოვნისებების შეუთავსებლობას, მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობათა შესდუდულობის პირობებში. როგორც კბოულდინგი წერს, „რაც არ უნდა დიდი იყოს დვეხელი, მისი განაწილება არ დააკმაყოფილებს ყველა მსურველის მოთხოვნისებებს და მაშინ გარდაუეაღია კონფლიქტი. ერთნი მიიღებენ მეტს, სხეები – ნაკლებს. რომ შეიძლებოდეს ყველას მოთხოვნისებების დაკმაყოფილება, მაშინ არავითარი კოლიზიები არ იქნებოდა.. რაც უფრო დარბია საზოგადოება და დეფიციტურია მოხმარების საგნები, მით უფრო ინტენსიურია მისი კონფლიქტები“¹. მაგრამ, ლ.რობინსის ცნობილი განსახდერების თანახმად, ეკონომიკური თეორია სწავლობს სწორედ იმას, თუ როგორ ხდება დეფიციტური რესურსების განაწილება ალტერნატიულ მიხნებს შორის. აქ აშკარად იკვეთება პრობლემათა მსგავსება, რომლებიც დგანან ეკონომიკური თეორიისა და კონფლიქტოლოგიის ყურადღების ცენტრში.

ამ თეაღსახრისით შემთხვევითი არ არის, რომ კარლ მარქსი კონფლიქტოლოგებს მიანნათ კონფლიქტის კლასიკურ თეორეტიკოსად² იგი მიიჩნეღდა, რომ სოციაღურ კლასებს შორის კონფლიქტი არის საზოგადოების განვითარებისა და პროგრესის მამოძრავებელი ძაღა, ხოლო თვით კონფლიქტებს ხედაღდა წმინღა ეკონომიკურ ურთიერთობებში. რა თქმა უნღა, დაუშვებელია დღეს მოღიანად გაეიზიაროთ აშკარად მოძვეღებუღი ეს თეორია. მაგრამ, თვით ის ფაქტი, რომ სოციაღური კონფლიქტები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ

¹ Boulding K. Conflict and Defence. p.190-191.

² Coser L. Continuities in the Study of Social Conflict. N.Y. 1967. p.137

პროცესებთან, და რომ კონფლიქტს გააჩნია მოვლი რიგი პოლიტიკური ფუნქციები, ამას აღიარებს მრავალი თანამედროვე კონფლიქტოლოგი.

გამოკვლევების თანახმად, უმუშევრობას გაცილებით მეტად განიცდიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ვიდრე ეთნიკური უმრავლესობისა, რომლებიც უფრო ხშირად არიან მენეჯერები და საკუთარი ფირმის მფლობელები და იღებენ უფრო მეტ შემოსავლებს. სემოთ თქმულის ფონზე, სოციალური დაძაბულობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადვილად გადაისარდა ეთნიკური მოტივაციის მქონე კონფლიქტებში. კონფლიქტების განენას ხელი შეუწყო აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის პროცესმა. პრივატიზაციის შედეგები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის უშუალოდაა დაკავშირებული იმაზე, თუ რომელი ეთნიკური ჯგუფი აკონტროლებს ხელისუფლებას. ეს ამწვევებს ბრძოლას პოლიტიკური ძალაუფლებისათვის. სეპარატიზმისა და სხვა პოლიტიკური მოთხოვნების მიღმა დგას კონფლიქტში მონაწილე მხარეების სერიოზული ეკონომიკური ინტერესები. ჯგუფური ინტერესები აქ ქმნიან ტიპურ ოლიგოპოლიურ (ეკონომიკის ცალკეულ დარგში რამდენიმე მსხვილი ფირმის ბატონობა) სიტუაციას, რომელიც შეისწავლება ეკონომიკურ თეორიაში. ასე რომ ფუნდამენტური ეკონომიკური ინტერესები გარდატყდებიან პოლიტიკური, იდეოლოგიური და რელიგიური მოტივაციის პრიზმაში და შენიღბული ფორმით გვეკლინებიან კონფლიქტის მხარეების მიერ დეკლარირებულ მოთხოვნებში.

კონფლიქტური პროცესების მიმდინარეობაზე დიდი გავლენა იქონია ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობამაც. კონფლიქ-

ტურ სონებში, სადაც არ ვრცელდება ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია, ხშირად დომინირებენ ჩრდილოვანი ეკონომიკის კანონები. აქ ადგილი აქვს მოსახლეობის თავისებურ ადაპტაციას ხანგრძლივ ეკონომიკურ კრიზისთან, და აქედან გამომდინარე, თავისთავად ყალიბდება ჩრდილოვანი ეკონომიკის სტრუქტურირება. ამ სტრუქტურებში გაბატონებულ მდგომარეობაში მყოფი პირები იძენენ დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას, როგორც კონფლიქტურ სონებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ისინი ხშირად ეწინააღმდეგებიან ჩეხატიური მოვლენების დარეგულირების პროცესს, რადგან გაჭიანურებული კონფლიქტის მდგომარეობა მათთვის დიდი შემოსავლის წყარო ხდება. მათი ინტერესების სფეროა იარაღით ვაჭრობა, ნარკობის ნესი, კონტრაბანდა, ადამიანთა გატაცება. თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული სდუდავს კონკურენციას შრომის ბაზარზე, ამცირებს მოგებას, ხელს უშლის კაპიტალის ეფექტიან გამოყენებას. ამიტომ, საბაზრო ეკონომიკის განვითარება არის კონფლიქტების საუკეთესო პროფილაქტიკა, რადგან იგი ბადებს პრევენციული პოლიტიკის ლოგიკას: მშვიდობიანი ცხოვრება ეკონომიკურად მომგებიანი უნდა იყოს კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარისათვის. საბაზრო ურთიერთობების გააქტიურება ხელს უწყობს კონფლიქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის – ეთნოცენტრიზმის დაძლევას, ანუ მიდრეკილებას, აღიქვან და შეაფასონ ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოვლენა საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ტრადიციებისა და ფასეულობების პრიზმაში.

კონფლიქტების დარეგულირებაში მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს საინვესტიციო პოლიტიკამ, რომელიც მი-

მართულია უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე, რასაც შედეგად მოჰყვება ეკონომიკური აქტიურობა, ცხოვრების დონის, წარმოებისა და ურთიერთობათა კულტურის ამაღლება, და რაც მთავარია, უცხოური კაპიტალი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული რეგიონის სტაბილურობით და მას მაქსიმალურად უწყობს ხელს.

კონფლიქტებსა და ეკონომიკურ რეფორმებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობას მიყვავართ ორ მნიშვნელოვან დასკვნამდე:

1. პოლიეთნიკურ რეგიონში სტიქიურმა ეკონომიკურმა პროცესებმა, ან არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტების წარმოშობას;

2. არსებობს კონფლიქტურ პროცესებზე ეკონომიკური მეთოდებით მიზანმიმართული ზემოქმედების კარგი შესაძლებლობა.

სოციალური ეკონომიკური პროცესი საქართველოში ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში უშუალოდ უწყობდნენ და უწყობენ ხელს კონფლიქტების გაღრმავებას. მაგალითად, ეკონომიკის ვარდნა, უმუშევრობა და ცხოვრების დონის დაცემა; შემოსავლების მიხედვით სასოციალოების მკვეთრი დიფერენციაცია; რეგიონების არათანაბარი ეკონომიკური განვითარება კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების არსებობის პირობებში; ჩრდილოეთი ეკონომიკის დიდი მასშტაბები; საპრივატიზაციო პროცესების არასწორად წარმართვა და ეკონომიკური რესურსების არათანაბარი გადანაწილება; არასწორი ფისკალური პოლიტიკა; შეცდომები საინვესტიციო პოლიტიკაში და სხვ.

საქართველოში კონფლიქტების დარეგულირებას ხელს შეუწყობს: ეკონომიკური 'სრდა, დასაქმება, ცხოვრების დონის ამაღლება; პროგრესული გადასახადით დაბეგურა; სოციალურად ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა; უცხოური კაპიტალის მოზიდვა; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება; ჩრდილოეთი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება; ანტი-მონოპოლიური პოლიტიკა, კონკურენციის ხელშეწყობა; რეგიონებს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარება; რეგიონების ეკონომიკური დონის გათანაბრებაზე მიმართული ფისკალური ფედერალიზმის პოლიტიკა; გლობალური ეკონომიკური პროექტების რეალიზაცია (რკინიგზების, ავტომაგისტრალების, ელექტროსადგურების, საირიგაციო სისტემების მშენებლობა და სხვ.); საერთაშორისო ორგანიზაციების ეკონომიკური დახმარება პოსტკონფლიქტური სონების აღდგენაში.

რა თქმა უნდა, კონფლიქტების დარეგულირების საკითხში არ შეიძლება მხოლოდ ეკონომიკური მეთოდებით შემოფარგვლა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებისთვის სხვადასხვა სტადიებზე აუცილებელია როგორც მედიატორული პროცესები, ისე სამშვიდობო ძალების ჩართვა, მოსახლეობიდან იარაღის ამოღება და პოლიტიკური მეთოდებით სეწოლა. უზარმაზარი საყინანსო რესურსები, რომლებიც იხარჯება შეიარაღებაზე, მასიურ მკვლელობებზე, ნგრევაზე და შემდეგ დანგრეულის აღდგენაზე, შეიძლება უშუალოდ წარიმართოს ცხოვრების დონის ასამაღლებლად, კონფლიქტური რეგიონების განვითარების დასაჩქარებლად.

საქართველოსთვის 1990–2003 წლები, მთლიანობაში, ეკონომიკური რეფორმების პერიოდი. იგი დადებითთან ერ-

თად, ძალზე უარყოფითი შედეგებითაც ხასიათდებოდა. დადებითი შედეგებიდან აღსანიშნავია: სოციალისტური მეურნეობრივი სისტემის ლიკვიდაცია, საბაზრო მეურნეობისა და საბაზრო ურთიერთობების ნამოყალიბება; ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფორმირება, კონკურენტული საბაზრო მექანიზმის დაშეება; ინფლაციის მაღალი ტემპების, წარმოების დაცემის დაძლევა და ერთობლივი მოთხოვნის, ეკონომიკური ზრდის პირობების უზრუნველყოფა; ამ ეტაპის მთავარი შედეგი ფასების ლიბერალიზაციითა და ძირითადი საბაზრო სტრუქტურების დამკვიდრებით გამოიხატა.

უარყოფითი შედეგებიდან უნდა გამოვყოთ: რეფორმების ძალიან მაღალი სოციალური სახლადური, მოსახლეობის ფართო მასების ცხოვრების დონის უკიდურესად გაუარესება, შობადობის მკვეთრი შემცირება, პიპერინფლაცია და წარმოების ხანგრძლივი მასშტაბური შემცირება, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების დონის მკვეთრი დაცემა, სამეცნიერო-ტექნიკური და საგანმანათლებლო პოტენციალის მკვეთრი შემცირება; ეკონომიკის კრიმინალიზაციის, ნრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის მაღალი დონე, რომლებიც ანგრევენ ეკონომიკას.

ფაქტობრივად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო აუცილებელი ინსტიტუციონალური ცვლილებები. კონკურენტული საბაზრო გარემოს არარსებობის პირობებში შეიქმნა მმართველობის ვაკუუმი, რომელიც, სოგიერთ შემთხვევაში, შეივსო ნრდილოვანი ურთიერთობებით.

ძალიან მოკლედ რომ გაეაანალიზოთ XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში და მის გარშემო დატრიალებული მოვლენები, უჩველად დავერწმუნდებით, რომ ყოველი ჩვენგანის თვალწინ და მონაწილეობით, იქმნება საქართველოს მომავალი, საფუძველი ეყრება ახალ საქართველოს, რომელსაც ღირსეული ადგილი ექნება მსოფლიო თანამეგობრობაში და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებსაც შეეძინებათ ღირსეული, ბედნიერი ცხოვრების პირობები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ერმა, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა „ვარდების რევოლუციით“ სათავე დაუდეს ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე – თვით საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ. ეს არის იმპერიის ნგრევის მეოთხე ტალღა!

პირველი დაიწყო საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ და 9 აპრილის ცნობილმა მოვლენებმა. მეორე იყო აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლება „ხავერდოვანი რევოლუციების“ შედეგად და „რკინის ფარდის“ ჩამოშლა. მესამე – საბჭოთა კავშირის დაშლა. მაგრამ სამწუხაროდ, ბალტიის ქვეყნების გარდა, თითქმის ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში ხელისუფლების სათავეში კვლავ ე.წ. „პარტიული ნომენკლატურის“ წარმომადგენლები აღმოსნდნენ. მაგრამ ბოლო დარტყმა იმპერიას საქართველომ მიაყენა, ვინაიდან ჩვენმა ქვეყანამ ამით სათავე დაუდო ანტიიმპერიული მოძრაობის მეოთხე ტალღას. 2008 წლისთვის, როდესაც რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნე-

ბი უნდა ნატარდეს, ვლადიმერ ჟირინოვსკის განცხადებით, „რუსეთი 14 რევოლუციური ქვეყნით იქნება გარშემორტყმული“. რუსი კომუნისტების ლიდერი გენადი ზიუგანოვი კი არ მადაეს, რომ „ყველაზე დიდი საფრთხე რუსეთისთვის სწორედ დემოკრატიული რევოლუციაა, – საქართველოსა და უკრაინის შემდეგ აუცილებლად დადგება რუსეთის ჯერიც“.

ამ ყველაფრით ყალიბდება წინაპირობები საქართველოს უმწვავეს პრობლემათა გადაწყვეტისთვისაც. მათ შორის, დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, საქართველოს ბრძოლა, რომელსაც მთელი მსოფლიო უჭერს მხარს, არის ბრძოლა არა მხოლოდ დემოკრატიისთვის, არამედ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის და ეროვნული ღირსების დაბრუნებისათვის. ამის ნათელი მაგალითია მსოფლიოს უდიდესი დემოკრატიული სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტი. ეს იციან ნვენმა არაკეთილმოსურნეებმაც, რომლებიც ცდილობენ, ქვეყანა ნაითრიონ შიდა დაპირისპირებისა და კინკლაობის მორეეში, დაგუტოონ ძველ, ყოველმხრივ დრომოჭმულ სისტემაში, არ მოგვცენ ახლის შენებისა და დამკვიდრების საშუალება.

ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შექმნა უზრუნველყოფს საქართველოში კონფლიქტების მოწესრიგებას და მყარ მშვიდობას. საქართველო ადარ უნდა დაელოდოს, თუ სხვა რას გააკეთებს ან სხვა როგორ შეფასებას მოგვცემს – თაყად უნდა ვიყოს საკუთარი თავის პატრონი, თაყად მივიღოს გადაწყვეტილებები, გავაცნობიეროთ ნვენ ინტერესები და შევიქმნათ მომავალი.

რეფორმირება, ისევე როგორც ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური აზროვნება, თანამედროვე საქართველოში უწყვეტი პროცესია. პოლიტიკურ-ეკონომიკური გარდაქმნისთვის აუცილებელია თითოეული ადამიანის აზროვნების ახალი წესის დამკვიდრება, რათა საქართველო ჩქარი ტემპებით განვითარდეს. ახალი აზროვნების ძირითად პრინციპთა ჩამოყალიბებამდე საჭიროა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობასთან პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებული თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი და წინააღმდეგობრივი ტენდენციების მეცნიერულად შეჯერებული ანალიზი.

თანამედროვე საქართველო იმყოფება რთული და სუსტი ბალანსის მდგომარეობაში, არის ინტერესთა ჭიდილი, ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების დაპირისპირება. ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემისადმი კონცეპტუალურ მიდგომას, მის სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, პუმანიტარულ, კულტურულ, ეკოლოგიურ და სხვა ასექტებს. თუმცა ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, ვიდრე საქართველოში ეთნოკონფლიქტები არსებობს, როგორც არ უნდა იყოს, მაგალითად, შეიარაღების დონე, ეროვნული უშიშროება ფიქცია იქნება.

ვიდრე ჩვენს ქვეყანაში მოწესრიგებული არ არის ეკოლოგიური მდგომარეობა, საქართველო ყოველთვის იღებდა თავისი არსებობის ფიზიკური პირობების დეგრადაციის საფრთხის წინაშე.

ვიდრე საქართველო ჩაფლულია მისი ეკონომიკის დამანგრეველ ვალებში, ვიდრე მას არ ექნება სამართლიანი ეკონომიკური წყობა, რომელიც უკლებლივ უსრუნველყოფს

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მოცემული დონის შესაფერ ცხოვრებას, უსაფრთხოება მერყევი და არასაიმედოა.

ვიდრე საქართველოში არ აღიარებენ სოციალ-სტალინური ადამიანურ ღირებულებებს და პიროვნების უფლებათა პარტიის-კემის ერთ საერთო სტანდარტს, ჩვენ წინაშე მდგარი ვერც ერთი პრობლემა წარმატებით ვერ გადაწყდება. მაშასადამე, შეუძლებელი იქნება ერთიანი უშიშროების უსრუნველყოფა.

ჯაჭვის ამ რგოლების ლოგიკური კავშირი ამჟამად ისეთია, რომ ერთ-ერთი რგოლის ამოყარდნა მთელ ჯაჭვს დაშლით ემუქრება. ეს უნდა გვახსოვდეს, რათა ძველთაძველმა ჩვეულებებმა და ტრადიციებმა არ გამოიწვიონ მოსახლეობის სახიფათო გადახრა ანგარებით დამძიმებული ვიწრო ეროვნული ინტერესებისკენ.

ყოფილი საბჭოთა კავშირი „სესახელმწიფოდ“ ძირითადად სამხედრო ძლიერების წყალობით იქცა. მაგრამ, იმავე სამხედრო ძლიერების უსასრულო სრდამ სესახელმწიფო დააქვეითა მესამეხარისხოვანი ქვეყნის მდგომარეობამდე, წარმოშვა პროცესები, რომლებმაც დაშალა ქვეყანა. საერთო ეროვნულ პროდუქციაში სამხედრო ხარჯების წილით, ყოფილი საბჭოთა კავშირი აშშ-ს უსწრებდა ორჯერ, ჯანმრთელობის დაცვისთვის გაწეული ხარჯებით ნამორნებოდა ორ-ნახევარჯერ. მართალია, ყოფილი საბჭოთა კავშირი აშშ-თან სამხედრო პარიტეტით ამყობდა, მაგრამ მათ იმ პერიოდში ოცნებადაც კი არ აქონდათ კეების პროდუქტების, პირველადი მოთხოვნილების საგნების წარმოებაში პარიტეტის მიღწევა. ყოველივე ამის კატასტროფული დეფიციტი არც მათ უშიშროებას განამტკიცებდა და არც ეროვნულ ინტერესთა უსრუნველყოფას უწყობდა ხელს.

იარაღის მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი რომ დაიკავეს (საეაჭრო გარიგებათა საერთო რიცხვის 28%) და მათი მოწინავე ტექნოლოგიის დროშად კალაშნიკოვის ავტომატი აქციეს, მოსახლეობის ცხოვრების დონით, სახელმწიფოთა შექვეყნებულ ათეულში აღმოჩნდნენ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით – 32-ე ადგილზე, ბავშვთა სიკვდილიანობით – 50-ზე.

ჩვენი აზრით, არა მხოლოდ უსწეობაა, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც სახიფათოა, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების უსრუნველყოფა და კონფლიქტების მოგვარება შემოსხენებულის გათვალისწინებით, მხოლოდ ტანკებზე და იარაღზე დაფუძნდეს და სრულიად გამოირიცხოს ადამიანის კეთილდღეობა.

დღეისათვის ეროვნულ უშიშროებაზე ტრადიციული, ძველთაძველი წარმოდგენები, რაც საგარეო სამხედრო მუქარისგან ქვეყნის დაცვას გულისხმობდა, შეირყა. ეს გამოიწვია კაცობრიობის ისტორიაში ღრმა და არსებითმა სტრუქტურულმა ძვრებმა და ცვლილებებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის ზრდამ, მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ინფორმაციული ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ფორმირებამ.

საქართველოს უშიშროებას უსრუნველყოფილად და კონფლიქტებს მოგვარებულად ვერ ჩავთვლით, თუ უპირატესად სამხედრო, ანუ ძალისმიერ საშუალებებს დავეყრდნობით. ჩვენი მდგომარეობა ამ შემთხვევაში სახარბიელო არ იქნება, რადგან მსოფლიოში პოლიტიკური გავლენისა და ეროვნული ინტერესების უსრუნველყოფის წყარო სულ უფრო და უფრო ხდება ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, საფინანსო-საველუ-

ტო ფაქტორები. ხოლო შეიარაღებათა უსარმაზარ არსენალებს, რომლებშიც დიდი რესურსები და სახსრებია დაბანდებული, დღევანდელი დღის მოთხოვნებზე რაციონალური პასუხი არ გააჩნიათ. ამ შეიარაღებათა დამანგრეველი ძალა იმდენად დიდია, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია საკუთარი ქვეყნის დაღუპვის რისკის გარეშე. დიდი სამხედრო პოტენციალის ფლობა საქართველოს საიმედო დაცვას კი არ შეუქმნის, პირიქით, დაასუსტებს მას, რესურსებს მოაკლებს და შეაფერხებს მშვიდობიან განვითარებას, მაღალი ტექნიკური დონის მიღწევას, მოსახლეობის მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ცხადია, რომ ნებისმიერი საშინაო და საგარეო პოლიტიკური პროგრამა, ჩანაფიქრი თუ მოქმედება – ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საშუალებათა ჩათვლით – მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ჭეშმარიტ ეროვნულ პრიორიტეტებს, საქართველოს ხანგრძლივ ინტერესებსა და რეალურ შესაძლებლობებს, მოქალაქეთა მოთხოვნილებებს.

უშიშროების უზრუნველყოფა და ეთნოკონფლიქტების მოგვარება საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური საშუალებებით, ანუ იმის აღიარებით, რომ პოლიტიკის ძალა ძალის პოლიტიკაზე უსენაესია.

როგორ იცხოვრებს საქართველო მესამე ათასწლეულში? რას დავტოვებთ ჩვენ მემკვიდრეობად – იარაღის მთებს, რომლებსაც შეუძლიათ ყველას და ყველაფრის განადგურება, მტრობასა და კონფრონტაციას, ეკოლოგიურ კოლაფსსა და ეკონომიკურ წყობას, რომელიც თავისით ინგრევა, თუ კეთილმეხოველობისა და გლობალური თანამშრომლობის სისტემას, რომელშიც აღარ იქნება არანაირი სამხედრო და სხვაგვარი

მუქარა, სისტემას, რომელშიც ყველას შეეძლება თავისუფლად შრომა, ცხოვრება და რაც მთავარია, ცხოვრებით გახარება.

დიდი გამოხედობა არ სჭირდება იმის თქმას, რომ ხეაღინდელი დღის ბედი უკვე დღეს წყდება. საქართველოს მომავალი თაობის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გვესმის მდგომარეობა ქვეყნისა, რომელშიც ვცხოვრობთ; იმაზე, თუ რამდენად სწორად ვხედავთ საქართველოს განვითარების ტენდენციებს და რამდენად საფუძვლიანად ვირჩევთ ჩვენი ქვეყნის ორიენტირებს.

უნაყოფოა იმაზე ფიქრი, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა თავისით გაქრება. უფრო ეფექტური იქნება, რომ ჩვენვე მოვაგვაროთ კონფლიქტები, შევანელოთ დაპირისპირება, ავიცილოთ უთანხმოება, გავააქტიუროთ კონტაქტები და, ამასთანავე, გადავიდეთ მრავალმხრივი მოლაპარაკების მექანიზმების გამოყენებაზე.

სხვა მრავალთან ერთად, ბოლო წლების ერთ-ერთი მიმღე და ტრაგიკული გაკვეთილი ქართველი ხალხისთვის იხიცაა, რომ ნებისმიერი შინააშლილობა, სამოქალაქო თუ ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი და არაკეთილმოსურნეთა მიერ ინსპირირებული დაპირისპირება მტრის წისკიელზე ასხამს წყალს. აფხაზეთი არ არის მხოლოდ მიწა, წყალი, ჰაერი, არამედ ეს არის თითოეული ნეენგანის – დეენილის და არადეენილის – სულიერი ტკივილი, ნეენი სისხლის ყივილი.

გასულ წლებში ენეევაში დასრულებული მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე სეპარატისტთა წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს წამოუყენა მოთხოვნა 1992–1993 წლების ომში მიყენებული „სარაღის საკომპენსაციოდ 60 მილიარდი დოლარის გადახდის თაობაზე“ აქეთ კი გაცნობიერებული მათ, რა სიდიდეა 60 მილიარდი დოლარი? ან კიდევ: ვისთვის ითხოვენ ამ „დაპრულ თანხას? რა თქმა უნდა არა იმ 300 ათასი დტოლევილისთვის, რომლებიც დღეს იძულებით არიან მოწყვეტილნი მშობლიურ კუთხეს. გამოდის, რომ იმათთვის, ვინც წარწა აფხაზეთში, „კომპენსაცია“ არც მეტი, არც ნაკლები, 200 ათასი დოლარი უნდა იყოს თითოეულზე“!

ფანტასტიკაა, რა თქმა უნდა! ფაქტი კი ის გახლავთ, რომ საკუთარი მიწა-წყლიდან დეენილი ქართველობა ახლაც არწენს აფხაზეთში წარწენილ მოსახლეობას, რადგან ეს უკა-

³ იხილეთ არწეაიე. კუბლიცისტური სტატეების კრებული. „თუ დაგივიწყო აფხაზეთო“ გვ 41. თბილისი 2004წ.

ნასკენელი მნიშვნელოვანწილად სწორედ ქართველთა მიტოვებული ქონების მითვისებით, მათ ბაღებში მოკრეფილი ციტრუსებისა და სხვა ხილის რეალიზაციით ირჩენს თავს.

60 მილიარდი დოლარი – ეს თითქმის იმდენივეა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდომ პერიოდში აშშ-ის მთავრობამ დახარჯა მარშალის გეგმით თითქმის 250 მილიონიანი მოსახლეობის მქონე დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკის აღდგენისთვის. თვით რუსეთმაც, მოვლი თავისი მცდელობისა და ავტორიტეტის მიუხედავად, პრეზიდენტ ელცინის ზეობის 7 წლის განმავლობაში 28 მილიარდ დოლარზე მეტ უცხოურ ინვესტიციებს ვერ მოუყარა თავი.

დასკვნა ერთია: აფხაზთა ახლანდელმა ლიდერებმა ან არ იციან თველა, ან სურთ გაღმა შედაგებით „გამოდმა მხარე“ შეინარსუნონ. რეალური ფაქტების მიხედვით კი ომი აფხაზებს მხოლოდ საკუთარ ხარჯზე რომ ეწარმოებინათ, საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ თავიანთი შემოსავლებით, უძრავ-მოდრავი ქონების ღირებულებით დაეფინანსებინათ, ეს მათ მხოლოდ 18–20 დღე თუ ეყოფოდათ. შეიარაღებული კონფლიქტი და, შესაბამისად, მისი დაფინანსება კი 13 თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა; – კონფლიქტის მიმდინარეობის დროს აფხაზეთის ქართველმა მოსახლეობამ 7 მილიარდზე მეტი დოლარის ეკვივალენტური პირადი ქონება დაკარგა, მათ შორის, მარტო სოხუმის დაცემისას – თითქმის 2 მილიარდი დოლარის ქონება; – საქართველოს ეკონომიკისთვის აფხაზეთში საომარი მოქმედებებითა და მისი შედეგებით მიყენებული ზარალი, ექსპერტთა შეფასებით, დაახლოებით 30 მილიარდი დოლარისაა და იგი ყოველდღიურად იზრდება..

სხაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთის იმპერიულმა ამბიციამ შეიწირა საქართველოს თითოეული ოჯახის 12 ათასი დოლარის შემოსავალი, დეკნდთა სხვა ქონება'სე და მამაპაპისეულ სახლ-კარ'სე რომ აღარაფერი ვთქვათ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ წლებში მომხდარი კონფლიქტებისა და ეკონომიკური კოლაფსის გამო, როგორც მოლიანად საქართველოს, ისე აფხა'სეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. აფხა'სეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს და საგრძნობლად შეამცირა მისი ეკონომიკური პოტენციალი, რადგან ეს ტერიტორიები, განსაკუთრებით აფხა'სეთი, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რეგიონი იყო.

აფხა'სეთის ეკონომიკაში ძირითადი ადგილი ეკავა მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, საკურორტო-ტურისტულ მეურნეობასა და ტრანსპორტს. მრეწველობის დარგებს წარმოადგენდა ქვანახშირის მოპოვება, ენერგეტიკა, ლითონდა-მუშავება, ჩაისა და თამბაქოს მრეწველობა. სოფლის მეურნეობაში წამყვანი როლი ეკავა მრავალწლიანი და სპეციალური ერთწლიანი კულტურების მოშენებას, ჩაისა და სუბტროპიკული მიწადმოქმედების სახით, განვითარებული იყო მეხილეობა-მევენახეობა, აგრეთვე მეცხოველეობა, მეფრინველეობა და მებაბრეშუმეობა. საკურორტო-ტურისტული მეურნეობის მნიშვნელოვანი როლი განისა'ხდებოდა ხელსაყრელი კლიმატური პირობებით, ზღვის პლაჟებით, ბალნეოლოგიური რესურსებითა და ღამაზი ბუნებით. ტრანსპორტი წარმოდგენილი იყო რუსეთ-ამიერკავკასიის დამაკავშირებელ

შაეი'სლდვისპირა რკინიგზით და სააეტომობილო მაგისტრალებით, სა'ხლვაო და საჰაერო კომუნიკაციებით.

ამჟამად აფხა'სეთს დაკარგული აქვს თავისი ტრადიციული დარგობრივ-ეკონომიკური სტრუქტურა. იგი არის ჩაკეტილი, თვითუ'სრუნველყოფადი სამეურნეო ერთეული, ხუსტად განვითარებული საგარეო-ეკონომიკური კავშირებით, რომელსაც აქცენტი აქვს აღებული სამხედრო პოტენციალის ზრდა'სე. ამჟამად აფხა'სეთის ეკონომიკაში დომინირებს ორი დარგი – სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა. მრეწველობა, როგორც ეკონომიკის სხვა დარგები, უმისიმეს მდგომარეობაშია. საწარმოთა უმრავლესობა კონფლიქტის დაწყებიდან განერებულია, რაც განპირობებულია სხვადასხვა მი'სე'სებით, კერძოდ:

- აფხა'სეთის მოსახლეობის ნახევარ'სე მეტი ან ლტოლვილია, ან ემიგრაციაში იმყოფება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკა განიცდის შრომითი რესურსების, განსაკუთრებით კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობას.

- საწარმოებს არ გააჩნიათ ფინანსური რესურსები, არ ხორციელდება ინვესტიციები, განუვითარებელია საფინანსო და საბანკო სისტემა.

- შეუძლებელია მრავალი საწარმოს აღდგენა, რადგან ისინი დანგრეულია და გაძარცვული.

აფხა'სეთს სახმელეთო-სატრანსპორტო გ'ზის თვალსაზრისით, სტრატეგიული მდებარეობა უკავია. იგი ერთმანეთთან აკავშირებს რუსეთს, საქართველოს, ა'სერბაიჯანსა და სომხეთს. სარკინიგ'ზო მაგისტრალი რუსეთთან აკავშირებს საქართველოს მნიშვნელოვან ნავსადგურებს (ფოთი, ბათუმი) და ქმნის მთლიანად კავკასიის რეგიონისთვის სპეციფიკური მნიშვნელო-

ბის სატრანსპორტო სისტემას. ეონფლიქტის შედეგად ეს სატრანსპორტო სისტემა მთლიანად მოიშალა, რადგან ბლოკირებულია აფხაზეთის ტერიტორიის გავლით მგზავრების გადაყვანა და ტვირთების გადაზიდვა.

აფხაზეთის ბიუჯეტი. აფხაზეთის ბიუჯეტი შედგება ცენტრალური ბიუჯეტისა და რაიონული ბიუჯეტებისგან. ბიუჯეტის ხარჯების დაახლოებით 65–70% მოდის ცენტრალურ ბიუჯეტზე, დანარჩენი კი ქ.სოხუმისა და აფხაზეთის რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებზე. ბიუჯეტი დგება რუსულ მანეთებში, რადგან აფხაზეთში ოფიციალური საგადაამხდლო საშუალება არის რუსული მანეთი. ძალზედ მწირია აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები. მისმა შემოსავლებმა 2004 წლისთვის შეადგინა 377 მილიონი რუსული რუბლი – დაახლოებით 13 მილიონი აშშ დოლარი. ხოლო „АПСНЬПРЕСС“-ის ინფორმაციით, სეპარატისტული მთავრობის 2006 წლის ბიუჯეტი შეადგენს 901.149.300 რუსულ მანეთს, ანუ 58.214 მილიონ ლარს (დაახლოებით 32 მლნ აშშ დოლარი). მათი განცხადებით, წლევეანდელი ბიუჯეტი 39,9%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. ხოლო აფხაზეთის სამხედრო ბიუჯეტი მთლიანი ბიუჯეტის 20–22% შეადგენს. აქედან ნათლად ჩანს, რომ აფხაზეთი გარე ძალებიდან იღებს სერიოზულ ფინანსურ დახმარებას, რადგან თავისი უკიდურესად მწირი ბიუჯეტით, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ნამდვილად ვერ შეძლებს რეგიონის მინიმალური ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც კი.

აფხაზეთში ფაქტიურად მოშლილია კოლექტიური სოციალური მოხმარების ინსტიტუტები. მასობრივი უმუშევრობის პირობებში, მოსახლეობა ნატურალური მეურნეობიდან მიღებული პროდუქციითა და პუმიანიტარული დახმარების წყალობით ირჩენს თავს.

აფხაზეთი წარმოადგენს მიუხრუჭს საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროცესში. აფხაზეთზე კონტროლის უმტკივნეულოდ დამყარების შემთხვევაში, საქართველო გარკვეული პრობლემების წინაშე დადგება. კერძოდ, აფხაზეთში მოშლილი ინფრასტრუქტურისა და ცხოვრების ნორმალური რიტმის აღსადგენად, საჭირო გახდება განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის დახარჯვა საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

ბანკები და ფულის მიმოქცევა. აფხაზეთში 15 ვერეთ წოდებული სახელმწიფო და კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. მოსახლეობის ანაბრები მინიმალურია, ამიტომ ფინანსური უსრუნველყოფა სასღვარგარეთული წყაროების ხარჯზე ხდება. ცენტრალური ბანკის ფუნქციებს საქართველოს ეროვნული ბანკის აფხაზეთის ყოფილი ფილიალი ასრულებს, რომელიც დღეს „აფხაზიაბანკის“ სახელით იწოდება. „აფხაზიაბანკს“ არ გააჩნია ის მარეგულირებელი თუ საზედამხედველო ფუნქციები, რომელიც ცენტრალურ ბანკს უნდა ჰქონდეს. იგი ვერ ახორციელებს ეროვნული ვალუტის ემისიარეგულირების და კომერციული ბანკების ზედამხედველობის და ლიცენზირების სამუშაოებს.

როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კომერციული ბანკების რეგისტრაცია და ლიცენზირება საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციაა, რის გარეშეც

მათ არა აქვთ რაიმე სახის საერთაშორისო ოპერაციების განხორციელების უფლება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ნორმების უკუღებულყოფით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მანკ ფუნქციონირებს რუსეთის კომერციული ბანკების – „მენატეპის“, „ტიკობანკის“, „ინკომბანკის“ და სხვათა ფილიალები. ამით კი უხეზად ირღვევა „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონი. აფხაზეთის ე.წ. კომერციულ ბანკებს გახსნილი აქვთ ფილიალები რუსეთის ტერიტორიაზეც. აფხაზეთში მოქმედ კომერციულ ბანკებს, საქართველოს ეროვნული ბანკის გვერდის ავლით, გახსნილი აქვთ საკორესპონდენტო ანგარიშები სახლვარგარეთის ქვეყნების ბანკებშიც.

დეფაქტო ხელისუფლებასთან კავშირი აქვთ, პირველ რიგში, რუსეთის საბანკო და კომერციულ სტრუქტურებს. მაგალითად, მოსკოვში არსებულმა „არგობანკმა“ 1994 წელს აფხაზეთის სხვადასხვა ფინანსური სტრუქტურების ანგარიშით გადარიცხა 16 მილიარდი რუსული მანეთი (4 მილიონი აშშ დოლარი). რუსეთის „აგროპრომბანკმა“ კრედიტის სახით აფხაზეთისთვის 3 მილიარდი მანეთი (0.75 მილიონი დოლარი), ხოლო ბანკმა „ვოზროუდენიემ“ სოხუმის სახლვარგარეთის აღსადგენად 2 მილიარდი მანეთი (0.5 მილიონი დოლარი) გამოყო. მოსკოვის „მეურეგიონალნი კომერჩესკი ბანკმა“ აფხაზეთის ხელისუფლებას მარტო 1993–1994 წლებში 7.7 მილიონი დოლარი და 2 მილიარდი რუსული მანეთი (0.4 მილიონი დოლარი) გადაურიცხა. აფხაზი სეპარატისტები რუსეთის სხვა ისეთ კომერციულ სტრუქტურებთანაც თანამშრომლობენ, როგორებიცაა მაგალითად: „საგარეო ეკონომიკური ბანკი“, „რუსეთის ეროვნული ბანკის სავალუტო ბირჟა“, „საერთაშორისო სატყეო ბირჟა“.

„ქინაეთობი“, „პროდუქტებისა და მიწის რესპუბლიკათა შორის ბირჟა“, „მოსკოვის სასაქონლო ბირჟა“ და ა.შ.

პრაქტიკულად, ყველა აფხაზეთურ საწარმოს ან ორგანიზაციას საკუთარი ანგარიშები რუსეთის ბანკებში აქვთ გახსნილი. ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელებისას ისინი, ხშირ შემთხვევაში, რუსული ბანკების მომსახურებით სარგებლობენ, რადგან თვით აფხაზეთში საბანკო სექტორი არ არის განვითარებული. ბოლო მონაცემებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედებს ერთი ევრეთ წოდებული სახელმწიფო, ერთი შემნახველი და თხუთმეტი კომერციული ბანკი. არც ერთ მათგანს საქართველოს ეროვნული ბანკის სათანადო ლიცენზია არ გააჩნია, შესაბამისად, არც საბანკო საქმიანობის უფლება აქვს. ეს ბანკები ფულად-საკრედიტო ოპერაციებს რუსეთის ფედერაციის ანალოგიურ სტრუქტურებთან ახორციელებენ.

აფხაზეთში ბანკებმა ამოქმედეს რუსეთთან ელექტრონული ანგარიშსწორების მექანიზმი და ჩართულნი არიან სრულიად რუსეთის საფინანსო-საკრედიტო სისტემა „სოლოტაია კორპორაში“, რაც რუსეთის ფედერაციიდან აფხაზეთში და პირიქით ნებისმიერი თანხის თავისუფლად გადარიცხვის საშუალებას იძლევა. ასეთი მომსახურების საფასური კი მხოლოდ 1-2%-ს შეადგენს. დაახლოებით 2002 წლის მარტის შუა რიცხვებში დეფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრ ანრი ჯერგენიას ძალისხმევით, აფხაზეთში ინვესტბანკიდან (რუსეთის ფედერა-

⁴ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. მოხსენება: „ეკონომიკური ვითარება აფხაზეთში, სეპარატისტული რეჟიმის ფინანსური და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები“. VIII თავი, ფარული დახმარების წყაროები. თბილისი 1998წ.

(30ა) მიიღეს კრედიტი 10 მილიონი რუსული რუბლის ოდენობით.

რუსულ ბანკთა ასოციაციამ 2003 წლის 4 სექტემბერს სოჭში წაატარა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „საბანკო სექტორი და მსოფლიო ფინანსური სისტემა, ურთიერთქმედებებისა და თანამშრომლობის პერსპექტივები“. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი ფინანსისტები და საბანკო დაწესებულებების ხელმძღვანელები, მათ შორის, აუხა'სეთში არსებული „შემნახველი ბანკისა“ და „გარანტ-ბანკის“ გამგეობების თავმჯდომარეები. აუხა'სეთთან მიმართებაში აქტიურ საფინანსო ოპერაციებს ახორციელებს რუსეთის ერთ-ერთი ძლიერი ბანკი – „ენექსიმბანკი“. ამ ფინანსური დაჯგუფების ირგვლივ გაერთიანებული არიან რუსეთში მოღვაწე აუხა'სი ბიზნესმენებიც, რომლებიც დღეისთვის სერიოზულ კაპიტალს ფლობენ, მაგრამ აუხა'სეთში პოლიტიკური სიტუაციის საბოლოო დარეგულირებამდე თავს იკავებენ მასშტაბური კაპიტალდაბანდებაები სგან. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტს საბანკო ანგარიში აქვს მოსკოვის „ბიზნესბანკის“ სოჭის ფილიალში. ე.წ. ნაციონალური ბანკი მკიდროდ თანამშრომლობს კრასნოდარის „კრაინვესტბანკთან“ და გახსნილი აქვს რამდენიმე ანგარიში. ე.წ. სახელმწიფო კომპანიები რუსეთის ფედერაციაში საბანკო ოპერაციებს ძირითადად ახორციელებენ კრასნოდარის „კრაინვესტბანკისა“ და ბანკ „მოსკვის“ სოჭის ფილიალის მეშვეობით.

სოხუმში მოქმედ „გარანტბანკს“ ანგარიში აქვს გახსნილი და საკრედიტო-საფინანსო საქმიანობაში დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს მოსკოვში არსებულ „სდმ ბანკ“-თან.

ბანკი ასევე თანამშრომლობს მოსკოვში მდებარე „აქბ რუს-სალაბანკ“-თან (2003 წელს აფხაზურ გარანტბანკმა აღნიშნულ ბანკთან გააფორმა ხელშეკრულება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენების შესახებ), „კუბანტორგ-ბანკთან“, „კრაიინვესტბანკთან“ და „აზიაუნაივერსალბანკთან“. მოსკოვის სააქციო კომერციულმა ბანკმა „ინტერკოოპბანკმა“, რომლის გამგეობის თავმჯდომარეა ბ.დ.ღვერერი, აფხაზეთის შემნახველი ბანკი ჩართო ფულადი გზავნილების მომსახურების სისტემა „ინტერექსპრესში“.

აფხაზური კომერციული თუ სახელმწიფო სტრუქტურები სარგებლობენ შემდეგი რუსული ბანკების მომსახურებით: „დინბანკი“ (როსტოვი), „კავკასპრომსტროიბანკი“ (ნერკესკი), „ენეშაგრობანკი“ (კოლომნა), „სიტიბანკი“ (მოსკოვი), ‘იუგბანკი“ (კრასნოდარი), ურალის „საგარეო ვაჭრობის კომერციული ბანკი“ (ეკატერინბურგი), „სმოლენსკის ბანკი“ (სმოლენსკი), „მოსკოვრი-ვატბანკი“ (სოჭი), „მოსკოვის კერძო ბანკი“ (მოსკოვი), „იუგო-სა-პადნი ბანკი“ (როსტოვი), „სევერო-საპადნი ბანკი“ (სანკტ-პეტერბურგი), „ბანკი სევერნაია კაზნა“ (ეკატერინბურგი), „სვიაზ-ბანკი“ (მოსკოვი), „იუნიასტრუმი ბანკი“ (მოსკოვი), „როსბიზნეს-ბანკი“ (მოსკოვი), „დამოუკიდებელი საინვესტიციო ბანკი ატონი“ (მოსკოვი), „მეკპრომბანკი“ (მოსკოვი), „ევროპრომინვესტი“ (მოსკოვი);⁵

ქვემოთ მოგვყავს აფხაზეთში მოქმედი ბანკების სია, რომლებსაც საქართველოს ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე რუსეთში გახსნილი აქვთ საკორესპონდენტო ანგარიშები:

⁵ <http://www.abkhazeti.info>

აფხაზეთის ეროვნული ბანკი; შემნახველი ბანკი; სოხუმ-ბანკი; ტიკო; უნივერსალ ბანკი (ყოფილი მენატეპი); ინვესტ-ბანკი; გაგრაბანკი; ეშერაბანკი; აგრობანკი; გუდაუთაბანკი; გარანტბანკი; ბაშნიხუბანკი, მას საკორესპონდენტო ანგარიში გახსნილი აქვს მოსკოვის სააქციო-კომერციულ ბანკ აგროში; გალბანკი; სოტოს ბანკი; ლეონ ბანკი; პრესტიჟი; ონამირის ბანკი.

რუსეთი აფხაზეთს დახმარებას უწყევს აგრეთვე სურსათით, მედიკამენტებით, ნავთობპროდუქტებით, ელექტროენერჯით, საშენი მასალებით მომარაგების საქმეში. გამომდინარე აქედან, რუსეთის ბანკების ნაწილი კრედიტების გაცემისას მყარ გარანტიებს ითხოვს. აფხაზეთში მხარე ამგვარი გარანტიების სახით მათ სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სასტუმროების, აგრეთვე საკურორტო ზონაში მიწის ნაკვეთების გადაცემას სთავაზობს.

მრეწველობა. აფხაზეთის მრეწველობა, ისევე როგორც მისი ეკონომიკის სხვა დარგები, გარდა მცირე გამონაკლისისა, ფაქტიურად მოშლილია. არ ფუნქციონირებს არცერთი სამრეწველო საწარმო. ხოლო ისინი, რომლებიც მუშაობენ, დახურვის საშიშროების წინაშე დგანან. გასული საუკუნის 80-იან წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქცია შეადგენდა საქართველოში წარმოებული პროდუქციის 12%-ს. 1985–1990 წლებში აფხაზეთში მუშაობდა 500-მდე სამრეწველო საწარმო, სადაც დასაქმებული იყო 30,9 ათასი ადამიანი. აღნიშნულ პერიოდში წარმოებულმა პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 223,4 აშშ დოლარი. 1990 წელს ეს თანხა გაიზარდა

2,87 მილიარდ აშშ დოლარამდე, ხოლო შემდგომ წლებში თანხა საგრძნობლად კლებულობს.

აფხაზეთში ბოლო პერიოდამდე მუშაობდა ქარხანა „სოხუმხელსაწყო“, რომელიც დატვირთული იყო თავისი სიმძლავრის მხოლოდ 5%-ით. დღესდღეობით იგი ფაქტიურად უმოქმედოა. უმნიშვნელო დატვირთვით ჯერ კიდევ მუშაობს სოხუმის გემ-შემკეთებელი ქარხანაც, რომელიც თბომავლებსა და ბორნებს არემონტებს. ფაქტიურად, აღარ არსებობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი დარგები. ქონამხირეში დიდი შეფერხებით მუშაობს ქარხანა, სადაც აკონსერვებენ ხილს და ასხამენ უალკოჰოლო სასმელებს და მინერალურ წყალს. 1992–93 წლებში კონფლიქტის გამო, სამრეწველო პროდუქციის 'სარალმა შეადგინა 62,1 მილიონი ლარი.

ენერგეტიკა. აფხაზეთის პიდრორესურსები ელექტროენერჯის გამომუშავების საკმაოდ კარგ შესაძლებლობას იძლევა. აფხაზეთი ელექტროენერჯიას ძირითადად იღებს ენგურის პიდრო-ელექტროსადგურიდან, რომლის წყლის რეზერუარი მდებარეობს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, გამანაწილებელი სისტემა კი აფხაზეთშია. მხარეების შეთანხმებით, გამომუშავებული ელექტროენერჯის 40% მიეწოდება აფხაზეთს, ხოლო 60% – დანარჩენ საქართველოს. გარდა ამისა, აფხაზეთი რუსეთიდან დამატებით იღებს საჭირო ელექტროენერჯის 20%-ს, თუმცა ამ შემთხვევაში ხშირია ძაბვის ვარდნები და ფაქტიურად ვერ ხერხდება დახარჯული ელექტროენერჯის საფასურის ამოღება.

ენგურის ჰესიდან 1993–98 წლებში აფხაზეთის რეგიონი-სათვის მიწოდებულია 2224,1 მლნ. კვტ. სთ. ელექტროენერჯია,

რომლის ხაერთო ღირებულებაა 62,7 მლნ. ლარი. იგი აფხაზეთის მხარეს დღემდე არ აუნაზღაურებია. ვარდნილჰესი 1, რომელიც გაღის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს და საიდანაც ხდება ელექტროენერჯის გაცემა აფხაზეთისთვის, ოპერატულად საქართველოდან იმართება. ენგურჰესზე ქართველი მუშა-მოსამსახურეები არიან დასაქმებულნი და წარმოების ხარჯებსაც (ხელფასები, მატერიალური დანახარჯები და სხვ.) საქართველოს მხარე ფარავს. აფხაზეთისთვის ელექტროენერჯის უფასოდ მიწოდება იძულებითი ნაბიჯია აფხაზეთა მხრიდან შანტაჟის გამო (ისინი აფხაზეთში ელექტროსადგურის განერებით იმუქრებიან). აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე რკინიგზა და მოსახლეობა თითქმის არ იხდის ელექტროენერჯის საფასურს. აფხაზეთის ელექტროენერჯის 50% მოიხმარება მოსახლეობის მიერ, მათი ყოველდღიური საჭიროებისათვის, თუმცა ძირითად საშუალებად კვლავ შეშის ღუმელი რჩება. ელექტროენერჯის დაახლოებით 15% მოიხმარება რაიონული ადმინისტრაციის, 33% კომერციული სტრუქტურების, ხოლო 2% რკინიგზის მიერ.

აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის გავრცელების შემდეგ საჭირო იქნება იმ ელექტროსადგურების ამუშავება, რომელთა ექსპლუატაცია ამჟამად შეჩერებულია. სოხუმჰესი II, რომლის სიმძლავრეა 20 მეგავატი და რომელიც მნიშვნელოვანწილად განადგურებულია, მოითხოვს 3 გენერატორის შეცვლას. აღსადგენია აგრეთვე ქ.სოხუმისთვის ელექტროენერჯის მიწოდებული ხაზები. მნიშვნელოვანი ინვესტიციები იქნება საჭირო ვარდნილჰესის კასკადების სადგურების ექსპლუატა-

ციაში შესაყვანად. გაეროს მისიის მიერ დადგენილია ენერგეტიკული კომპლექსის პირველი რიგის სამუშაოებისთვის საჭირო თანხა – 15 მილიონი დოლარი, ანუ მოკლევადიანი 8,2 მლნ. დოლარი. საშუალო და გრძელვადიანი პროგრამების განხორციელებაზე 12 მილიონი დოლარია გათვალისწინებული. მთლიანმა თანხამ 35,2 მილიონი დოლარი უნდა შეადგინოს.

სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობას წამყვანი ადგილი ეკავა აფხაზეთის ეკონომიკაში, რასაც ხელს უწყობდა მისი ბუნებრივი პირობები. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობის 40%-ზე მეტი ჩაის, ციტრუსებსა და სხვა მრავალწლიან შრომატევად კულტურებს ეკავათ. საომარმა მოქმედებებმა და პოლიტიკურმა კონფრონტაციამ აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა რეგიონის მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას.

საბჭოთა კავშირის დაშლამ აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოს დაუკარგა სუბტროპიკული პროდუქციის ბაზარი. ამ გარემოებას დაერთო აფხაზეთისთვის 1996 წელს დაწესებული საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა. თუმცა აფხაზეთიდან ლეგალური თუ არალეგალური გზებით მაინც ხდება რუსეთსა და თურქეთში პროდუქციის გატანა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში აფხაზეთში ციტრუსების წარმოება წელიწადში საშუალოდ შეადგენდა 80–120 ათას ტონას, ჩაის მზა პროდუქცია 80–100 ათას ტონას, თამბაქო – 6–7 ათას ტონას. განვითარებული იყო ასევე მევენახეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა და ა.შ. აფხაზეთის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობას ეთმობოდა 405,2 ათასი ჰექტარი. ამავე პერიოდში აფხაზეთში ფუნქციონირებდა 93 კოლმეურ-

ნეობა, მათ შორის 2 თექვის, სადაც დასაქმებული იყო 60 ათასი ადამიანი.⁶

1992–93 წლებიდან მკვეთრად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენება. სახნავი მიწების დაახლოებით 60% საერთოდ დაუმუშავებელია. მოსავლენობის მკვეთრი შემცირება გამოწვეულია სათესლე კულტურების, ქიმიკატების, სასუქებისა და საწვავის უქონლობით, ასევე მექანიზაციის დონის დაცემით.

აფხაზეთში განლაგებულია საქართველოს ციტრუსების პლანტაციათა 40%. დღეს კი აღურიცხავი რაოდენობით იწარმოება ჩაი და ციტრუსები, რომლებიც არალეგალურად იყიდება რუსეთში. მოგების დაახლოებით 60% საერთოდ არ აღირიცხება. მკვეთრად დაეცა ციტრუსების მოსავლიანობაც. თუ ასეთი ვითარება კვლავ გაგრძელდა, ეს შეიძლება სუბტროპიკული კულტურის განადგურების მიზეზი გახდეს. მათი აღდგენა კი დიდ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს. ადგილობრივ მოსახლეობას ძირითადად მოჰყავს სიმინდი და ლობიო, გასაყიდად კი აწარმოებენ თხილს. შეიარაღებული კონფლიქტის დროს პირუტყვისა და ფრინველის საერთო სულადობა, 1989 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა, თითქმის 60%-ით. მეცხოველეობა, როგორც ღარი, განადგურებულია. როგორც აღვნიშნეთ, დარჩენილია თხილის ბისნესი, რომლის ექსპორტიც აფხაზეთში ფულის შემოდინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

⁶ ЭКОНОМИКА АБХАЗИИ. Аграрный комплекс и лесное хозяйство. <http://www.abkhazeti.ru/pages/2/174.html>

ტყის მასივებს აფხაზეთში ეკავათ 492 ათასი ჰექტარი. აფხაზეთის ტყეში ხარობდა 180 ჯიშის ხე, მათ შორის საკმაოდ უნიკალურებიც. დღეს კი იწეხება უკანონოდ ეს ნარგავები და იყიდება სასლვარგარეთ, ხოლო აქედან მიღებული თანხა სუპერარტიტული მთავრობის ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლის წყაროა. სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის და გაგრის რაიონებში განეხილია ხე-ტყის უნიკალური მასივები.

კონფლიქტის პერიოდში მკვეთრად შემცირდა ტრაქტორებისა და სხვა მექანიზმების რაოდენობა. განსაკუთრებით კი გალის რაიონში. თუ აქ ადრე განთავსებული იყო მთელი აფხაზეთის სატრაქტორო პარკის 30%, ამჟამად დარჩენილია მხოლოდ 5%. 1991 წლიდან აფხაზეთში ახალი მანქანა-დანადგარები არ შესულა.

ამრიგად, სოფლის მეურნეობა, ისევე როგორც აფხაზეთის მთელი ეკონომიკა, თვითდინებაზეა მიშვებული. სასაქონლო წარმოება ამ დარგში მოიშალა. ამჟამად მისი ძირითადი დანიშნულება არის იქ დარჩენილი მოსახლეობისთვის აუცილებელი საარსებო სურსათის წარმოება, ამიტომ იგი ძირითადად ნატურალურ ხასიათს ატარებს.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. აფხაზეთს კომუნიკაციების თვალსაზრისითაც სტრატეგიული მდებარეობა უკავია. იგი ერთმანეთს აკავშირებს რუსეთს, დანარჩენ საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს. კონფლიქტის შედეგად საკომუნიკაციო სისტემა საერთოდ მოიშალა. მნიშვნელოვნად დაზიანდა გზები და ხიდები, როგორც კონფლიქტის, ასევე მის შემდგომ პერიოდში სარემონტო სამუშაოების ჩაუტარებლობის გამო. აფხაზეთის მხარის გაანგარიშებით, გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას დაახლოებით 4 მილიონი აშშ დოლარი სჭირდ-

ება. გაეროს ექსპერტებს კი მიანიჩიათ, რომ ეს თანხა გაცილებით მეტია.

აფხაზეთში ფუნქციონირებს სოხუმის, ოჩამჩირის, გაგრისა და გუდაუთის ნავსადგურები. თავისი შესაძლებლობებით მნიშვნელოვანია სოხუმის ნავსადგური, რომელსაც დიდტონაჟიანი გემების მიღება შეუძლია. 80-იან წლებში სოხუმის ნავსადგურიდან საშუალოდ 1,3 მილიონი მგზავრის გადაყვანა ხდებოდა. საზღვაო ტრანსპორტით აფხაზეთში სარკინიგზო ტრანსპორტთან შედარებით 24-ჯერ და სააერომობილო ტრანსპორტთან შედარებით 79-ჯერ ნაკლები ტვირთი გადაიზიდებოდა. რაც შეეხება მგზავრების გადაყვანას, იგი სარკინიგზო ტრანსპორტს ჩამორჩებოდა 2,3-ჯერ, ხოლო სააერომობილო ტრანსპორტს – 8,3-ჯერ. აფხაზეთისთვის დაწესებული სავაჭრო შეზღუდვების მიუხედავად, სოხუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა მაინც მნიშვნელოვანია.

რეგიონის მთავარი აეროპორტი მდებარეობს სოხუმის მახლობლად, გულრიფშში. მისი დატვირთვა შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში. ამჟამად იგი არ ფუნქციონირებს. მწყობრიდანაა გამოსული სარკინიგზო მაგისტრალი. მარტო 1988 წლის მონაცემებით, საქართველოს რკინიგზას გადაჰქონდა 60 მილიონამდე ტონა სხვადასხვა ტვირთი და გადაჰყავდა 19,4 მლნ მგზავრი. დღეისათვის კი გადააქვს 11,5 მლნ ტონა სხვადასხვა ტვირთი და გადაჰყავს 2,2 მლნ მგზავრი. ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს, თუ რა სტაგნაცია განიცადა საქართველოს რკინიგზამ?

⁷ ლეჟან ზაადიშვილი. "საქართველო საქრთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების სისტემაში" (ეკონომიკური ასპექტები). ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის აბტორეფერატი. გვ 17, თბილისი 2003წ.

რაც შეეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, დღეს მათ უმეტეს ნაწილს აკონტროლებს ადგილობრივი ხელისუფლება. მთავრობა აფინანსებს ტელევიზიასა და რადიოსადგურებს. აფხაზეთში არ არის არცერთი კერძო ტელევიზია და რადიოსადგური. არ არსებობს ისეთი კომერციული სტრუქტურები, რომლებიც დააფინანსებენ თუნდაც დამოუკიდებელ პრესას. დღეისათვის გამოდის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ დაფინანსებული გაზეთები „რესპუბლიკა აფხაზია“ რუსულ და აფხაზურ ენებზე, „КУЛЬТУРА и ЖИЗНЬ“, „АПСНЫ“, „НУЖНАЯ газета“. პრესაში იგრძნობა მკაცრი შინაგანი ცენზურის არსებობა.

მშენებლობა და საბინაო-კომუნალური მეურნეობა. აფხაზეთის ინფრასტრუქტურა მიიმე მდგომარეობაშია. იგი ძირითადად დაინგრა და განადგურდა, როგორც საომარი მოქმედებების დროს, ასევე შემდგომ პერიოდში. ხელისუფლებას არ გააჩნია შესაძლებლობა შეინარჩუნოს და აღადგინოს საზოგადოებრივი საკუთრების ობიექტები და კერძო საცხოვრებლები, რის შედეგადაც მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება. აფხაზეთის საბინაო ფონდის უმეტესი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაშია. აფხაზეთში არ არსებობს უბინაობის პრობლემა, რადგან მოსახლეობის მკვეთრი შემცირების პირობებში ხდება ქართველებისგან გამოთავისუფლებული ბინების უკანონო დაკავება. მრავალი შენობა საჭიროებს შეკეთებას, აღსადგენია სააუადმყოფოები, სკოლები, კავშირგაბმულობის ობიექტები და ა.შ.

არადამაკმაყოფილებელი კომუნალური მომსახურების (წყალ-მომარაგება, კანალიზაცია და ნაგვის გატანა) გამო კრიზისული მდგომარეობაა ბევრ ქალაქსა და დაბაში, სადაც ეპიდემიების განენის რეალური საფრთხეა. წყალმომარაგება და საკანალიზაციო სისტემა თითქმის ყველგან მოშლილია. ცენტრალური თბომომარაგების სისტემის პირვანდელი სახით აღდგენა შეუძლებელია მისი სრული მოშლის გამო. ამჟამად მოსახლეობა გასათბობად ძირითადად ელექტროენერჯიასა და შეშას იყენებს.

ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა. აფხაზეთში მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ძირითადი წყარო ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა იყო. აფხაზეთის საკურორტო ზონები ასე ნაწილდებოდა: გაგრა-ლესელიძე-ბიჭვინთა; გუდაუთა-მიუსერა; ახალი ათონი-სოხუმის სანაპირო; გულრიფში-რიწა-აუდხარა; ბზიფისა და გუმისთის ნაკრძალები და ა.შ. მრავლად მუშაობდა სასტუმროები და ტურისტული ბაზები. საშუალოდ, ერთი წლის განმავლობაში აფხაზეთში 155 ათასი ტურისტი ჩადიოდა, ხოლო ტურისტული პიკის წლებში (1987-1989წ.წ.) აფხაზეთში ყოველწლიურად ისვენებდა დაახლოებით 750 ათასი ადამიანი.

კონფლიქტისა და შემდგომ წლებში, საკურორტო მეურნეობის მოუფლევლობამ გამოიწვია ამ ტიპის ობიექტების გაძარცვა. ბევრ საკურორტო ქალაქში მძიმეა ეკოლოგიური ვითარებაც, რაც ხელს უშლის რეკრეაციული ბიზნესის განვითარებას. საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია სასტუმროების საერთაშორისო დონე-

დე მიყვანა, რაც დიდ კაპიტალდაბანდებებთან იქნება დაკავშირებული, მათი მოძიება კი რეგიონში შეუძლებელია. მარტო ტურიზმის მხრიდან, მისი სავალალო მდგომარეობიდან გამომდინარე, რეგიონმა განიცადა 150 მილიონ ლარზე მეტი ფინანსური სარალი.

ჯანდაცვა და დასაქმება. უკანასკნელი წლების განმავლობაში აფხაზეთში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა კრიტიკულ სდერამდგა მისული. რეგიონში აღინიშნება ინფექციური დაავადებების მკვეთრი ზრდა. სასწრაფო ზომებია მისაღები მასობრივი ტოქსიკური დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. ჯანმრთელობისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს აგრეთვე ნარსენებით დაბინძურებული ადგილები. ნაგავსაყრელები ძირითადად ქალაქების მიდამოებშია და არაეინ ზრუნავს მის გატანა-დასუფთავებაზე.

სამუშაო ძალის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები თავის უარყოფით ასახეას პოულობს აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესაძლებლობებსა და მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობაზე. რეგიონის ინფრასტრუქტურა ხასიათდება როგორც სამუშაო ძალის დეფიციტით, ისე მასობრივი უმუშეურობით. ოთხმოციან წლებში აფხაზეთში შრომისუნარიანი მოსახლეობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 56%-ს. დღეს ეს მაჩვენებელი 40%-ს არ აღემატება.

პენსიები ეძლევათ მხოლოდ ქალაქის მოსახლეობას, ისიც რამდენიმე თვის დაგვიანებით. სოფლებში პენსიები არ გაიცემა. საშუალო ხელფასი აფხაზეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 14 აშშ დოლარია. ფინანსური სიძნელების გამო, ასეთი

დაბალი ხელფასის გაცემაც ვერ ხერხდება, ანდა გაიცემა ძალზე დიდი დავვიანებით.

ვაჭრობა. საგარეო სავაჭრო ოპერაციების უმეტესობა ხორციელდება ერთჯერადი მიწოდების სახით, ნაღდ ფულზე ან ბარტერული გაცვლის მეშვეობით, რაც ხელს უშლის ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობების დამყარებას. საგარეო ვაჭრობა ექვემდებარება შეზღუდულ რეჟიმს. ეკონომიკური სანქციების პირობებში დაშვებულია იმპორტის მხოლოდ ის სახეობა, რომელიც მოიცავს კვების ძირითად პროდუქტებს, წამლებს, საწვავს, საყოფაცხოვრებო საქონელს. სხვა საქონლის შემოსატანად საჭიროა ლიცენზიის აღება საქართველოს ხელისუფლებისგან, რომელიც არ სრულდება და არაკანონიერი გზით შედის და გადის დიდძალი ტვირთი. ექსპორტის სახეებია ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ჯართი, ხე-ტყე, თხილი, ქვანახშირი და ა.შ. ხოლო შემოაქვთ ხორბალი, ფქვილი, შაქარი, სეთი, კარტოფილი, ცხიმეული, საწვავი და სხვ. საშინაო ვაჭრობა ძირითადად მიმდინარეობს აფხაზეთის დიდ ქალაქებში გახსნილი ბაზრების მეშვეობით.

აფხაზეთის პრობლემა სახელმწიფოთაშორისი პრობლემაა, რომელშიც დიდ როლს თამაშობს რუსეთი. რუსეთს რომ აფხაზეთის პრობლემის დარეგულირება სურდეს, მაშინ ის რუსეთში არ გაუხსნიდა აფხაზეთ ბანკებს საკორესპონდენტო ანგარიშებს, რომელთა საშუალებითაც აფხაზი სეპარატისტები აწარმოებენ საფინანსო-საბანკო ოპერაციებს მოქალი მსოფლიოს მასშტაბით. აფხაზეთში არსებული უძრავი ქონების დიდი ნაწილი რუსული კაპიტალის ხელშია. იქ რუსული ფული

ტრიალებს. შესაბამისად, აფხაზეთში წმინდა ეკონომიკური პარამეტრები რუსეთზე მორგებულად ყალიბდება. თვით ენგურს გამოღმა საქართველოშიც კი, სადაც ინვესტიციების 90%-ზე მეტი დასავლეთიდან შემოდის, საქონელბრუნეის 35-40% მაინც რუსეთზე მოდის. ფაქტობრივად, საქართველოში რუსეთის ეკონომიკური ყოფა უფრო ძლიერ იგმნობა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნისა.

ეკონომიკაში არსებობს კრიტიკრიუმები, რაც სახელმწიფოებრიუ-ეკონომიკურ უსაფრთხოებას განსაზღვრავს. მაგალითად, საგარეო ვაჭრობაში ერთი ქვეყანა რომელიმე სხვა ქვეყანაზე თავისი საქონელბრუნით ერთ მესამედზე მეტად არ უნდა იყოს დამოკიდებული. თუ საგარეო ვაჭრობის ექსპორტ-იმპორტის მანქანებლები რომელიმე სახელმწიფოს მიმართ ერთ მესამედზე მეტია, ფაქტობრივად მასთან დამოკიდებულება კრიტიკულ სდევარს მიღმაა. ამან შეიძლება ნეგატიური შედეგი მოუტანოს ამ ქვეყნის როგორც ეკონომიკას, ისე პოლიტიკას. ჩვენ რუსეთთან, ჯერჯერობით, ამ კრიტიკულ სდევარს მიღმა ვართ.

ნრდილოელი მეზობელი ერთადერთი ქვეყანა არ არის, რომელიც აფხაზეთის ეკონომიკური სიერცისა და იქაური რესურსების ათვისებას ცდილობს. ამ მიმართულებით თურქეთიც აქტიურად მუშაობს. იგი განსაკუთრებით აფხაზეთი წიაღისეულითა და ხე-ტყის მასალით ინტერესდება. აფხაზეთის ტერიტორიაზე თურქული ფირმები თანდათან, მიზანმიმართულად და დაუფარავად აფართოებენ თავიანთ საქმიანობას და სულ უფრო მეტ ინვესტიციებს დებენ აფხაზეთის დღევანდელ

ეკონომიკაში. მაგალითად, ტყეარჩეულში ქვანახშირის საბადო-
ბი თურქულმა ფირმებმა აითვისეს. 1999 წელს თურქული ფირ-
მა „ადა მლენჯილიკ სან ლტდ-ს“ მიერ წარმოებული სამ-
უშაოები რამდენიმე ხნით შეჩერდა, მაგრამ 2001 წლიდან
თურქულმა ფირმებმა „ტამსაშია“ და „კარა ელმასმა“ აქტი-
ურად დაიწყეს ქვანახშირის მოპოვება. მაღაროებში დასაქმე-
ბული ჰყავთ დაახლოებით 300 თურქი!

ონამჩირის რაიონში ასევე უკანონოდ აღდგენილია და მო-
ქმედებს ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა, რომლის მფლო-
ბელები თურქი ბიზნესმენები არიან. ფაბრიკაში ამსადებენ
ჩაის ერთჯერად პაკეტებს ირანული ეტიკეტით და თურქეთსა
და რუსეთის ფედერაციაში გააქვთ სარეალიზაციოდ. ონამ-
ჩირის რაიონის ტერიტორიაზე თურქულ ფირმებს იჯარით აქვთ
აღებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის საჭირო
მიწის ნაკვეთები. სოფელ კინდლში, ტამიშსა და გუდავაში ისი-
ნი თხილისა და კივის პლანტაციების მოშენებას გეგმავენ.

როგორც ჩანს, რუსეთს აფხაზეთში თურქული ბიზნესის
წარმომადგენელთა გააქტიურება კონფლიქტის დარეგულირე-
ბის მსვლელობაზე სეგაველენის მოსახლენად სჭირდება.
ონამჩირე-ტყეარჩელის რაიონებში თურქეთის მსარდი ბიზნე-
სი რუსეთმა, შესაძლოა, დენილთა დაბრუნების პროცესის შესაფ-
ერხებლად გამოიყენოს.

საზღვრების დაუცველობა და ტერიტორიების ნაწილის კონ-
ტროლზე ხელმიუწვდომლობა განსაზღვრავს იმას, რომ
საქართველოში გაცილებით ნაკლები დოვლათი იქმნება წე-

* <http://www.abkhazeti.info>

ლიწადში. სინამდვილეში ეს არის გამოუცხადებელი ეკონომიკური ომი საქართველოს წინააღმდეგ.

მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ აფხაზეთის საკითხი ჩვენს სასიკეთოდ გადაწყდეს? ჩვენი იდეალია ეკონომიკურად ძლიერი, ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული საქართველო, რომელსაც ექნება თავისი პოლიტიკური სტრუქტურა, ინსტიტუციური მოწყობა, მაგრამ ამავე დროს იქნება ნეიტრალური, სადაც აღარ დარჩება რუსეთის არც ერთი ჯარისკაცი და არც ერთი ბაზა. მხოლოდ ამ შემთხვევაში განხორციელდება ილიას ნათქვამი – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუდნოდეს“. საქართველო გახდება მთლიანი, მისი როლი კი XXI საუკუნის მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული, თუ იგი თავის შესაძლებლობებს ეფექტიანად გამოიყენებს. ამასთან აუცილებელია საქართველომ განახორციელოს აქტიური წინგამსწრები სტრატეგია, რომლის არსია ეკონომიკური პასუხისმგებლობისა და ფინანსური დისციპლინის თავსებადობა, მდგრად პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლა და ევროკავშირში გაწევრიანება.

ჩვენ თვალში იმდენა საძარტველს
მომაკვლი

ანუ ეკონომიკის მოდერნიზაციით ტერიტორიულ
მილიანობამდე

დაუწერელი კანონია, როდესაც სახელმწიფო ეკონომიკურად ძლიერია, მას გაერთიანებისკენ სწრაფვა ახასიათებს, და პირიქით, როცა ის ეკონომიკურად სუსტდება, იშლება. ამის საუკეთესო მაგალითია ყოფილი საბჭოთა კავშირი, რომლის დაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეკონომიკური ჩამორჩენილობა იყო. წლების მანძილზე ჩამოყალიბდა არაბუნებრივი ეკონომიკა, რომელიც თავად ახდენდა ჩრდილოვანი ურთიერთობებისა და კორუფციის პროვოცირებას. როდესაც აღნიშნულმა მანიკერმა მოვლენებმა კრიტიკულ ზღვარს (40–50%) მიაღწია, ქვეყანამ ვეღარ გაუძლო და დაიშალა.

ეკონომიკურად ძლიერი სუბიექტების გაერთიანებისადმი მიდრეკილების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ევროპის კავშირი, რომლის წევრმა ქვეყნებმაც მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში შეიმუშავეს საერთო კანონმდებლობა, რაც არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკურ გაერთიანებაზე მიუთითებს..

თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის საგრძნობი ტენდენციებია, ეკონომიკურად ძლიერი დასავლეთ ევროპის ქვეყნები პირიქით ერთიანდებიან. ერთი შეხედვით, თითქოსდა ევროპის კავშირის წევრობისთვის აუცილებელია ქვეყანაში დაცული იყოს ადამიანის უფლებები, აიკრძალოს სიკვდილით დასჯა და ა.შ. თუმცა რეალურად ეს მხოლოდ მედლის ერთი მხარეა. მთავარია ქვეყნის ოფიციალური

ეკონომიკის განვითარების დონე. დასაქვლეთის მოთხოვნებს საფუძვლად უდევს ეკონომიკური ინდიკატორების მათხრობის კრიტერიუმები:

- კონსოლიდირებული ბიუჯეტის დეფიციტი არაუმეტეს – 3%;
- ინფლაციის წლიური დონე არაუმეტეს – 1,5%;
- სახელმწიფოს ვალი (შიდა და გარე) მშპ-ს არაუმეტეს 50%.

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა სემოაღნიშნულ კანონსომიერებას ადასტურებს. საქართველოს ტერიტორია, დაწკებული XIII საუკუნიდან, საკმაოდ შემცირდა. თუ XIII საუკუნის დამდგეს ის დაახლოებით 170 ათას კვ. კილომეტრს შეადგენდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921წწ) – 89,3 ათას კვ. კილომეტრს, საბჭოთა საქართველოს ტერიტორია – 67,9 ათას კვ. კილომეტრს, საქართველოს თანამედროვე დეფაქტო ტერიტორია – 57,1 ათასი კვ. კილომეტრია, ანუ მეცამეტე საუკუნის დამდგის მხოლოდ მესამედი.

მიმოვიხილათ რა საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების გსებს, მნიშვნელოვნად და პრიორიტეტულად მიგვანია სახელმწიფოებრივი გადაწყეპტილებების მიღება ეკონომიკური მეცნიერების თვალთახედვით, თუმცა სხვა ფაქტორებსაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. აფხაზეთისა და სამანაბლოს დაბრუნების ყველაზე რეალური გზა ძლიერი დეკალური ეკონომიკა და ეს პროცესი თბილისიდან უნდა დაიწყოს. თუ საქართველოს ექნება ეფექტიანი ეკონომიკა – თავისუფალი სამუშაო ადგილები, მაღალი ხელფასები, ეროვნული ნაწარმით გაჯერებული ბაზარი – დარწმუნებული ვართ, ისინი თავად შემობრუნდებიან წყნკენ. რით უნდა დავიწყოთ, როგორ შეიძლება ამ მექანიზმის ამუშავება?

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველომ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გზა განვლო. ამ ხნის მანძილზე შეიცვალა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფორმაცია; ბოლო ორასი წლის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს; მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია; ქვეყანა გაწევრიანდა ევროსაბჭოში და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში; საფუძველი ჩაეყარა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზას და სხვ.

იმავედროულად, განვლილი პერიოდის ურთულეს გადასატრულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნება მშობლიურ მხარეში; სიღარიბის, საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კრიზისის დაძლევა; კორუფციის აღმოფხვრა; სოციალური პოლიტიკის სრულყოფა და სხვ.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ისეთი კატეგორიების მეცნიერულად განსაზღვრა, როგორიც არის ეკონომიკის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური რეფორმა. ისინი, მართალია, მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ მათი ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია, რადგან რეალური პროცესების შეფასებას და ეფექტიან მართვას ასეთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფთ. ტრანსფორმაცია პროცესია, რომელიც მუდმივ ცვლილებებს, გარდაქმნებს გულისხმობს. ეკონომიკის ტრანსფორმაცია მოიცავს ყველა შემადგენელი ელემენტის -

მწარმოებლური ძალების, ეკონომიკური ურთიერთობების, ეკონომიკური სედნაშენის გარდაქმნას რევოლუციური და ევოლუციური გზით, რომელიც მუდმივი, განუწყვეტელი პროცესია. ეს მოვლენა აისახა ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც. მისი მიზანია წარმოების, ტექნოლოგიების, მენეჯმენტის სრულყოფა, ეკონომიკურ საქმიანობაზე ბიუროკრატიული კონტროლის მინიმიზება, მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველყოფა.

ეკონომიკის ტრანსფორმაციისგან განსხვავებით, ეკონომიკური რეფორმა არის ეკონომიკური გარდაქმნების ღონისძიებათა სისტემა. რეფორმირება ვლინდება ტრანსფორმაციის პროცესით, მისი შედეგებით. ტრანსფორმაცია რეფორმის მეშვეობით ხორციელდება. პირველი შედეგია, მეორე – მისი მიღწევის საშუალება.

საკმაოდ ვრცელი ემპირიული მასალის საფუძველზე, მეცნიერ-ეკონომისტებისთვის შესაძლებელი გახდა ჩამოეყალიბებინათ ეკონომიკური ტრანსფორმაციის ორი გზა: რადიკალური ტრანსფორმაციის, ანუ „შოკური თერაპიის“ (პოლონურ-ჩეხოსლოვაკური წარმომავლობის) კონცეფცია და ევოლუციური ტრანსფორმაციის, ანუ „გრადუალიზმის“ (რომელიც ჩამოყალიბდა უნგრეთში) კონცეფცია.

როგორც პროფესორი ა.სილაგაძე აღნიშნავს, „შოკური თერაპიის“ (უმოკლეს ვადებში რადიკალური გარდაქმნების რიცხვის მაქსიმიზება) კონცეფციის საფუძველია ნეოკლასიკური, ნეოლიბერალური თეორია, რომლის ძირითადი ელემენტები ასე გამოიხატება: ტრანსფორმაციის პროცესი მისი საბოლოო შედეგების მიხედვით უნდა შეფასდეს; გადამწყვეტი მნიშვნელობა

აქვს ფინანსურ სტაბილიზაციას, ინფლაციის ლიკვიდაციას, მკაცრი ფინანსურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას; აუცილებელია ეროვნული ვალუტის კურსის მყარი ვალუტების კურსთან მიბმა; საჭიროა ფასებისა და საგარეო ვაჭრობის სწრაფი ლიბერალიზაცია და კერძო სექტორის ჩამოყალიბების, პრივატიზების პროცესის დაჩქარება; მასშტაბური სასღვარგარეთული დახმარებებისა და ინვესტიციების მოზიდვა.

აქედან ჩანს, რომ „შოკური თერაპია“ სტაბილიზაციის პროგრამას სცილდება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას გულისხმობს. ამასთან, იგულისხმება, რომ რომელიმე პირობის შეუსრულებლობა ეკონომიკური ქცევის დეფორმაციას იწვევს (რაც საქართველოს მაგალითზე ნათლად გამოჩნდა). მის მომხრეებს კარგად ესმით, რომ რადიკალური რეფორმების სოციალური სასღაური მაღალია, მაგრამ მიიხრევიან, რომ ამ უკანასკნელს უფრო ნაკლები ზიანი მოაქვს, ვიდრე გახანგრძლივებულ რეფორმებს.

„შოკური თერაპიის“ მეთოდი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პირველად იქნა გამოყენებული დასავლეთ გერმანიის რეფორმირებისთვის. „მეორე სიცოცხლე“ ამ მეთოდს პოსტკომუნისტურმა პოლონეთმა შესძინა და შემდგომ სხვადასხვა ვარიაციით და მეტნაკლები წარმატებით თავისი ასახვა ჰპოვა ბევრ სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაშიც. კერძოდ, თუ პოლონეთში შემუშავდა „ბალცეროეინის გეგმა“, იუგოსლავიაში მიიღეს „მარკოეინის გეგმა“, უნგრეთში „კუპას გეგმა“, ჩეხოსლოვაკიაში „კლაუსის გეგმა“.

* თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. თიკუაიძე, „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე“. გვ 87, თბილისი 2001წ.

1992 წლის თებერვლიდან საქართველოში იწყება „შოკური თერაპიის“ „ბალცეროვინისეული მეთოდის“ რეალიზაცია. იბადება ლოგიკური კითხვა: იყო კი მსად საქართველო იმ დროს რეფორმების ამ ცნობილი მეთოდის გამოყენებისათვის? „შოკური თერაპიის“ მეთოდის რეალიზაცია სახელმწიფო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ გამოყენებას მოითხოვს. ამგვარი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში „შოკური თერაპიის“ მეთოდის სრულფასოვანი გამოყენება შეუძლებელია და ყოველგვარი მცდელობა წარუმატებლობისთვისაა განწირული. ამ დებულების ტყვემართებას, სამწუხაროდ, საქართველოს იმდროინდელი გამოცდილებაც ამტკიცებს. ამის მიზეზია ის, რომ ბალცეროვინის გეგმა ბრმა კოპირების შედეგად, საქართველოში დამახინჯებით გატარდა.

ბალცეროვინის გეგმა ითვალისწინებდა შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

1) ყველა სახეობის ფასების მრავალჯერადი მომატება, ინფლაციური პროცესების შეგნებული ხელშეწყობა ბაზარზე წონასწორობის დამყარების მიზნით.

2) მოსახლეობის შემოსავლების მკაცრი შესღუდვა.

3) საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი გაზრდა და ბრუნებაში არსებული ფულის მასის შესღუდვა; მოსახლეობის მიერ ფულის მასის დასოგვის სტიმულირების მიზნით ანაბრებსა და სხვა დეპოზიტებზე პროცენტების გაზრდა.

4) ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებისა და წამგებიან საწარმოთა დოტირებაზე უარის თქმით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცა.

5) სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მიზნით, სახელმწიფო სესხის – ობლიგაციების გამოშვება.

6) საგადასახადო სისტემის მოწესრიგება და მისი უნიფიცირება.

7) აშშ დოლარის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შემოღება და შიდა ბაზარზე მისი კონვერტირების უსრუნველყოფა.

8) ახალი საბაჟო ტარიფების შემოღება იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით.

9) მთავრობის რეალურ შესაძლებლობათა ფარგლებში, მონახლეობის იმ ნაწილისთვის სოციალური დახმარების აღმონენა, ვინც ამას მართლაც საჭიროებს.

10) მონოპოლიური სტრუქტურების ლიკვიდაცია და საწარმოსა საქმიანობაში სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ჩარევასე უარის თქმა.

„შოკური თერაპიის“ პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის კლასიკურ სქემად ქცეული ბალცეროვიჩის გეგმის 10 პუნქტიდან ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, 1992 წელს საქართველოში შეიძლი (პირველი, მეორე, და მეექვსე პუნქტების გარდა) ეერ განხორციელდა!⁹ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ განუხორციელებელი პუნქტების ნაწილი ეერც განხორციელდებოდა, რადგან იმ დროს საქართველოს საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა არ გაანინდა. ასეთ ვითარებაში „შოკური თერაპიის“ მეთოდის ძირითადად მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციაზე დაყრდნობით განხორ-

⁹ე.პაპავა. „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“. გვ 342, თბილისი, 2002წ.

ციელელებული არასრულფასოვანი მოდიფიკაცია კრახისთვის იყო განწირული.

„გრადუალისტები“ გამოდიან რა თანდათანობითი, ეტაპობრივი გარდაქმნების მომხრეებად, „შოკური თერაპიის“ მეთოდის კრიტიკას აგებენ დანქარებული ტემპებით რეფორმების განხორციელებისას, მისი ცალკეული ასპექტების დაპირისპირებულობისა და შეუთავსებლობის ილუსტრირებასე. „გრადუალისმის“ კონცეფცია აქცენტს აკეთებს არა შედეგზე, არამედ უშუალოდ ტრანსფორმაციის პროცესზე, ხაზს უსვამს მის თანდათანობით ხასიათსა და ხანგრძლივობას. ტრანსფორმაციაში იგი ერთობლივ მიწოდებისა და მოთხოვნის სტრუქტურაში ცვლილებებს გულისხმობს. ამიტომ წინა პლანზე აყენებს არა ფინანსურ სტაბილიზაციას, ინფლაციის დაძლევას, არამედ წარმოების სტაბილიზაციას. „გრადუალისტების“ აზრით, წარმოების მოცულობის შემცირება უფრო მეტი ბოროტებაა, ვიდრე მისი დაბალი დონის შენარჩუნება, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლოა, ტრანსფორმაციამ ხაერთოდ დაკარგოს აზრი. მისი საბოლოო მიზანი შეიძლება მხოლოდ პროგრესი, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება იყოს. თანდათანობითი რეფორმების კლასიკურ მაგალითია ჩინეთი, ვიეტნამი, უნგრეთი და უზბეკეთი.

პროფესორ ვლადიმერ პაპაევას აზრით, „გრადუალისტთა“ უმთავრესი შეცდომა ისაა, რომ ვერ ითვალისწინებენ ძალზე მნიშვნელოვანი პრაქტიკული ხასიათის პირობებს, რომლებიც შეიძლება აყვანილი იქნას თანდათანობითი რეფორმირების აუცილებელი პირობების რანგში. კერძოდ, თანდათანობითი რეფორმების წარმატებით განსახორციელებლად აუცილებულ-

ღია პოლიტიკური გარანტიები, რომლებმაც, ჯერ ერთი, მოსახლეობის მხრიდან რეფორმატორული ნაბიჯების დადებითი შეფასება უნდა უზრუნველყონ, და მეორე, ნაწილობრივი ლიბერალიზაციის დაწყების შემდეგ, მთავრობას შეაძლებინონ ეკონომიკურ პროცესებზე კონტროლის შენარჩუნება. როგორც პოსტკომუნისტური რეფორმების გამოცდილება გვჩვენებს, ბევრ ქვეყანაში ეს აუცილებელი პირობა ვერ შესრულდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის წარმატებით განსახორციელებლად, აუცილებელია რეფორმების პროცესის მძლავრი ფინანსური მხარდაჭერა. თუკი ქვეყანას ის არ გააჩნია (რაც ნათლად გამოჩნდა საქართველოს მაგალითზე 1990-ანი წლებიდან), მან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსა და დიდი შეიდეგულის ქვეყნებს უნდა მიმართოს, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომელიც თავის მხრივ ვერდნობა „კაშინგ-ტონის კონსენსუსს“, ანუ „შოკურ თერაპიას“; მაშასადამეკრადუალისტური მიდგომის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა ქვეყნისგან საკუთარი მნიშვნელოვანი ფინანსური წყაროების არსებობას მოითხოვს.

პოსტსოციალისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს პრაქტიკამ, 1990-ან წლებში მკაფიოდ დაადასტურა, რომ მდგრად ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა ეფექტიანი საბაზრო ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია. ამგვარად, ეკონომიკური ტრანსფორმაცია ძალზე მრავალფეროვანი და რთული პროცესია. დღემდე არსებული თეორიები მისი მექანიზმების სრულყოფილ ახსნას ვერ იძლევიან. ამიტომ აუცილებელია, რომ ტრანსფორმაციის ეფექტიანი განხორ-

ცივლებისთვის შემუშავდეს ღონისძიებების სისტემა, რომელიც მის ყველა შემადგენელ ელემენტს მაქსიმალურად მოიცავს.

სამწუხაროდ, საქართველოში მიმდინარე რეფორმების სისტემური შეფასება გეინვენებს, რომ ნეენთან რეფორმა ყველაზე უფრო ნაკლებად წარმატებული ვარიანტით მიმდინარეობს. ამას ადასტურებს, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოებრიობის კრიზისი – სახელმწიფოს ძალიან დაბალი ეფექტიანობა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სიღარიბე, არცთუ იშვიათად პრივატიზების განხორციელება ეფექტიანი მესაკუთრის წამოყალიბების გარეშე, დიბერალიზაციის განხორციელება ეფექტიანი მართვის უსრუნველყოფის გარეშე, მწვავე ფინანსური კრიზისი, რაც ეკონომიკური დამბლის მანქენებელია, რეალური ეკონომიკის განუვითარებლობა, წარმოების ძალიან დაბალი ეფექტიანობა.

არსებული ვითარება იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო კვლავ გ'საგასაყარსა. მის წინაშე კვლავ ისტორიული მნიშვნელობის პრობლემა დგას: როგორ, რა გ'ით, რა მეთოდებით არის უფრო მისანშეწონილი სახელმწიფოს შემდგომი განვითარება.

2.2. ეკონომიკა და სახელმწიფო

ვეფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, პირველ რიგში, განვიხილოთ ეკონომიკასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულების მეცნიერებასა და პრაქტიკაში არსებული შეხედულებები. პრინციპები და გამოცდილება. გამოვეყოფთ მხოლოდ ძირითად მომენტებს.

2.2.1. „ხილული ხელის“ (ემატიზმი)

ამტიური სპაპლენით

XX საუკუნის 30-იან წლებში, როცა საყოველთაო კრიზისმა ეკონომიკის განვითარების ადამ სმიტის თეორია („უხილავი ხელი“) ეჭვქვეშ დააყენა, ასპარეზზე გამოდის ჯ.კეინსის შეხედულებები. მათი მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმი მხოლოდ დაავადებულია, მან თვითრეგულირების შესაძლებლობა ამოწურა. ამიტომ საჭირო გახდა სახელმწიფოს მხრიდან როული სასოგადოებრივი პროცესების რეგულირება. ჯ.კეინსის დამსახურება ისაა, რომ მან საბაზრო ურთიერთობებში შეიყვანა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება, როგორც კელაეწარმოების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი, აღიარა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების შეხამების აუცილებლობა. ცნობილია, ეს მიდგომა საფუძვლად დაედო აშშ პრეზიდენტ რუზველტის ახალ კურსს. ჯ.კეინსის მიხედვით ეკონომიკური განვითარება ხორციელდება სქემით: კერძო საკუთრება – ინდივიდის მისწრაფება, რომ სქონდეს მეტი სარგებელი – ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება.

ამჟამად, დასავლეთის ქვეყნებს საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ ორი კონცეპტუალური მიდგომა ჩამოუყალიბდა. პირველი, როცა სახელმწიფო გამოსცემს კანონებს, ახორციელებს სამეურნეო ინტერესების კოორდინაციას და ფაქტობრივად გამოდის, როგორც გარე ძალა ეკონომიკური პროცესების მიმართ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო და ეკონომიკა ცალ-ცალკეა. პირველი „თამაშის წესებს“ განსაზღვრავს, მეორე თვითრეგულირებით ვითარდება. ამგვარი მიდგომა ე.წ. ეტატიზტებისთვის მკაცრ მეცნიერულ ლოგიკას მოკლებულია და მათი აზრით, იშვიათად გეხედება სამეურნეო პრაქტიკაში.

მეორე, როცა სახელმწიფო მესაკუთრეა, იგი უშუალოდ ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას და გამოდის ბაზრის სუბიექტის როლში, ამასთან სხვა სუბიექტების მიმართ იცავს საბაზრო ურთიერთობების ფუძემდებლურ პრინციპებს. ეტატიზტების აზრით, ასეთი მიდგომა უფრო რეალურია.

სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების გარდამავალ პერიოდში გადასვლისას, როცა საბაზრო სუბიექტების ფორმირების პროცესი წინააღმდეგობრივია და დიდ სოციალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას აკისრია ეკონომიკური პროცესების არა მარტო ტრადიციული გაგებით რეგულირების ფუნქცია, არამედ სისტემაშემქმნელის როლიც.

„ხილული ხელის“ მომხრეთა აზრით, გარდამავალ პერიოდში ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით, სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური როლი, კონკრე-

ტულ სიტუაციას მორგებული საბაზრო მექანიზმების შექმნა და სოციალური რეგულატორების სისტემის ფუნქციონირება არის ის აუცილებელი პირობა, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ეფექტურობას. მთავარია სახელმწიფო თავისუფალი იყოს კლასობრივის შინაარსისგან, გამოხატავდეს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს და არეგულირებდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებს.

გარდამავალ პერიოდში გამოყოფენ სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური როლის და მისი ფუნქციების განმსაზღვრელ შემდეგ ფაქტორებს:

პირველი – გარდამავალი პერიოდის ისეთი თავისებურებების გამო, როგორცაა თვისებრივად ახალ პრინციპებსე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველმყოფი გარემოს შექმნა. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და დემოკრატიის განვითარების ფუძემდებლური პრინციპების განსაზღვრა და ა.შ. ამ თეორიის მიმდევრების აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების „თერაპიას“. მათი აზრით, ტრადიციული გზა, რომელიც ინდუსტრიულმა ქვეყნებმა გაიარეს, საქართველოს არ მიესადაგება, რადგან საქართველოს არ ჰქონდა 150–200 წელი იმისთვის, რომ სხვების მაგალითზე ცივილიზებული ეკონომიკა შეექმნა.

მეორე – გარდამავალ პერიოდში საზოგადოებაში არ არის სხვა ისეთი სუბიექტი, როგორცაა სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია ქვეყნის განვითარების წინა პერიოდებში დაგროვილი გამოცდილება, მოსახლეობის ცოდნა, განათლება, მეცნიერების

არსებული პოტენციალი, ახალგაზრდობის დიდი სოციალური ენერჯია ქვეყნის აღმშენებლობის უმთავრეს ფაქტორად აქციოს. ამისთვის საჭიროა საზოგადოების განვითარების კონკრეტული სიტუაციის სწორი ანალიზი, ქვეყნის მომავალი სტრატეგიის ობიექტურად განსაზღვრა, ისტორიული გამოცდილების, მეცნიერული აზროვნების დღევანდელი დონისა და ახალგაზრდული ენერჯიის ერთდროულად და თანმიმდევრულად ამოქმედება, ერთიან პროცესში ჩართვა. ამ დიდ შესაძლებლობებს სახელმწიფო ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებს, რის გამოც თაობებს შორის კავშირი ფაქტობრივად გაწყდა, საზოგადოებრივი (სოციალური) ენერჯია დანაწევრდა. ამიტომ იგი ერთიანი ეროვნული ნებით არ წარიმართება.

მესამე – გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური ცხოვრების სწორი ორგანიზაცია ფაქტობრივად შეუძლებელია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე. ამასთან, შეიცვალა მისი მოქმედების შინაარსი – იგი ასრულებს კანონმდებლის, მენეჯერის ფუნქციებს, თანაც არა ცალ-ცალკე სხვადასხვა დროსა და სივრცეში, არამედ ერთდროულად და ეყრდნობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგია. ბუნებრივია, განვითარების კონკრეტული ეტაპის თავისებურებები გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც სწორ მეთოდოლოგიურ პრინციპებს დაეყრდნობა და ადეკვატურად უპასუხებს ეკონომიკური განვითარების ამოცანებს. განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფოს როლი ინსტიტუციური რეფორმების განსაზღვრასა და განხორციელებაში, ახალი სახელმწიფო

და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებაში, ე.ი. ახალი ტიპის სახელმწიფოს ფორმირებაში.

მეოთხე – გარდამავალ პერიოდში საგანგებო ეკონომიკური ფუნქცია, როგორც მესაკუთრემ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. მათი აზრით, ეს სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან თანამედროვე საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის უნიკალური თავისებურებებით აისხნება. იგულისხმება სახელმწიფო საკუთრების თითქმის 100%-ით ფუნქციონირების გარემოდან შერეულ, მრავალწობიან ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთრებითი ურთიერთობების გარდაქმნა. ეტატიზმების აზრით, სახელმწიფო საკუთრება ისეთივე წმინდაა, როგორც კერძო.

მსოფლიო ბანკის მიხედვით, თანამედროვე პირობებში სახელმწიფომ უნდა შეასრულოს 5 ფუნდამენტური ფუნქცია: 1) კანონიერების საფუძვლების დამტკიცება, 2) დაბალანსებული პოლიტიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა, 3) საბაზრო სოციალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის დაფინანსება, 4) მოსახლეობის დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა, 5) გარემოს დაცვა.

საზოგადოების განვითარების სასურველ რეზულტატებზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოსა და კორუფციისგან დასდევული ხელისუფლების პირობებში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეასრულებს სახელმწიფო ბაზრის სუბიექტის – ეკონომიკური საქმიანობის რეგულატორის როლს. ეს ურთულესი ამოცანაა, რადგან ამჟამად სახელმწიფო ორგანულადაა გათქვეფილი ბიზნესში, რამაც მისი ტრადიციული

ფუნქციების განხორციელების ექტორი შეცვალა და მისდამი სასოგადოების უნდობლობა წარმოშვა.

გამოსავალი ერთადერთია: შეიქმნას ისეთი სტრუქტურები, რომლებიც შეასრულებენ საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის ფუნქციას. ეკონომიკური და მმართველობითი კრიზისიდან გამოსვლა მართვის ძლიერი სისტემით უნდა მოხდეს. ასეთია რეფორმების წარმატებით განხორციელების პირობა.

2.2.2 „უხილავი ხელი“ აქტიური ზეპავლენით

კლასიკური ეკონომიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ადამ სმიტმა განსაზღვრა ეკონომიკური ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპები. მისი აზრით, საბაზრო ძალების („უხილავი ხელი“) თამაში ქმნის პარამონიულ წყობას. ინდივიდების მისწრაფება არის ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ინდივიდის, ისე სასოგადოების კეთილდღეობას. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პრინციპები ეყრდნობა ორ პოსტულატს: პირად დაინტერესებას და კონკურენციას. ეს ორივე განსაზღვრავს ბაზარზე წონასწორობას, მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებას. სასოგადოებამ უნდა შექმნას სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც დაიცავენ ადამიანს, მის საკუთრებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთაც. ამასთან, სამართლიანად გაარჩევენ დაუებს და სხვ.

ამრიგად, ყველაფერს, როგორც ადამ სმიტის არგუმენტებიდან გამომდინარეობს, „უხილავი ხელი“ გააკეთებს, თანაც

ისეთ გარემოში, როცა მეშაობს პრინციპი: „წაეიდეს ისე, როგორც მიდის“. ასეთია ახალგაზრდა კაპიტალიზმის განვითარების ადამ სმიტიხეული კონცეფცია, რომელიც ეყრდნობა სქემას: „კერძო საკუთრება – ადამიანის მისწრაფება პქონდეს მგტი სარგებელი – თავისუფალი კონკურენცია – სახელმწიფო, რომელიც დაიცავს კერძო საკუთრებას“.

რა იმალება ბაზრის „უხილაეი ხელის“ ცნების ქვეშ? შეკითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, უნდა გავეცნოთ სამ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელთა გარეშეც საბაზრო ურთიერთობები არ არსებობს. კერძოდ, ესენია: *მიწოდება, მოთხოვნა და ფასები*. მიწოდება – ეს არის იმ საქონლის რაოდენობა, რომელთა შეთავაზებაც მიმწოდებელთ სურთ მომხმარებელთათვის, რა თქმა უნდა, ფასების გათვალისწინებით. მიწოდება ფასების ზრდასთან ერთად იზრდება. მოთხოვნა არის საქონლის რაოდენობა, რომლის შექენაც სურთ მომხმარებლებს. იგი ეცემა ფასების ზრდასთან ერთად. მიმწოდებელნი შეხლულულნი არ უნდა იყენენ საქონლის სახეობისა თუ წარმოების მოცულობების განსაზღვრაში. ასევე არ უნდა იყენენ შეხლულულნი თავიანთ არჩევანში. საბაზრო ეკონომიკის მესამე მოთხოვნა არის ის, რომ ფასები არ უნდა დგინდებოდეს სახელმწიფოს მიერ, არამედ მისი უმთავრესი განმსაზღვრელი უნდა იყოს მიწოდება-მოთხოვნა. არც ერთ ამ მოთხოვნას არ იცავდა ცენტრალურ-განაწილებითი სისტემა. ამიტომ იყო იგი არასაბაზრო.

როგორც პოლანური „შოკური თერაპიის“ მამად წოდებული პროფესორი ლეშეკ ბაღკეროვინი აღნიშნავს, სოციალისმი წარმოადგენდა ეტატიზმის ყველაზე დიდ მარცხს ისტორიაში, რომლის დროსაც ადგილი პქონდა სახელმწიფოს რო-

ლის უაზრო და უსომო გაზრდას. ამ ფონზე ირონიულია ის ფაქტი, რომ საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია ისეთი ადამიანები, რომლებიც ეკონომიკაში სახელმწიფოს უფრო მეტ წარევას მოითხოვენ. მაგრამ დასავლეთში დღეს არც ერთი სერიოზული ეკონომისტი აღარ ფიქრობს ასე. სახელმწიფოს ეკონომიკაში წარვეის ფარგლების გაფართოება ქვეყანას ითრევს შემდგომი ინტერვენციონიზმის ხაფანგში. გამომდინარე აქედან, ისრდება არბიტრალური ხელისუფლება, ფართოვდება ბიუროკრატის რიცხოვნობა და, ამასთან ერთად, კორუფცია(ც. სწორედ ამგვარი სცენარით წარიმართა ეკონომიკური წარუმატებლობები საქართველოში.

ეტატიტური გადახრების სხვა მიზეზია ადამიანების მცდარი წარმოდგენა და მოლოდინი, თითქოს მათი პრობლემების სწრაფი გადაწყვეტა მხოლოდ ისეთ ინსტიტუტს შეეძლოს, როგორც არის სახელმწიფო. ასეთმა ტენდენციებმა განსაკუთრებით მეარად მოიკიდეს ფეხი სწორედ მესამე სამეაროს ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოშიც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს როლის გააქტიურების მოთხოვნა უცხო არ არის დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისთვისაც. ეს კი ნამდვილად ძნელი გასაგებია. თუმცა აქ აქტიურ პოზიციას ამულავენებენ გადასახადის გადამხდელები, რომლებიც აპროტესტებენ სახელმწიფოს ინტერვენციის მასშტაბების ზრდას. მათ კარგად უწყიან, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს მხრიდან ყოველი ახალი ფორმის ინტერვენცია – ღია თუ ფარული, მათ ჯიბეში ხელის ჩაყოფას ნიშნავს.

მორიგ მოტივად, რომელსაც იშველიებენ ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური წარვეის მომხრეები, არის „აზიური ვეფხ-

ვების” ეკონომიკური პოლიტიკის მცდარი გაგება. მათი წარმატებების მთავარ მიზეზს დღემდე სოფიერთი მეცნიერი სახელმწიფოს როლის განსაკუთრებულ გააქტიურებაში ხედავს. ასეთი მტკიცების ავტორები ვერ ხედავენ სხვა უფრო სერიოზულ ფაქტორებს, რომელთაც გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს და შეაქვეთ ამ ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობაში. კერძოდ, ესენია – საკუთრების კაპიტალისტური სტრუქტურების გადამწყვეტი ხვედრითი წილი ეკონომიკაში, ძლიერი კონკურენცია, ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა, დაბალი გადასახადები, საბიუჯეტო ხარჯების რაციონალიზაცია, სტაბილური ვალუტა, შრომის მაღალი კულტურა, პოლიტიკური სტაბილურობა და ა.შ.

სახელმწიფოს ინტერვენციის გაძლიერებას ეკონომიკაში განსაკუთრებით უწყობს ხელს ისეთი ღობეების მოთხოვნა, როგორც არის სოფლის მეურნეობის ღობი, ქვანახშირის მოპოვება-გადამუშავების ღობი, მეტყვეობის ღობი და ა.შ. ეს ღობეები მოითხოვენ სახელმწიფოს უფრო მეტ ინტერვენციას ეკონომიკაში. ამას იხინი ქვეყნის ინტერესების დაცვით ხსნიან და არა საკუთარი ინტერესებით. სინამდვილეში კი სახელმწიფოს უფრო მეტი ინტერვენციის წყალობით, მათ დიდი სარგებლობა აქვთ ბიუჯეტის დოტაციის, ფასების მანიპულირებისა თუ სხვა სახით.

2.2.3. „ხილული“ თუ „უხილავი ხელი“ საპარტიველოში

როგორი უნდა იყოს საზოგადოების წარმოდგენა სახელმწიფოს რაციონალური როლის შესახებ ეკონომიკაში? როგორ უნდა გამოვიდეთ ეკონომიკური და მართვის კრიზისიდან? რატომ უნდა, ეკონომიკური რეფორმების დაიქარებოდნენ. მაგრამ რომელ ძალაზე დაყრდნობით და როგორი აზროვნებით? ამ კითხვაზე განსხვავებული პასუხი არსებობს.

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს საქმიანობის მიზანი უნდა იყოს ეკონომიკაში ლიბერალიზმის პრინციპების დაცვა, კარგი სამართლებრივი სისტემის შექმნა და განვითარება, წონისა და სომის სისტემების კონტროლი, შესაბამისი ფულადი პოლიტიკის გატარება, იმ სახის პროდუქციის წარმოებაზე ზრუნვა, რომელსაც, გარკვეული მიზეზების გამო, მის მეტი ვერაინ აწარმოებს, სახელმწიფოს სასწრაფოსა და უშიშროების დაცვა. ეს არის სახელმწიფოს კომპეტენციის ბუნებრივი სფერო. არადა, ხშირად ვხდებით იმის მოწმე, თუ როგორ უბიძგებენ სახელმწიფოს იმ ფუნქციების შესასრულებლად, რომლის შესრულებისთვისაც იგი არ არის მოწოდებული. თუმცა, ჩვენი იმის თქმა როდი გვინდა, რომ მხოლოდ თავად ბაზარი დაარეგულირებს ეროვნულ მეურნეობაში ყველაფერს და საჭირო არაა სახელმწიფოს გარკვეული ფორმით ჩარევა ამა თუ იმ ეკონომიკური პრობლემის გადასაწვევტად. როდესაც ქვეყანაში დაცულია ასეთი პირობები, ითვლება, რომ აქ ადამიანებს აქვთ მოქმედების ფართო ასპარეზი და თავისუფალი ბაზრის განვითარებისთვის შექმნილია სათანადო პირობები.

საქართველოში „ხილული ხელის“ სოციალურ მიმდევარს მიაჩნია, თუ არსებობს პრობლემა, მაშასადამე, სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს მისი გადაჭრა. მათ ავიწყებდებოთ, რომ ხელისუფლების ამგვარი უსახლერო ჩარევა ეკონომიკაში საბოლოო ჯამში სოციალისმამდე მიგვიყვანს. ამას გარდა, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ამგვარი ფუნქციების შესრულების დროს სახელმწიფო შესლუდულია მოხელეთა არასაკმარისი კომპეტენციისა და სხვა რესურსების სიმცირის გამო. ამგვარი შესლუდების პირობებში, თუკი სახელმწიფო მოინდომებს უსომო და სხვადასხვა სახის ინტერვენციონალიზმს, იგი საბოლოო ჯამში დასუსტდება და ვეღარ შეასრულებს თავის უმთავრეს ფუნქციას.

ჩვენს ქვეყანაში ხშირია სახელმწიფოს ჩარევა ეკოლოგიურ საკითხებში და ამ გზით მდგომარეობის დარეგულირება. ამის ნათელი მაგალითია ჯანმრთელობისთვის სასიანო საქონლის – ნარკოტიკების, სიგარეტის, ალკოჰოლის და სხვ. წარმოება. პრობლემა ისაა, თუ როგორ და რა სახით უნდა შეისლუდოს სასიანო პროდუქციის მოხმარება. ამ სფეროში აკრძალვების დაწესება ყოველთვის როდია პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა. ამასე თუნდაც აშშ-ში მეოცე საუკუნის 20-იანი წლებისათვის შემოღებული „მშრალი კანონიც“ მეტყველებს, რომელმაც ვერ გამოიღო სასურველი ეფექტი. სამაგიეროდ, მოელი აკრძალული პროდუქციის წარმოება და მოხმარება გადავიდა იატაკქვეშეთში და მრავალმა ადამიანმა დიდძალი ქონება დააგროვა. ეფექტობო, ამ მიზნით, გაცილებით ეფექტური იქნება სპეციალური გადასახადების დაწესება, რაც აღნიშნულ

პროდუქციასე გაზრდიდა ფასებს და ამ გზით გარკვეულწილად შემცირდებოდა მათი მოხმარება.

სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია არის პოლიტიკურ-ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება. მაგალითად, კანონიერების, წესრიგის, კერძო საკუთრების დაცვა, ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, გადასახადების ამოღების ორგანიზაცია, სოციალური დაცვა და სხვ. სახელმწიფომ უნდა მისცეს მიმართულება (და არა განუსაზღვრელად ჩაერიოს) საქართველოს სოციალური და ეკონომიკური პროცესების რეგულირების მოქნილი მექანიზმების გამოყენებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ორგანიზაციის სრულყოფა, საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, სამრეწველო, აგრარული, სოციალური, საინვესტიციო, რეგიონალური პოლიტიკის და სხვა რეალურ სინამდვილესთან, სტრატეგიულ ამოცანებთან დაკავშირება, განვითარების პრიორიტეტების სწორად შერჩევა, ეკონომიკური გარდაქმნების მეცნიერული მეთოდოლოგიით წარმართვა (კომპლექსურობა, თანმიმდევრობა, მოვლენებს შორის ლოგიკური კავშირი და სხვა), ასევე, კორუციასთან ბრძოლის გაძლიერება, ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობების სრულყოფა, სამამულო წარმოების შესაბამისად, საგარეო ეკონომიკური განვითარება და ა.შ.

ყურადსაღებია შეყედი მეცნიერების მიერ დამუშავებული თეორია, რომელსაც პეკშერ-ოჰლინის თეორია ეწოდება. თეორიის არსი შემდეგშია: ქვეყანაში უპირატესად ვითარდება და საექსპორტოდ იქცევა ის დარგი, რომლის განვითარებისთვისაც საჭირო რესურსი ამ ქვეყანას, სხვა რესურსებთან შედარებით,

ყველაზე ჭარბად აქვს. დაეფიქრდეთ, რა გვაქვს ჩვენ ყველაზე ჭარბი? უდავოა, რომ კაპიტალი არასაკმარისი გვაქვს, არც უახლეს ტექნოლოგიებზე მიგვიწვდება ხელი. სამაგიეროდ, გვყავს უმუშევრების დიდი არმია. ამასთან, დასაქმებულთა ხელფასებიც ძალიან დაბალია. ე.ი. გვყავს ჭარბი იაფი მუშახელი. ასეთი წინაპირობების არსებობის გამო, საბაზრო ძალები (გარკვეულ დონემდე მთაურობის მხრიდან ნაურევლობის შემთხვევაში), რომლებიც კეკეშერ-ოკლინის თეორიას ემორჩილებიან, ქვეყანაში გამოიწვევენ შრომატევადი დარგების განვითარებას.

განვითარებულ ქვეყნებს, რომელთაც აქეთ დიდი რაოდენობის კაპიტალი, მაღალი ტექნოლოგიები და განვითარებული საფონდო ბაზარი, შეუძლიათ და ანვითარებენ კიდევ მაღალტექნოლოგიურ და კაპიტალტევად დარგებს. კაპიტალტევადი დარგები მაღალი შრომისნაყოფიერებით გამოირჩევიან. რაც შეეხება მეცნიერებატევად, მაღალტექნოლოგიურ დარგებს, ისინი მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიური ძალაუფლებით სარგებლობენ. იმის გამო, რომ მაღალტექნოლოგიებზე ცოტას თუ მიუწვდება ხელი, ამ დარგებში კონკურენტებიც ცოტაა, რაც მათ მონოპოლიურად მაღალი მოგების საშუალებას აძლევს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა ტექნოლოგია მოქველდება და ხელმისაწვდომი ხდება ბევრი მეწარმისთვის, მოგების ნორმა ამ დარგებში მცირდება და ისინი გადადიან ქვეყნებში, სადაც იაფი მუშახელია, საიდანაც უკვე გათავისუფლებული საქონელი ბრუნდება განვითარებულ ქვეყნებში. ამ თეორიას „პროდუქტის სიცოცხლის ციკლის“ თეორია ქვია და იგი ფრანგმა მეცნიერმა რ.ვერნონმა დაამუშავა. ამის შედეგად მოგებულნი რჩებიან განვითარებული ქვეყნები, მათ უთავისუფლდებათ

შრომატევად და ნაკლებ პროდუქტიულ დარგებში დასაქმებული მუშახელი და შესაძლებლობა ექმნებათ გამოთავისუფლებული მუშახელი ახალ, უფრო მომგებიან დარგებში დაასაქმონ. ამით იზრდება ქვეყანაში შექმნილი დოვლათი და პარალელურად განვითარებადი ქვეყნებიდან შემოდის გაიაფებული და დაბალტექნოლოგიური, მაგრამ განვითარებული ქვეყნების საზოგადოებისთვის საჭირო საქონელი (მაგალითისთვის ამერიკელების მიერ მოხმარებული ფეხსაცმლის მხოლოდ 5% იკერება ამერიკაში, დანარჩენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან შედის)!¹¹

თუკი ეკონომიკას მთლიანად მიუანდობთ ბაზარს, ჩვენი ქვეყანა შრომატევად და დაბალტექნოლოგიურ დარგებში გადაიქცევა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ დანამატად, თანაც ეს შიძლება მოხდეს ისე, რომ უცხოელებმა საერთოდ არ გააკეთონ ინვესტიცია საქართველოში, ადგილობრივი ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა გახდება ისეთი, რომელიც მოუტანს მოგებას განვითარებულ ქვეყნებს. მეორე მხრივ კი, შრომატევადი დარგების განვითარება ნიშნავს იმას, რომ თითოეული ადამიანი შექმნის შედარებით ნაკლებ პროდუქტს, რის გამოც მისი ხელფასი დაბალი იქნება. ე.ი. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკა მიიღებს წონასწორობას, როცა გვაქვს დაბალი ხელფასები და შესაბამისად დაბალი ცხოვრების დონე.

როგორც ცნობილია, ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყანა, როგორც იაპონიაა, ღარიბია ბუნებრივი რესურსებით. მას არაფერი აქვს ადამიანური რესურსების გარდა. ამიტომ უმთავრე-

¹¹ ხ.წიქორიძე. „მსოფლიო იმპერიების ისტორიული და თანამედროვე გეოპოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები და საქართველო“. გვ 49. თბილისი 2005წ.

სი სიმდიდრე ადამიანიური კაპიტალია და საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეომოს განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. თუ საქართველოს ევოლუბა მაღალკვალიფიციური მეცნიერები და მათი ხეყდრითი წილი მოსახლეობაში დიდი იქნება, მაშინ იგივე პექშერ-ოპლინის თეორიით, მოსალოდნელია, რომ სვენშიც განვითარდეს მაღალტექნოლოგიური დარგები. ეკონომისტებისთვის ცნობილია ე.წ. „ლეონტიევის პარადოქსი“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თუმც აშშ-ს აქვს დიდი რაოდენობით კაპიტალი, მის ექსპორტში ჭარბობდა შრომატყეადი დარგების წილი. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იმან გამოიწვია, რომ შრომატყეად დარგებს მიათვალეს მეცნიერებატყეადი დარგებიც (მეცნიერებისა და ინჟინრების შრომა). სინამდვილეში კი აშშ-ს ექსპორტში დიდი იყო მეცნიერებატყეადი და მაღალტექნოლოგიური საქონლის წილი. სწორედ ეს აძლევდათ მათ უპირატესობას საერთაშორისო ვაჭრობაში.

ამრიგად, ზემოაღნიშნული უარყოფითი პროცესები საქართველოშიც რომ არ განვითარდეს, საჭიროა სასოგადოებრივი რეფორმების გაღრმავება. სახელმწიფომ უნდა უსრუნველყოს საშუალო ფენის შექმნა, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა შეასრულოს „ხერხემლის“ ფუნქცია – ეკონომიკის მდგრადი ზრდა და ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლება. საჭიროა სახელმწიფომ გეზი მისცეს ეკონომიკის სწორი გზით განვითარებას, მაგრამ ამასთანავე არ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც გარყენის ბაზარს. იგი არ უნდა იქცეს ბარიერად კონკურენციის განვითარების გზაზე. ასეთი მოუღენა შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, იმპორტის წახალისებაში, ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ხელის შეშლაში გაუმართლედ

ბელი ლიცენზიების და ნებართვების დაწესებით. სახელმწიფოს ამგვარ სასიანო ინტერვენციას სოფჯერ მოსდევს გარკვეული მოკლევადიანი პოლიტიკური სარგებლობა. მაგრამ, სწორედ ამის გამო, არსებობს მრავალი ქვეყანა, სხვებთან შედარებით, ნელი ტემპებით რომ ვითარდებიან. აი, ამიტომაა აუცილებელი, არსებობდეს კონსტიტუციური ბარიერები, რომლებიც წინ აღუდგებიან სახელმწიფოს ამგვარი სახის ინტერვენციას. ეფექტობთ, ასეთი უნდა იყოს საქართველოში ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების მეცნიერული ლოგიკა და პრაგმატისტული მოთხოვნა.

2.3. პრივატიზაციის პოლიტიკა(ონომიური

ასპექტები

პოლიტიკონომიკური მეცნიერების თვალსაზრისით, საკუთრება ეფუძნება იმას, რომ გამოყენებული საგნების უმრავლესობა, რომელთაც ჩვენ მატერიალურ სიკეთეს ეწოდებთ, რაოდენობრივად შესლუდულია იმ ადამიანების რიცხოვნობასთან შედარებით, რომელთაც მათი ფლობის სურვილი აქვთ. მსგავს სიკეთეებს იშვიათი სიკეთენი ეწოდება, განსხვავებით ისეთებისგან, რომელთა რაოდენობაც განუსაზღვრელია, ასეთია, უთქვათ, მზის სხივები, ჰაერი და ა.შ. სოგიერთისათვის, სიკეთეთა შედარებით იშვიათი ნაწილისთვის როგორცაა სახელმწიფო უშიშროება ან ქუჩის განათება, დამახასიათებელია, რომ ინდივიდუალური წესით არ შეიძლება მათით სარგებლობა. მსგავს სიკეთეს სახელმწიფოებრივი ეწოდება. შესაბამისად, მათ მიმართ საკუთრების პრობლემა არც დგება. ამის გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ, რომ კერძო სიკეთეებს მიეკუთვნება სიკეთენი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია უშუალოდ, ისევე როგორც გარკვეული ობიექტები, რომლებიც კანონის ძალით იქმნებიან, მაგალითად, ფასიანი ქაღალდები, აქციები, ობლიგაციები, საფირმო ნიშნები და ა.შ. კერძო სიკეთეთა ასევე თავად ადამიანის შრომის უნარი. ყველა ეს ჩამოთვლილი სიკეთენი შეიძლება იყოს საკუთრების ობიექტი.

მეოცე საუკუნეში ძირითადად საკუთრების ორი ფორმა ეჯიბრებოდა ერთმანეთს: *რესტრიქციული* და *ლიბერალური*. რესტრიქციული რეჟიმი, რომელიც ძირითადად სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი, ცდილობდა სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ფინანსური თვალ-

საწრისით, სხვა სახის საწარმოების ხარჯზე დომინირებულ პოზიციები შექმნა ერთი სახის საკუთრებისთვის. კერძოდ, ეს იყო სახელმწიფო საწარმოები. ამასთან, მიუღწეველ სოციალისტურ ბანაკში იზღუდებოდა კერძო ფორმების შექმნა და განვითარება. ამგვარი შეზღუდვების შედეგად, სახელმწიფო საწარმოები აწარმოებდნენ ეროვნული შემოსავლის საშუალოდ 85%-ს, მაშინ როდესაც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შეადგენდა არაუმეტეს 10%-ისა.

საკუთრების ლიბერალური რეჟიმში უზრუნველყოფს საკუთრების სხვადასხვა ფორმების, როგორც კერძო, ისე არაკერძო საწარმოების შექმნასა და არსებობას. თავისუფალი არჩევის შეთხვევაში, ფორმების დამფუძნებელთა უმრავლესობა კერძო საწარმოთა შექმნას ამჯობინებს, რადგან საკუთრების სწორედ ეს ფორმა აძლევთ მათ ხელისუფლებისა და ქონების განკარგვის მაქსიმალურ საშუალებას. კერძო საწარმო წარმოადგენს ასევე მაქსიმალური მოგების მიღების წყაროსაც. შემთხვევითი როდია, რომ ქვეყანა, სადაც განსაკუთრებით მრავალა კერძო ფორმების რიცხვი (ბრაზილი, ჩრდილოეთი იტალია, გერმანია, იაპონია), სწრაფად და განსაკუთრებით დინამიურად ვითარდებიან.

რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში, რომ მომრავლდეს დინამიურად მსარდი და ეფექტურად მომუშავე მცირე ფორმების რაოდენობა და ამასთან, საქართველოს ეროვნული მეურნეობა ამგვარი ფორმებით იყოს ძირითადად წარმოდგენილი? ეს დამოკიდებულია რამდენიმე პირობაზე: იმ ადმინისტრაციული წესებისა და დადგენილებების სიმარტივესა და რაოდენობის სიმცირესე, რაც ხელს უწყობს ამ სახის ფორმების შექმნას, საკრედი-

ტო თუ სხვა სახის რესურსებზე ხელმისაწვდომობაზე, ფისკალური ტვირთის სიმძიმეზე და სხვ. ეს დამოკიდებულია ასევე მრავალ მაკროეკონომიკურ პირობაზე: ინფლაციის დონეზე, საბაჟო ტარიფებზე, საწარმოების გადასახადებით დატვირთვაზე და ა.შ. ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის უდუფიციტო (დაბალი დეფიციტით) შედგენას. საბიუჯეტო დეფიცირი ართულებს მცირე ფირმების მუშაობის პირობებს. ჯერ ერთი, ბიუჯეტის დეფიცირი საქართველოს პირობებში მაღალი ინფლაციის წყაროა. მეორეც, მისი დაფინანსებისთვის სახელმწიფო იღებს საბანკო სესხებს, ანუ იმ საფინანსო სახსრებს, რომლებიც შეიძლება მცირე საწარმოთა დასაფინანსებლად მიმართულიყო.

პრივატიზაციის აუცილებლობა, როგორც წესი, გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: სახელმწიფო საწარმოების შედარებით დაბალი ეფექტურობითა და წარმოების ეფექტიანობის ამოღების ობიექტური საჭიროებით; კერძო საკუთრების დამკვიდრების მოთხოვნით, რადგანაც მის გარეშე წარმოუდგენელია ცალკეული ინდივიდისა და ეკონომიკური აგენტის თავისუფლების უზრუნველყოფა; საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების აუცილებლობით, რის გარეშეც შეუძლებელია პოლიტიკური დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების აშენება.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განსაკუთრებით დიდი კამათის საგნად იქცა მიწის პრივატიზაციის საკითხები. ამ პრობლემისადმი არსებობს ორგვარი მიდგომა. კერძოდ, თუ თითქმის არაფერ ეწინააღმდეგება სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციას, საკმაოდ დიდ წინააღმდეგობას იწვევს იმ მიწების პრივატიზება, სადაც გარკვეული სახის საბადოებია.

ამდენად, გაუგებარია, კერძო საკუთრებაში რატომ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწები და არა საბადოების შემცველი მიწები. ცხადია, საბადოები უნიკალური მიწებია, თუმცა მათი ათვისება განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როდესაც ისინი კერძო პირის ხელშია. იმის დასასაბუთებლად, ეს დარგი რად უნდა იყოს სახელმწიფოს ხელში, მოკვავთ არგუმენტი, რომ იგი არის სახელმწიფოსთვის სტრატეგიული სფერო. სტრატეგიულ სფეროს ხშირად მიაკუთვნებენ ბუნებრივ რესურსებს, ენერგეტიკას, ტელეკომუნიკაციებს, ტრანსპორტს, ინფრასტრუქტურას, ასევე შეიარაღების სფეროს. ძალზე ძნელია ვინმემ მოძებნოს დასაბუთება, თუ რატომ არის ან არ არის ესა თუ ის დარგი სტრატეგიული. და, საერთოდ, რას ნიშნავს „სტრატეგიული“? განსაკუთრებით მნიშვნელოვანს? თუ ეს ასეა, მაშინ სახელმწიფომ მით უფრო სწრაფად უნდა დათმოს იგი, რადგან სათანადო ეფექტურობით ვერ იყენებს. იქნებ „სტრატეგიული“ ის დარგია, რომელიც უნდა დარჩეს სახელმწიფო აპარატის უშუალო განკარგულებაში და, ამგვარად, ერთგვარი სოციალისტური ანკლავი უნდა იყოს კაპიტალისტურ ეროვნულ მეურნეობაში? ცხადია, ასეთი ინტერპრეტაციაც არამართებულია.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პრივატიზაციის პროცესებიდან რომელიმე დარგის გამოთიშვას მისი „სტრატეგიულობის“ მოტივაციით, არა აქვს რაიმე გონიერული დასაბუთება. „სტრატეგიული“ დარგების პრივატიზაციის წინააღმდეგ ადამიანები შეიძლება გამოვიდნენ იმის შიშით, რომ მათ უცხოური კაპიტალი ჩაიგდებს ხელში და შემდეგ დაიწვევს ამ ქვეყნის ექსპლუატაციას. მოცემული არგუმენტის საპასუხოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საშიშროების ასაცილებლად, ხელისუ-

უფლება უნდა შეეცადოს უფლება არ დართოს უცხოურ თუ ადგილობრივ ხაწარმოს, დაიკავოს ეკონომიკის ამა თუ იმ დარგში მონოპოლიური მდგომარეობა. სახელმწიფოს ასევე აქვს შესაძლებლობა, რომ სოგიერთ შემთხვევაში გამოიყენოს ვეტოს უფლება, ანუ შეინარსუნოს „ოქროს აქცია“. პრივატიზაციის პროცესის ოპონენტების საწინააღმდეგო არგუმენტად გამოდგება ასევე ის დადებითი გამოცდილება, რომელიც მიიღეს ლათინური ამერიკის ქვეყნებმა ტელეკომუნიკაციების, პორტების, საჰაერო ხაზების, ელსადგურების და ა.შ. პრივატიზაციისგან. ადრე იქაც მიაჩნდათ, რომ ეს დარგები სახელმწიფოს მეურვეობისა და კონტროლის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ პრივატიზაციის შედეგებმა სრულიად საწინააღმდეგოში დაარწმუნა ამ ქვეყნების მცხოვრებნი.

ინფრასტრუქტურის პრივატიზება უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის. საქმე ისაა, რომ ამ სფეროს წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის წინსვლის გზაზე, ხოლო სახელმწიფოს აქვს ერთობ მცირე თანხები მისი მოდერნიზაციისთვის. ამიტომ ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის აქტუალურია უცხოური კაპიტალის მოზიდვა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პრივატიზაციის პროცესი საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა, იგი ჯერ არ დამთავრებულა. ჯერ კიდევ მოსაძებნია ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებამოსილებათა ოპტიმალური კონცენტრაცია საკუთრების მოძრაობის ეფექტიანი ფორმების ჩამოსაყალიბებლად. ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმში გადამწყვეტი უნდა გახდეს საკუთრების უფლების გადანაწილებისთვის მისი ტრანსფორმაციის ახალ ეტაპებზე.

საქართველოში პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ფორმირების საწყის ეტაპზე სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზების რამდენიმე გზა განიხილებოდა:

1. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების მოსახლეობისთვის უსასყიდლოდ დარიგება.
2. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივებისთვის უსასყიდლოთ გადაცემა.
3. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივების მიერ გამოსყიდვა.
4. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალო გაყიდვა.

საქართველოში სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზების შემოხსენებული გზების გამოყენებისას მოსახლეობისა თუ შრომითი კოლექტივების ინტერესების დაცვას ყოფილი დირექტორები და პარტიული მუშაკები იყენებდნენ ამოფარებულნი. მათ პირველი სამი გზის ამოქმედებას მიაღწიეს და შედეგად სახელმწიფო ქონება, საწყის ფასთან შედარებით, ძალზე იაფად შეიძინეს. ეს არის ქართველ პოსტსაქმოსანთა კასტის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია. არც მოსახლეობა და არც შრომითი კოლექტივები კაპიტალის რეალური მესაკუთრეები არ გამხდარან და ვერც გახდებოდნენ. რაც შეეხება მეოთხე გზის ამოქმედებას, აქ მთავარია პრივატიზების ორგანული შერწყმა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, სტრუქტურული და ინსტიტუციური გარდაქმნების პროცესებთან. ურთიერთ დაბალანსების გარეშე, ისინი შედეგს ვერ მოგვცემენ.

პრივატიზაციის ტემპები. საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე საკამათო საკითხი გახდა პრივატიზაციის ტემპები. განსაკუთრე-

ბით მრავალი ეჭვის საფუძველს იწვევს იმ სახის პრივატიზაციის ტემპი, რომელსაც „გარდაქმნითი პრივატიზაცია“ ეწოდება. სოგიერთს მიაჩნია, რომ ამ სფეროში საჭიროა შედარებით ნელი ტემპებით მოქმედება, რადგან მათი აზრით, რაც უფრო მაღალია პრივატიზაციის ტემპი, მით მეტია შეცდომები, მისი არასამართლიანად გახორციელების შანსი, რაც ამცირებს პრივატიზების საბოლოო სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, იწვევს უმუშევრობის გაზრდას.

მტკიცება იმისა, დანქარებული პრივატიზაცია უფრო იწვევს უმუშევრობის გაზრდას, ვიდრე მისი ნელი ტემპით განხორციელება, შორს არის ჭეშმარიტებისგან. ცალკეული პრივატიზებული საწარმოების მაგალითზე ძნელი როდია დამტკიცება, რომ მრავალმა მათგანმა გააფართოვა როგორც წარმოების მასშტაბები, ისე დასაქმებულ მუშაკთა რიცხვიც. მაგალითად მექსიკაში, ავტომანქანების ნაწილების პრივატიზებულ ქარხნებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობა 30%-ით გაიზარდა. სწრაფი პრივატიზაცია ძირითადად ორი, თითქმის ურთიერთსაწინააღმდეგო პრობლემის გადაწყვეტაში ეხმარება საწარმოს. კერძოდ, ამ გზით იგი თავიდან იცილებს სედმეტ ე.წ. „ბლასტ“ მუშახელს, რომლებიც თითქმის არაერთარ საჭიროებას არ წარმოადგენენ საწარმოსთვის და მეორე, მიღებული მოგება მას სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდის და ახალი კვალიფიციური მუშაკების მიღების საშუალებას აძლევს. სწორედ ამიტომია, რომ დანქარებული პრივატიზაციის დროს უმუშევრობა დასაწყისში იქნება გაცილებით მაღალი დონის, ვიდრე შენელებული პრივატიზაციის დროს. თუმცა შემდეგ,

დანქარებული პრივატიზაციით გამოწვეული უმუშევრობის ტემპები შენელდება და დაიწყება სრულიად საპირისპირო პროცესები, ანუ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

საქართველოში სწრაფ პრივატიზებას შემდეგი ფაქტორები განაპირობებენ: პოლიტიკური ფაქტორები; კონკურენტუნარიანობის, ეფექტიანობის ამალღების შესაძლებლობა; ინსტიტუციური რეფორმების გახორციელების აუცილებლობა, რის გარეშეც პრივატიზება ვერ იქნება წარმატებული. ყველა ეს ფაქტორი საქართველოში მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს. პრივატიზების პროცესიც, შესაბამისად, წინააღმდეგობრივი და სხვადასხვა სინქარისაა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პრივატიზება საკმაოდ მაღალი ტემპით მიმდინარეობდა. ბოლო პერიოდში კი ტემპი შენელდა. მას ბევრი სირთულე და ნაკლიც ახლდა. ამის მიუხედავად, ეს იყო აუცილებელი და პირველი ნაბიჯები საბაზრო ეკონომიკის დასამკვიდრებლად.

საქართველოს ეკონომიკის გასაჯანსაღებლად უნდა ამუშაოვდეს პრივატიზებული საწარმოები, პროცესით უნდა დაინტერესდნენ ინვესტორები. აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს მოქნილი საკანონმდებლო ბაზა, განისაზღვროს კერძო საკუთრების უფლებები. საჭიროა საბაზრო ფასების, რეალური სავალუტო კურსების, დადებითი საპროცენტო განაკვეთის, მკაცრი საბიუჯეტო შესღუდვისა და კონკურენციის დამკვიდრება. მეურნე სუბიექტებმა უნდა გააცნობიერონ საკუთრების გადამწვევტი მნიშვნელობა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ძლიერებისთვის.

2.4. საქართველოს უსაფრთხოების პრობლემები

2.4.1. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება

უსაფრთხოება განეკუთვნება უმნიშვნელოვანეს ფასეულობას. მისი უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების არსებობა და ნორმალური განვითარება. თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების პრობლემა ისეთივე აქტუალურობას იძენს, როგორც დემოკრატია და ადამიანების უფლებების დაცვა. ადრე ითვლებოდა, რომ უსაფრთხოება გულისხმობს სამხედრო საფრთხისგან, სახელმწიფო საზღვრების უცხო ქვეყნების ძირგამომოხრელი საქმიანობისგან, საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებებისგან დაცვას, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და ა.შ. პრობლემების სიღრმისეულად შესწავლის შემდეგ ნათელი ხდება, რომ უსაფრთხოება ფართე მცნებაა და მას ბევრი და მნიშვნელოვანი ასპექტი გააჩნია, მათ შორისაა ეკონომიკური უსაფრთხოება.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ და ქვეყნის ეკონომიკის ავტონომიურ რეჟიმში მართვამ, დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების პრობლემა. მის აქტუალობას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ის გარემოება, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში საქართველოს მართვამ ქვეყანა კიდევ მეტად დაკავშირებული გახადა გარე სამყაროსთან, ევროპულ ეკონომიკურ (აგრეთვე პოლიტიკურ) ფაქტორებსა და პირობებთან. შესაბამისად, გაიზარდა ეროვნულ ეკონომიკაზე გარე ფაქტორების არახელსაყრელი გავლენის ალბათობა.

სამწუხაროდ, საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა დროულად არ იქნა აყვანილი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის გამოკვლევას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. საქართველოში ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ყურადღება გამახვილდა მხოლოდ საბაზრო რეფორმების დაწყებიდან საკმაო ვადის გავლის შემდეგ, როდესაც მწვავე კრიზისული ხასიათი მიიღო ეკონომიკის განვითარებამ და მნიშვნელოვნად დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე. საქართველოში ამ პრობლემაზე პირველად გამახვილდა ყურადღება ჯერ კიდევ 1976 წელს. 2005 წლის იელისში კი შემუშავდა და მიღებულ იქნა „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელშიც დაისახა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტები და პრობლემის მოგვარების ძირითადი გზები:

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცება საბიუჯეტო სისტემის და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების, ადეკვატური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების, საშუალოვადიანი სახარჯო პოლიტიკის პრინციპების დანერგვისა და სახელმწიფო ვალის ეფექტიანი მომსახურების გზით.

2. კერძო სექტორის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა ეკონომიკის ინსტიტუციური დარეგულირების, მცირე

¹² ი.მესხია. ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეპტუალური საკითხები// ეკონომიკა. №1-3.-1996წ; თ.წიკვაიძე. „საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის: არსი, შინაარსი, ძირითადი პრობლემები. – საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. სამეცნიერო კრებული. ტ.1. თბ.: ეკსკი. 1996წ

და საშუალო ბიზნესის სტიმულირების, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისა და კერძო საკუთრების უფლების დაცვის მეშვეობით.

3. სოფლის მეურნეობის სექტორში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება და მიწის ბაზრის განვითარება.

4. მრეწველობის ტრადიციული და ინოვაციური დარგების განვითარებისათვის ბიზნეს-გარემოს შექმნა.

5. ტურიზმის განვითარება და საქართველოს ტურისტული პოტენციალის სრული რეალიზაცია.

6. რეგიონებსა და დედაქალაქს შორის სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების, რეგიონების თანაბარი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნისა და მთიანი რეგიონებისათვის სპეციალური პროგრამების განხორციელების გზით.

7. საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის შედარებითი უპირატესობების, განსაკუთრებით – სატრანსიტო, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პოტენციალის რეალიზაცია, მათ შორის გზების აღდგენა-განვითარების მეშვეობით.

8. საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში აქტიური მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას გლობალურ ეკონომიკაში.

9. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობა.

10. ჯანსაღი კონკურენტული გარემოს და ბიზნესში თანაბარი შესაძლებლობების პირობების შექმნა და პრივილეგირებული, კონკურენციის შემსლუდავი უფლებების მინიჭების არ-

დაშეება, განსაკუთრებით კომუნიკაციებისა და ენერჯეტიკის სფეროში.¹³

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ზემოთ ნამოთვლილი პრიორიტეტები ასახავს სოფიერთ ნაბიჯს, რომელიც საქართველომ უნდა გადადგას ამ მიმართულებით და სახავს აუცილებელ გზას, რომელიც გამოიმდინარეობს საქართველოს ხალხის მისწრაფებებისგან. ჩვენ სრულად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ გზის გავლა მოითხოვს დროს, თავდადებას და დიდ შრომას. ამ გზაზე მრავალი პრობლემაა, მაგრამ არის შესაძლებლობებიც, რომლებიც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა იმ კრიტერიუმების სწორად შეფასება, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკური საფრთხის არსს. კრიტერიუმი შეიძლება იყოს ხარისხობრივი ან რაოდენობრივი. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უსრუნველყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მანეჟერების (ინდიკატორების) სღერულ მნიშვნელობებს, მათ ქვემოთ იწეება ნეგატიური პროცესები და საფრთხის ქვეშ დგება სასოგადოება. ეს ინდიკატორი გამოიყენება სისტემების ფუნქციონირების შეფასებისთვის. უმაღლესი ხარისხის ეკონომიკური უსაფრთხოება მიიღწევა, როცა ყველა მანეჟერული დასაშეებ სასღერებშია. თუ მანეჟერული ზღვარს აჭარბებს, საფრთხე იზრდება. საშიშროება მეტია, რაც უფო იზრდება დასაშეებ ზღვარს მიღმა მანეჟერების რაოდენობა. ამ დროს სასოგადოება მოთხოვნილებების დაკმაყოფილების

¹³ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. „ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა“. გვ.22, თბილისი 2005წ.

მიზნით, იძულებულია ინტენსიურად მიმართოს ჩრდილოვან ურთიერთობებსა და კორუფციას, რითაც კიდევ უფრო ზრდის საფროთხის ალბათობას.

როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, საზოგადოებრივი ცხოვრების დონის საყოველთაოდ აღიარებული ყველა ძირითადი მანკეებლებითა და კრიტერიუმით, საქართველო აჭარბებს ეკონომიკური უსაფროთხოების კრიტიკულ პარამეტრებს.

ცხრილი 1.

ეკონომიკური უსაფროთხოების მანკეებლები (1990–2003წ.წ.)⁴

	მანკეებლები	საერთო მნიშვნელობა, %	ფაქტური მნიშვნელობა, %
1	მშპ-ის დაქვების დონე	30	59
2	სამრეწველო წარმოების დაქვების დონე	30	83
3	ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები	5–6	68–70
4	სახელმწიფო ვალი მშპ-თან	25	49,27
5	ბიუჯეტის დეფიციტი	5	30
6	იმპორტის წილი შიდა მოხმარებაში	30	68
7	ინვესტიციების მოცულობა მშპ-ში	25	9
8	არსებული რეჟიმის ლეგიტიმურობის დონე	40	80

ასეთ პირობებში შეუძლებელია საზოგადოების ნორმალური განვითარება ცივილიზებული. სამართლებრივი და ეთიკური ნორმების შესაბამისად, სახელმწიფო მართვის სისტემას, მის შემადგენელ ინსტიტუტებს არ შესწევთ უნარი უზრუნველყონ საზოგადოების სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაცვა შიდა და გარე საფროთხეებისგან.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური უსაფროთხოების თვალსაზრისით, ექმნება როგორც შიდა, ასევე გარე საშიშროება.

⁴ რ.ოთინაშვილი. „ეკონომიკური უსაფროთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები“. გვ.302. თბილისი 2005წ.

შიდა საშიშროებები:

- ერთიანი ეკონომიკური სივრცის (ქვეყნის მასშტაბით) მოშლა.

- ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაცია, მისი დაბალი კონკურენტუნარიანობა.

- ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხი.

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონალური უთანაბრობის გაღრმავება.

- საგადასახადო შემოსავლების მცირე წილი მშპ-ში, გადასახადების აკრეფის დაბალი დონე.

- ეკონომიკურ პროცესებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და საბანკო სისტემის სუსტი რგოლი.

- ინფლაციის (პოტენციური) მაღალი ალბათობა.

- სახელმწიფო შიდა ვალის ზრდა.

- საბიუჯეტო კრიზისის მსარდი მასშტაბები, ინვესტიციური კრიზისი.

- ეკონომიკის ნაწილობრივი კრიმინალიზაცია.

- უმუშევრობის ზრდა და შრომის მოტივაციის შესუსტება.

- მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება, სიღარიბის ზრდა.

- სასოციალურობის ჯანმრთელობის გაუარესება.

- სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შემცირება.

- ქვეყნის დეპოპულაცია, მოსახლეობის არწარმოების მექანიზმის მოშლა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება.

გარე საშიშროებები:

- ქვეყნის სუსტი მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში, მსოფლიო მშპ-ში მისი დაბალი წილი.

- ქვეყნის ეკონომიკის დაბალი მიმზიდველობა და სუსტი კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზრებზე.

- ექსპორტ-იმპორტის არაეფექტური სტრუქტურა, სავაჭრო ბალანსში ექსპორტის მცირე მოცულობა, მასში ნედლეულის დომინირება.

- ქვეყნის დამოუკიდებლობის ზრდა მრავალი სტრატეგიული დანიშნულების, მათ შორის, ენერგორესურსებისა და სურსათის იმპორტზე.

- გაზრდილი სახელმწიფო ვალი.

- უცხო ქვეყნების ექსპანსიური ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

- ტერიტორიული მთლიანობის მოშლის შედეგად, ეკონომიკის ერთიანი მართვის მოშლის საშიშროება.

წრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მზარდი მასშტაბები და მისი ინსტიტუციონალიზაცია მთავარი საშიშროებაა, რომელიც ემუქრება საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ამავე დროს, იგი დღევანდელი ეკონომიკური კრიზისისა და სხვა საშიშროებების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. წრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის სისტემური სახით არსებობას მიუყავართ საზოგადოებრივი სისტემის დეგრადაციამდე, რომელმაც ქვეყანა შესაძლოა მიიყვანოს ეროვნულ კატასტროფამდე.

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს უსაფრთხოების უსრუნველყოფის მაკრო დონე – საერთო სახელმწიფოებრივი და მიკრო დონე – კერძო მეწარმეობა. ორივე შემთხვევაში საფრთხე შეიძლება გამოწვეული იყოს ორი მიზეზით: *პირველი* ანუ გარე – უცხო ქვეყნების ძირგამომთხრელი საქმიანობა და *მეორე ანუ შიდა* – ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მაღალი მასშტაბები.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის ამოსავალი პრინციპია კონკურენცია. ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა და მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების საშუალებით, მონოპოლიზმისკენ ისწრაფვიან და ცდილობენ გააკონტროლონ მსოფლიო ბაზარი, მათზე მაქსიმალურად დამოკიდებული გახადონ სუსტი და ღარიბი ქვეყნები. ამ მხრივ განსაკუთრებით მიმზიდველია პოსტკომუნისტური სივრცე. სასოგადოების სულიერი დეგრადაცია, დამნაშავეობის ზრდა, ეთნოკონფლიქტები, კორუფცია და ა.შ. არა მხოლოდ არასწორი ეკონომიკური რეფორმების შედეგია, არამედ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობისაც, რომლის მიზანია საქართველო აქციონ მართყად და ეკონომიკურად დასუსტებულ ტერიტორიად. ერთი შეხედვით, ე.წ. მეგობრული სახელმწიფოები საქართველოს ეხმარებიან ფინანსურად, სინამდვილეში კი ქვეყნიდან იღებენ ბევრად მეტს.

საერთაშორისო კრიმინალის შემოსელას საქართველოში ხელი შეუწყო ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მაღალმა მასშტაბებმა; ხელისუფლების კორუმპირებულობამ; ფორს-ჯდმა ლიბერალიზაციამ, როგორც ქვეყნის შიგნით,

ისე საგარეო ეკონომიკური მოღვაწეობის კუთხით; შიდა და მსოფლიო ფასებს შორის სხვაობამ; არაკეთილსასურველმა საინვესტიციო კლიმატმა; არაეფექტურმა საგადასახადო პოლიტიკამ, მაღალმა საბაჟო და საგადასახადო ტარიფებმა; საბაჟო ორგანოების არასაკმარისმა აღჭურვილობამ და კვალიფიციური კადრების სიმცირემ; საზღვრების დაუცველობამ და ა.შ.

შედგებად საქართველო გახდა მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურის დაინტერესების ობიექტი, რომლებიც ღია თუ ფარული საქმიანობით და ოპერატიულ-ტექნიკური შედწევით, ცდილობენ მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია, როგორც ოფიციალური სახელმწიფო მართვის სტრუქტურებიდან, ისე კერძო კომპანიებიდან, ბანკებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან და ზეწოლა მოახდინონ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ინტერპოლის განმარტებით, „ეკონომიკური დაზვერვა არის დაინტერესებულ ქვეყანაში ფასეულობის მქონე ინფორმაციის ნებისმიერი ხერხით მოპოვება, რომლის შედეგადაც მოცემული ქვეყნის ეკონომიკას შეიძლება მიაღგეს ზარალი“. დაზვერვის ტრადიციული სახეებია: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დაზვერვა. ეკონომიკური ექსპანსიის მთავარი იარაღია ეკონომიკური შპიონაჟი. გამაღებელი კონკურენციის ბრძოლის პირობებში, ეკონომიკური შპიონაჟის მთავარი მიზანია, კონკურენციული უპირატესობის მიღწევა. სხვის საიდუმლოებებზე ნადირობა კომპანიებს საშუალებას აძლევს, მუდმივად იყენენ საქმის კურსში კონკურენტების მოღვაწეობაზე, გამოიყენონ მათი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები და ა.შ.

გარე მიზნებით გამოწვეული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლებათა ამისთვის მას უნდა გააჩნდეს, მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული უშიშროების სტრუქტურები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენის დახვეწილი მეთოდებით.

ისეთი პატარა და, ამავე დროს, მიმზიდველ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. აუცილებელია გონივრული ეკონომიკური დიპლომატიის გატარება, რომლის ფარგლებში ქვეყანამ უნდა აიღოს კურსი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში თავისი ოპტიმალური ადგილის მოსაძებნად, ასევე ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში საგარეო და საშინაო საფრთხეების ნიველირებისაკენ. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება მიიღწევა მხოლოდ დღევანდელი კრიზისული სიტუაციის სწრაფი დაძლევით, სტრუქტურული და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციით, მდგრადი განვითარების ტრაექტორიაზე გადასვლით.

2.4.2. საძვარტველოს სოციალური უსაფრთხოება

სოციალური უსაფრთხოება გულისხმობს პიროვნების, სოციალური ჯგუფისა და სასოგადოების სახიფათო ცხოვრებად აუცილებელი ინტერესების, მათი სოციალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სოციალური უსაფრთხოების მუდმივი ობიექტებია: პიროვნება, მისი მოთხოვნილებები და ინტერესები. უფლება ცხოვრებაზე, შრომაზე, მის გარანტირებულ სოციალურ დაცვაზე სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფო სოციალური პოლიტიკით უნდა არეგულირებდეს ურთიერთობებს სასოგადოების ცალკეულ წევრებს შორის, რისი საყუძველიცაა ქვეყნის კონსტიტუციით განსაზღვრული მოქალაქის შემოთნამოთველი სოციალური უფლებები. ძირითადი სოციალური საშიშროებები შეიძლება გაერთიანდეს ჯგუფებში:

- პიროვნების სოციალური უფლებების დარღვევა და სახელმწიფოს მხრიდან მათი დაცვის შეუძლებლობა.
- სიღარიბე.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება.
- ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის დეგრადაცია, რისი შედეგიცაა მოსახლეობის სულიერი ნიჰილიზმი, იკარგება რწმენა ყველას და ყველაფრის მიმართ.
- განათლების, მეცნიერების, კულტურის სავალალო მდგომარეობა, სახელმწიფოს მიერ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მათი როლის შეუწყასებლობა.
- სასოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულირება.
- ძალადობის კულტისა და დამნაშავეობის 'ხრდა სასოგადოების სოციალურ ყოფაში. ქცევის ისეთი სტერეოტიპების

დამკვიდრება, რომლებიც მოსახლეობაში ვერ ქმნიან კუთილს-ინდისიერი შრომისა და სამართლიანი ცხოვრების პირობებს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში დაადგინეს, რომ ადამიანის ჯანმრთელობა 50%-ით დამოკიდებულია მისი ცხოვრების წესზე და სოციალურ პირობებზე, 25%-ით გარემომცველი გარემოს მდგომარეობაზე, 20%-ით გენეტიკურ ფაქტორზე და მხოლოდ 8–10%-ით სამედიცინო მომსახურების დონეზე. გამომდინარე აქედან, სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, სახელმწიფოს პრესტიჟის მთავარი კრიტერიუმია არა სამხედრო სიძლიერე, არამედ მოქალაქეთა კუთილდღეობის მაღალი დონე და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება.

გარდამავალ პერიოდში არც ერთი სფეროს ნგრევა არ აღმოჩნდა ისეთი მტკივნეული, როგორც სოციალურის. ეს არ უნდა იყოს გასაკვირი – ცხოვრებაში არაფერი ხდება განსჯისა და შეფასების გარეშე. როგორია საქართველოს ეკონომიკური გარდაქმნების სოციალური ფასი, რამდენად შეესატყვისება იგი სოციალური სამართლიანობის იდეას? მოუშადადებელ ეკონომიკურ რეფორმებს, პოსტსოციალისტური სპეციფიკის სათანადო გაუთვალისწინებლობას, ღრმა სოციალურ–ეკონომიკური კრიზისის მოპყვა. შედეგად საზოგადოების შემოსავლები და ცხოვრების დონე მკვეთრად გაუარესდა.

ცხრილი 2.

მოსახლეობის შემოსავლების შემადგენლობა და
ცვლილება პროცენტებში მშპ-თან¹⁵

წლები	ხელუასი		თეთიდასაქმება		მშპ-ს დაცემა	შემოსავლების დინამიკა
	80-იანი	90-იანი	80-იანი	90-იანი	90-იანი	90-იანი
1. უნაერუო	32	35	20	25	- 15	1
2. პოლიანეთი	27	32	22	28	- 12	8
3. უსტრანეთი	46	33	8	20	- 25	- 11
4. რუსეთი	41	22	5	35	- 38	- 32
5. საქართველო	45	16	7	54	- 56	- 48

საქართველოში არსებული კვაზისაბაზრო სოციალურ-ეკონომიკური მოდელით (მონეენებით), შემოსავლების განაწილება ხდება აშკარად უსამართლოდ. როგორც ძველი, ისე ახალშექმნილი ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილის მითვისება წარმოებს საზოგადოების პრივილეგირებული ნაწილის და მასთან დაახლოებული ვიწრო სოციალური წრის სასარგებლოდ. შედეგად, მოსახლეობის უმრავლესობა მოკლებულია შესაძლებლობას თანაბრად ისარგებლოს ბუნებრივი და საზოგადოებრივი სიკეთებით. ადგილი აქვს საზოგადოების მკვეთრ დიფერენციაციას. უსამართლო სოციალურ-ეკონომიკური მოდელი აძლიერებს მოსახლეობის მარგინალიზაციის პროცესს, შედეგად წარმოიშობა სოციალური პაუპერების (სოციალური ფსკერის) მდგრადი ფენა, რომელიც მოიცავს მათხოვრებს, მღაბიოებს, მაწანწალებს, უპატრონო ბავშვებს, რომლებიც ეწევიან ცხოვრების ასოციალურ წესს.

ცხოვრების მიიმე პირობები იწვევს ადამიანისეული კაპიტალის გაუარესებას. იცვლება მოსახლეობის ყოფა, უკუღ-

¹⁵ Milanovich B. Income, Inequality and Poverty during the Transition. World Bank, 1997, p.112-116. საქართველოს მანეენებლები გაანგარ იშებულია სტატისტიკის სახ. დეპარტ-ის მონაც-ის საფუძ-სუ.

მართდება ეროვნული ტრადიციები, იწვება ძალადობის, ქურდობის კულტის მოძალდება. განსაკუთრებით საგანგაშო ხასიათს იღებს ფსიქიკურ-ნერვეული დარღვევები, რაც შეიმჩნევა მოსახლეობის 70–80%-ში. ამის მთავარი მიზეზია მასიური გადატაცება. მიუხედავად ზემოაღწერილი მდგომარეობისა, 15 წლის განმავლობაში, მოსახლეობა მაინც განაგრძობს არსებობასა და ცხოვრებას. მაშ რაშია საქმე?

კრიზისულ სიტუაციებში შეიძლება ვისაუბროთ მოსახლეობის სამ სტრატეგიულ ქცევაზე. *პირველი* ხასიათდება სრული პასიურობით, ღოდინის პოზიციით, იმედით, რომ გამოსწორდება მდგომარეობა; *მეორე* გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური ადაპტაციის სხვადასხვა ფორმებს – დამატებითი დასაქმება, არალეგალური საქმიანობა, კორუფცია*მესამე* მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა.

საქართველოში ცხოვრების დონის დაცვამ ბიჭი მისცა მთავრობას, რომ 2005 წლის ივლისში ჩამოყალიბებინა სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. სიღატაკისა და სოციალური გარყენილობის დაძლევა, სიღარიბის შემცირება, ცხოვრების დონის გაუმჯობესება და ხელშეწყობა ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებისთვის.

2. უმუშევრობის შემცირება, ქვეყანაში, განსაკუთრებით კირგიონებში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სოციალური მობილურობის გაზრდა.

3. განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება; საყოველთაო დაწყებითი და საშუალო განათლების უზრუნველყოფა; უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და

მისი მისაღებება საერთაშორისო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებისადმი.

4. პენსიებისა და სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირება; სოციალური დახმარების პროგრამების მიზნობრიობის უზრუნველყოფა; საპენსიო და სხვა დავალიანების დაფარვის დასრულება.

5. ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად; სოციალური დახმარების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება; ცხოვრების ჯანსაღი წესის და გარემოს დამკვიდრებისთვის ხელშეწყობა.

6. სოციალურად საშიშ დაავადებათა (ტუბერკულოზი, შიდსი, ნარკომანია) პრევენცია¹⁶

ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლება ცდილობს გააღწეროს სოციალური უსაფრთხოების აქტიური პოლიტიკა, რაც განათლების სისტემის ინტეგრირებულ რეფორმირებაში, სოციალური დახმარების პროგრამების რეალიზაციაში და სხვაში გამოიხატება.

¹⁶ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. „სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა“. გვ.23, თბილისი 2005წ

2.4.3. საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოება

კაცობრიობის ისტორია ყოველთვის იყო და რჩება ძალაუფლებისთვის ბრძოლის ასპარეზად. სა'სოგადოების შესვლამ განვითარების ინფორმაციულ სტადიაში, ძალაუფლების ტრანსფორმაცია გამოიწვია. ინფორმაციული უსაფრთხოება ნიშნავს ინფორმაციის დაცულობას და მისი ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას შემთხვევითი ან მი'სანმიმართული შემოქმედებისგან, რომლის შედეგადაც მას შეიძლება მიაღგეს 'სარალი. ინფორმაციულ უსაფრთხოებაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი დონეები: გლობალური ინფორმაციული უსაფრთხოება; სახელმწიფო ინფორმაციული უსაფრთხოება; ცალკეული ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოება და პიროვნების ინფორმაციული უსაფრთხოება.

ინფორმაციის ფლობა სიტუაციაში სწორი ორიენტაციის, მოქმედებების დაგეგმვის, საჭიროების დროს ცალკეული ხალხისა და ჯგუფების მანიპულაციის საშუალებას იძლევა. ინფორმაციაზე მოთხოვნილებისას უნდა გაირკვეს, რისი გაგებაა საჭირო; როგორი სახის შეიძლება იყოს სასურველი ინფორმაცია; ვინ შეიძლება ფლობდეს მას; როგორ შეიძლება მისი მოპოვება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია არსებული გარემოს სწორი ანალიზით, ცოდნით, უნარით, ნებისყოფით, გამოცდილებითა და გამომგონებლობით.

თანამედროვე პირობებში ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის ყველაზე მისაღები საშუალებაა კომპიუტერული სისტემები, ინტერნეტი. კომპიუტერული პროგრამებით შეიძლება ძალზე ღირებული კომერციული

(კონფიდენციალური) ინფორმაციის მოპოვება, რომლის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა მიზნით, მათ შორის, კონკურენტობისა და პარტნიორების შესახებ მონაცემების შეგროვებისას. ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი წყაროა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელიც სასოგადოებრივ ტრანსფორმაციაში პოლიტიკური ინსტიტუტის როლს თამაშობს.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ინფორმაციული რესურსი ეროვნული რესურსის 50–60%-ს შეადგენს. ამიტომ ინფორმაციული უსაფრთხოება არის ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი მნიშვნელოვანი ელემენტი. თანამედროვე ბიზნესი წარმოუდგენელია ინფორმაციის მიღების, შენახვის, დამუშავებისა და გამოყენების გარეშე. წარმატებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხიანი, ფასეული ინფორმაციის ფლობა. ამიტომაც, რომ ღირებულ ინფორმაცია გასაიდუმლოებულია. თუმცა, როგორც პრაქტიკა გვჩვენებს, იდეალური, შეუვალი სისტემები, რომლებიც გარანტიას იძლევიან კონფიდენციალური ინფორმაციის 100%-იან დაცვაზე, არ არსებობს. არის ინფორმაციის მიღების უამრავი საშუალება, ასე მაგალითად, ამერიკული ჟურნალის „Chemical engineer“-ის მიხედვით ცნობილია ინფორმაციის მიღების 16 წყარო:

1. ინფორმაციის შეგროვება მასმედის საშუალებებით – ტელევიზია და პერიოდული ჟურნალ-გაზეთები.
2. კონკურენტი ფირმების მიერ გავრცელებული ინფორმაცია.
3. საბირჟო და მარკეტინგული დოკუმენტაცია, კონკურენტობის საგამოყენო ექსპონატები და გამოცემული ბროშურები.

4. კონკურენტი ფირმის პროდუქციის შესწავლა, მათ თანამშრომლებთან გასაუბრება (კანონის დარღვევის გარეშე).

5. შეფარვითი გამოკითხვები, ინფორმაციის „გამოტყუება“ კონკურენტი ფირმის თანამშრომლებისგან სხვადასხვა სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებზე, კონგრესებზე და სიმპოზიუმებზე.

6. ფარული დაკვირვება.

7. კონკურენტი ფირმის თანამშრომლებთან (სამსახურის შეპირების საბაბით) გასაუბრება.

8. ცრუ მოლაპარაკებები კონკურენტ ფირმასთან, მაგალითად ლიცენზიის შეძენის ან ხელშეკრულების დადების თაობაზე.

9. კონკურენტი ფირმის თანამშრომლის სამსახურში აყვანა (უკეთესი პირობებით) საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით.

10. კონკურენტი ფირმის თანამშრომლის მოსყიდვა.

11. კონფიდენცის გამოყენება (კონკურენტ ფირმაში) ინფორმაციის მისაღებად.

12. კონკურენტ ფირმაში წარმოებულ მოლაპარაკებების ფარული მიყურადება.

13. სატელეფონო საუბრების მოსმენა.

14. სატელეგრაფო გ'საენილების დაჭერა.

15. დოკუმენტაციის, ნახაზების, ნიმუშების მოპოვება.

16. შანტაჟი და გამოძალვა.

ინფორმაციაზე და ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე მუშაობისას საჭიროა მუდმივი ანალიზი, რომლის დროსაც უნდა დადგინდეს, თუ რომელი ინფორმაცია საჭიროებს დაცვას.

როგორია მისი ფასეულობა. რომელი ნაწილია უფრო მნიშვნელოვანი, რა ჯდება დაცვა. როგორია კომერციული ინფორმაციის სიცოცხლის ხანგრძლიეობა, რათა არ მოხდეს მნიშვნელოვანი დანაკარგი და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველომ უნდა გააცნობიეროს, რომ სახელმწიფოს ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის არსებობა და გადაწყვეტილებების მიღების სისტემის დაფუძნება სანდო ინფორმაციაზე. სახელმწიფო პოზიციის თანმიმდევრულად და დამაჯერებლად წარმოდგენა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია. საქართველომ სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოს საიდუმლო ინფორმაციის უსაფრთხოების უსრუნველყოფის, საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონმდებლობის და სახელმწიფოს კრიტიკული საინფორმაციო სისტემების დაცვის საკითხებს. საგანგებო სიტუაციების დროს სანდო და დაცული ინფორმაციის ფლობა აუცილებელი წინაპირობაა კრიზისების ეფექტიანი პრევენციისა და მართვისთვის.

საქართველომ უნდა შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების გასაუმჯობესებლად და ინფორმაციის დაცულობის უსრუნველსაყოფად.

2.4.4. საქართველოს ენერგეტიკული უსაზღვრებლობა

საქართველო თავისი განვითარების ამ ისტორიულ ეტაპზე დამოკიდებულია ენერჯის საგარეო წყაროებზე. იმპორტის უმთავრეს საგანს წარმოადგენს ენერგორესურსები. საჭიროა ენერგეტიკული უსაფრთხოების გეგმა, რომელიც მიზნად დაისახავს ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას. ვიდრე საქართველო ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას მიაღწევს, საწვავ-საბოლოსა და ელექტროენერჯის იმპორტი მწვავე დეფიციტს ვერ აღმოფხვრის, ძირს გამოუთხრის ეკონომიკურ აქტივობას და მაკრო-ეკონომიკურ წნეხებს შექმნის. ენერგოდეფიციტი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში თრგუნავს მოსახლეობას.

ენერგეტიკის სექტორის ფისკალური კრიზისი გადასახადის აკრეფის დაბალი მანევენებლების შედეგია. დენის აღურიცხავად მოხმარების გარდა, მრიცხველთა უმეტესობა 30 წელზე მეტი ხნისაა, მათი მესამედი დეფექტიანია, ერთი მერვედი კი განადგურებულია!¹⁷ აღურიცხავი მოხმარება განპირობებულია როგორც გაუარესებული შემოსავლებით, დასარალებული ოჯახების მიერ გადაუხდელობით, ასევე უმნიშვნელო ხუბსიდიებით, რომელსაც ღებულობენ პენსიონერები და იძულებით გადაადგილებული პირები.

ცენტრალური ხელისუფლების ელექტროგამანაწილებელი სისტემა თავისი რესურსების 20-25%-ით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს უსრუნველყოფს, ის სანაცვლოდ არანაირ კომპენსაციას არ იღებს!¹⁸ ფინანსური კრიზისი ხელს უწყობს მოუწეს-

¹⁷ World Bank Technical Paper No. 423: "Non-Payment in the Electricity Sector in Eastern Europe and the former Soviet Union".

¹⁸ Georgia's National Energy Regulatory Commission. 2002. Annual Report

რიგებულ ენერგომომარაგებას და ჯანმრთელობის პრობლემებს, რაც გამოწვეულია წყალსაკანალიზაციო მოწყობილობების გაუმართავეობით. გაზის სექტორში მომარაგების მოშლა ამძაფრებს ელექტროენერჯის დეფიციტს, ოჯახებს აიძულებს, საჭმლის მოსამზადებლად თუ ბინების გასათბობად ნაკლებად ეფექტური ელექტროხელსაწყოები გამოიყენონ.

საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პიდროენერგეტიკული პოტენციალი. თუმცა ამჟამად მისი მხოლოდ 10% გამოიყენება. ევვლა'სუ დრამატული მაგალითია ენგურის 1300 მეგავატიანი პიდროელექტროსადგური, რომელიც გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებს. საჭიროა ასევე ელექტროგადამცემი ქსელის შეკეთება. მოხმარების ცენტრების უმეტესობა აღმოსავლეთშია, გენერაციისა კი დასავლეთში. არსებობს მხოლოდ ერთი გადამცემი მაგისტრალი, რის გამოც პიკური მოთხოვნების პერიოდებში გადატვირთულია და სისტემის არასტაბილურ მუშაობას იწვევს.

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობისთვის აუცილებელია ენერჯის გენერაციისა და იმპორტის წყაროთა დივერსიფიცირება, ენერგეტიკული ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა. ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია ხელსაყრელი პირობების შექმნა, ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ევროპულ ენერგეტიკულ პროექტებში აქტიური მონაწილეობა. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის განხორციელების მოკლევადიანი პრიორიტეტები ამ მიმართულებით მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

1. გადახდის მანქანებლების გაუმჯობესება

ენერჯის ყველა მომხმარებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ ელექტროენერჯის მომარაგება კომერციული მომსახურებაა, რომელიც მხოლოდ გადამხდელებისთვისაა განკუთვნილი. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, გადახდის მანქანებლები უნდა მოწმდებოდეს და ქვეყნდებოდეს, რათა მოხელენი ვერ ერეოდნენ გათიშვა-არგათიშვის გადაწყვეტილების მიღებაში.

გასატარებელია ზომები მოსახლეობისგან გადასახადის ამოღების მანქანებლების გასაუმჯობესებლად. მრიცხველები უნდა შეკეთდეს ან შეიცვალოს, რათა შემცირდეს ელექტროენერჯის აღურიცხავი მოხმარება. სასურველია ანგარიშების კომპიუტერიზაცია. გადასახადის ამოღების მანქანებლების გაუმჯობესება ასევე მიიღწევა, თუკი მომხმარებელი გადაიხდის კომუნალურ სტრუქტურაში ან ბანკში, და არა აგენტებთან, რაც კორუფციის საშუალებას იძლევა. საჭიროა სახალხო საინფორმაციო კამპანიის წარმართვა, ელექტროენერჯის ქურდობის აღმოფხვრა, რომელიც ისჯება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. უსაფრთხოების ქსელის შემუშავება

თავისთავად ცხადია, რომ გადასახადის ამოღების მანქანებლების გაუმჯობესება არ უნდა მოხდეს სოციალურად დაუცველი ჯგუფების ხარჯზე. აუცილებელია ჩამოყალიბდეს უსაფრთხოების ქსელი სამომხმარებლო სუბსიდიების გაუქმებისა და მის ნაცვლად მიზნობრივი, შემოსავლების შეფასების საფუძველზე დანიშნული ენერგეტიკული გრანტების საშუალებით, რომლებიც პირდაპირ გაიცემა ხელმოკლე ოჯახებზე – როგორც მათი სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის

ოფის ნაწილი. ელექტროენერჯის სუბსიდიების პირდაპირი განაწილება ხელისუფლებას, საშუალებას მისცემს, შეწყვიტოს ბიუჯეტიდან მსხვილი კომუნალური კომპანიებისთვის თანხების გადარიცხვა. ეს 'სომები პრეკედენტი იქნებოდა. შეწყვეტილიყო იმ კომუნალური კომპანიების ბიუჯეტიდან უსრუნველყოფა, რომლებიც თავიანთ დეფიციტს იფარებენ დონორების დახმარებით. გამოიშინარე გადასახადის ამოღების მანევრებლებიდან. როგორც ალტერნატივა, უნდა გაფართოვდეს გადასახადის ამოღების ნოვატორული ფორმა – ბარტერი კოლექტიურ მომხმარებლებთან. შესაძლებელია განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (DA) ენერჯეტიკის სექტორის რეგულირების კრედიტის (ESAC) ფონდთა გამოყენება გადასახადის ამოღების დეფიციტის, მომსახურების გაფართოებისა და კაპიტალის გაზრდას შორის გარღვევის შესავესებად.

3. ენერგოსექტორის პრივატიზაცია

ენერგოსექტორის პრივატიზაცია შეამცირებს კორუფციას უკეთესი მენეჯმენტისა და ფინანსური დისციპლინის უპირატესობების გამოყენებით. საკანონმდებლო პირობები სამართლიანი უნდა იყოს. გასათვალისწინებელია, რომ არ მოხდეს კორუმპირებული ოპერატორების მოხილვა. ენერჯეტიკული აქტივების მოსამზადებლად შესაძლო პრივატიზაციისათვის და მათი კომერციული მიზიდველობის გასაზრდელად ქონება სასურველია გადაეცეს უცხოურ კომუნალურ კომპანიებს, რომლებიც იმუშავენ კვალიფიციურ ქართველ სუბ-კონტრაქტორებთან. სახელმწიფომ ასევე უნდა იმუშაოს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და EBRD (ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი). რათა შეარბილოს ფულის გადინების პრობლემა, რის წინაშეც

დადგებიან კერძო ინვესტორები პოსტ-საპრივატიზაციო პერიოდში. პრივატიზაციის წინ ხელისუფლებამ უნდა მოიქნოს დონორის მხარდაჭერა, რომელიც უსრუნველყოფს სამინისტროებში, პარლამენტსა და საქართველოს დამოუკიდებელ ენერჯომარეგულირებელ უწყებაში სელამხედველობის მექანიზმების შექმნას. უცხოური დახმარება ენერჯეტიკული დაეალიანების დასაფარად შესაძლოა ჩაითვალოს ვალის რესტრუქტურისაციის ნაწილად.

4. ელექტროგენერაციის მრავალმხრივად განვითარება

ელექტროგენერაციის განვითარებისთვის აუცილებელია მოხდეს ელექტროენერგიის საწარმოო საშუალებათა რეაბილიტაცია. ეს განსაკუთრებით შეეხება ენგურის ჰიდროელექტროსადგურს. საქართველომ თხოვნით უნდა მიმართოს გაეროს, წარმართოს კაპიტალური შეკეთებისთვის ფონდების განკარგვა და მოლაპარაკება დატვირთვის გაყოფის შესახებ. დახმარება შეიძლება გაეწიოს ელექტროგენერაციის საშუალებათა განახლებას, რომელიც მიმართული იქნება რეგიონალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მომარაგების საიმედოობის გასაუმჯობესებლად. ამას გარდა, საქართველოში მინი ჰიდროელექტროსადგურებისთვის არსებობს მძლავრი პოტენციალი. ელექტროენერგიის მცირე მწარმოებლებისათვის დონორების ხელშეწყობით განხორციელებული პროგრამები სასურველია ითვალისწინებდნენ კომუნალური კომპანიების მიერ ელექტროენერგიის შექმნას სტანდარტული საბაზრო ფასით. ამ შესაძლებლობების გამოსაყენებლად საქართველოს სჭირდება თავისი ელექტროდისტრიბუციის ინფრასტრუქტურის ფართო მასშტაბის განახლება, განვითარება და გაზრდა.

2.4.5. ეკოლოგიური უსაფრთხოება

საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა მიზნად ისახავს მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების დაცვას, რაც მიიღწევა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი შექცევების თავიდან აცილების, გარემოს დაბინძურებისა და სტიქიური თუ ანთროპოგენული კატასტროფების პრევენციის გზით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასშტაბურ საწარმოო ინციდენტებს და ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, მეწყერი, ზევაი და მიწისძვრა. აუცილებელია რეგულარულად ხორციელდებოდეს რისკების შეფასება, მოსახლეობის ინფორმირების კამპანია და მუშაუდებოდეს კრიზისების ეფექტური პრევენციის და პოსტ-კრიზისული მართვის პროგრამები.

საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტებია:

- გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.

- დაბინძურების წყაროებზე კონტროლის დაწესება; ნიადაგის დაბინძურების პრევენცია.

- საქართველოს ტერიტორიის გაწმენდა რადიოაქტიური ნარჩენებისა და სარაკეტო საწვავისაგან.

- საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

- ევროპის და გაეროს გარემოს დაცვის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა მჭიდრო რეგიონულ და საერთაშორისო თანამ-

შრომლობას საჭიროებს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის წარმატებული თანამშრომლობა გარემოს დაცვის ხეობაში, ხელს უწყობს რეგიონში გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსფრთხოების გაძლიერებას. ამ მიმართულებით, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი
გამოყენების უზრუნველყოფა

- გარემოს დაცვისა და გეგმარებისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება.

- ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტური მონიტორინგის სისტემის შექმნა.

- რეგიონებსა და ცენტრს შორის ბუნებრივი რესურსების მოხმარებით მიღებული შემოსავლების სამართლიანი გადანაწილების პრინციპებისა და პროცედურების დანერგვა.

- ბუნებრივ რესურსებზე, განსაკუთრებით ტყეზე, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების განსაზღვრა.

- ევროპის თანამეგობრობის სტანდარტების გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების ეფექტური სისტემის განვითარება.

- საწვავის კონტროლის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და მისი ეფექტურად განხორციელება.

- ევროკავშირის კანონმდებლობასთან გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის კარმონისაგა.

- სტრატეგიული და სექტორალური გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების პრაქტიკის დანერგვა.

ტყის რესურსების მართვა

- ეკოსისტემურ მიდგომაზე დაფუძნებული ტყის რესურსების მართვა, სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.

- ხე-ტყით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, მათ შორის, ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტებით, როგორცაა ევროპის თანამეგობრობის მიერ შემუშავებული FLEGT ინიციატივა.

- სატყეო სექტორის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარება ტყის მდგრადი მართვისა და გამოყენებისთვის.

წყლის რესურსების მართვა

- წყლების დაბინძურების შემცირების ღონისძიებების განხორციელება.

- მტკნარი წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ერთიანი სტრატეგიის მომზადება და სასმელი წყლის მარაგის განსახდერა.

- მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვა, მათ შორის, მტკნარი-არაქსის აუზის ტრანს-სასახლდერო პროგრამის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა.

ნარჩენების მართვა

- ნარჩენების, მათ შორის, რადიოაქტიული და ქიმიური ნარჩენების, მართვისთვის სამართლებრივი ბაზისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

- პრივატიზაციის პროცესში, როგორც „მემკვიდრეობით“, ისე შესაძლო ახალი ნარჩენების პრობლემის იდენტიფიცირება და ინვესტორის საპრივატიზაციო დოკუმენტაციაში გარე

მოსდაცვითი სამოქმედო გეგმის წართვის პირობების შესახებ მოთხოვნების განხილვრა.

ბიომრავალფეროვნების დაცვა

- ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ასევე საერთაშორისო და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გზით, დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის ჩამოყალიბება.

- აგრობიომრავალფეროვნების ინვენტარიზაცია და წითელი ნუსხის შედგენა.

- აგრობიომრავალფეროვნების აღდგენის, დაცვისა და შესწავლის სისტემის ჩამოყალიბება.

- ცხოველთა სამეაროს რესურსების დაცვისა და ბრაკონიერობასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდების შემუშავება და დანერგვა.

- გენმოდოფიცირებული ორგანიზმებით გამოწვეული შესაძლო საფრთხისგან საქართველოს მოსახლეობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნითა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარებით.

ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია და შედეგების

სემოქმედების შემსუბუქება

- ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირების, შეფასების, თავიდან აცილების, სწრაფი რეაგირებისა და ადრეული შეწყობინების ეროვნული სამსახურის ჩამოყალიბება.

- ბუნებრივი კატასტროფების მართვის სტრატეგიის, სამართლებრივი ბაზისა და გეგმის, მათ შორის, ბუნებრივი რესურსების დეგრადაციის საწინააღმდეგო პროგრამის შემუშავება და დანერგვა.

2.5. საფინანსო პოლიტიკა და თანამშრომელი ეტაპის მიხედვით საბარათების ეკონომიკის სტაბილიზაციაში

მრავალი ათეული წლების განმავლობაში საქართველოს საფინანსო პოლიტიკა და მისი კელევა არ იყო აქტუალური, რადგანაც იგი უშუალოდ ცენტრიდან იმართებოდა და აბსოლუტურად სახელმწიფო მონოპოლიის ფორმით არსებობდა. საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა ახალ პერსპექტივებს ქმნის სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, რომლის მიღწევაში გადამწყვეტი ადგილი, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, სამოქალაქებულმა საფინანსო პოლიტიკამ უნდა დაიკავოს.

საფინანსო პოლიტიკის არსის გაგება, მისი ღრმა ცოდნა, ასევე განპირობებულია და, ამასთანავე, აუცილებელია იმიტომაც, რომ საქართველოში ღრმა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისია. ასეთ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ მნიშვნელოვან საფინანსო პოლიტიკის პრობლემებს, როგორებიცაა: ქვეყნის საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია; საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემის გარდაქმნა, მათი სრულყოფის გზების ძიება; ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება.

საქართველოს საგადამხდელო ბალანსის სიცოცხლისუნარიანობისა და წარმოშობილი საბაზრო ეკონომიკის ელემენტარული პირობების მეორე სრდისთვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური მიზნის -

ინფლაციის ტემპების შენერება ხწორი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებით, რომელიც გულისხმობს: ჯერ ერთი, საბიუჯეტო პოლიტიკის მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას; მეორე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხაზით – ინფლაციის დონის ტემპებთან წინგასწრებით, პროცენტული განაკვეთების 'სრდას, კომერციულ ბანკებ'სე და საწარმოებ'სე ეროვნული ბანკიდან კრედიტების მოცულობის შემცირებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის საბანკო ფინანსირების მკაცრად შესლუდვას, ხელფასის მეტისმეტი 'სრდის არდაშეკებას; მესამე, სტრუქტურული რეფორმების მიმართულებით – საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემების გარდაქმნის აუცილებლობას, თავისუფად ფასებ'სე გასვლისა და პრივატიზაციის დანქარებას.

ჩვენი აწრით, საქართველოს საფინანსო პოლიტიკის თეორიული პოსტულატების ანალიზისას საჭიროა საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შორის არსებული ურთიერთკავშირის შესწავლა. საბიუჯეტო-საგადასახადო თუ ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა ანალიზი გვინეუნებს, რომ მათ შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და რომ ისინი არ არიან ერთმანეთისგან დამოუკიდებელი. დონისბიებათა რეალიზაციამ ერთ სფეროში, შეიძლება გავლენა მთახდინოს მეორე'სე.

განვიხილოთ ამის ილუსტრირების მავალით'სე: დაეუშვათ, რომ ხელისუფლების წინაშე დგას ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ამოცანა. ამ მიზნით, იგი 'სრდის საგადასახადო პარამეტრებს, რათა უ'სრუნეველყოს ბიუჯეტის დაბალანსება.

როგორ ზემოქმედებას ახდენს ეს ეკონომიკაზე? სოციალად რომ ვთქვათ, გადასახადების გადიდება გავლენას იქონიებს ერთობლივი შემოსავლის შემცირებაზე. თუმცა საბოლოო შედეგი დამოკიდებული იქნება, გადასახადების ზრდის საპასუხოდ რა ზომებს მიიღებს ცენტრალური ბანკი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმართვის სამი ვარიანტი:

პირველ რიგში, ცენტრალურ ბანკს შეუძლია შეინარჩუნოს ფულის მიწოდება მუდმივ დონეზე. ასეთ შემთხვევაში შემცირდება ერთობლივი შემოსავალიც და დაიწვეს საპროცენტო განაკვეთიც. მეორე, ცენტრალურ ბანკს შეუძლია შეინარჩუნოს საპროცენტო განაკვეთი მუდმივ დონეზე. ამ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის საწყის ეტაპზე შესანარჩუნებლად, ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეამციროს ფულის მიწოდება. ამავ დროს ერთობლივი მოთხოვნა დაიწვეს უფრო მეტად ვიდრე პირველ შემთხვევაში. და მესამეც, ცენტრალურმა ბანკმა შეიძლება მიზნად დაისახოს გადასახადების ზრდით გამოწვეული ერთობლივი შემოსავლის დაცემის შენერება ფულის მიწოდების გადიდებით. ასეთ შემთხვევაში გადასახადების ზრდა არ გამოიწვევს ეკონომიკის დაცემას და მოახდენს საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვან შემცირებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკასთან შედარებით, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო მოქნილი უნდა იყოს და შეიძლება სწრაფად იცვლებოდეს. საბიუჯეტო ღონისძიებების ფორმირებასა და რეალიზაციას გარკვეული დრო სჭირდება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში განხილვა-დამტკიცებისთვის, მაშინ, როდესაც ცენტრალური

ბანკი და მისი საბჭო ყოველდღიურად იღებენ გადაწვევრილუბებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ და ამით ოპერატიულად სემოქმედებენ ფულის მოწოდება-მოთხოვნისა და სარგებლის განაკვეთებზე.

ბიუჯეტისა და ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების ერთ-ერთ სემოქმედების განსახლებურისა, დროის ფაქტორის გათვალისწინებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ემისიის მასშტაბების სწორად დადგენას. ემისიას და გადასახადებს თითქმის ანალოგიური თვისებები ახასიათებთ. როგორც სედმეტად მაღალი გადასახადები ანულებენ წარმოების პროცესს, ასევე ემისიაც, რომელიც გამოდის წარმოებისა და მიმოქცევის ბუნებრივი მოთხოვნილებების ფარგლებს გარეთ, წარმოშობს ინფლაციას და იწვევს მოწოდებისა და მოთხოვნის დისბალანსს. სწორი საემისიო პოლიტიკის გარტარებისას მეტი შესაძლებლობები ნდებდა საგადასახადო წნეხის შემცირებისათვის, გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქციის გაძლიერებისთვის, დაგროვებისა და ინვესტირებისათვის, ასე ვთქვათ ხელსაყრელი კლიმატის შესაქმნელად. და პირიქით, ფულის მასის უსაფუძვლო შეკუმშვა წარმოშობს საგადასახადო ხისტემის არამდგრადობას, რამდენადაც ფულზე სამეურნეო სუბიექტების უმრავლესობის მიერ ავთოტაქური მოთხოვნა კლობალურ ხასიათს იძენს და იწვევს მთელი სასაქონლო-ფულადი მეურნეობის დესორგანიზაციას. იმავედროულად სახელმწიფო კარგავს ემისიური შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს.

ამგვარად, შეიძლება თთქვას, რომ საყინანსო პოლიტიკა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოღწევის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. გადასახადებისა და სახელმწიფო სარ-

ვების მოცულობათა ვარიანტით შესაძლებელია საქმიანი აქტიურობის ხეიმკლარება, ინფლაციისა და უმუშეურობის შემცირება.

საქართველოს საფინანსო პოლიტიკა არ შეიძლება აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკისაგან. შესაბამისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტის რევიზი, დაწესებული მისი დეფიციტიდან, დამთავრებული წარმოქმნილი სემკრებოთ, გაელენას ახლენს ფასების დონესუ დროის გრძელვადიან ინტერვალში, აგრეთვე ფასების დონესუ და წარმოების რეალურ მოცულობაზე დროის მოკლევადიან ინტერვალში. ეს უკანასკნელი მოელენა შეიძლება აესნათ ბიუჯეტის დეფიციტის საპროცენტო განაკვეთებისა და ფულის მიმოქცევის ხისქარესუ შემოქმედების ეფექტით.

2.5.1. საპროტექტოს საბიუჯეტო-საბალანსბალო

პოლიტიკის სრულყოფის აუცილებლობა თანამგებროვე ქტაპსი

განვითარებადი ქეენები, რომლებიც გადადიან საბაზრო ეკონომიკაზე, მოელ რიგ პრობლემებს აწედებიან. ესენია: მათი ეკონომიკის დრმა კრისისი, რომელსაც თან ახლავს წარმოებისა და საქონელმიმოქცევის მოცულობათა მკვეთრი დაცემა; მატერიალური ფასეულობების, განსაკვეთრებით ენერგორესურსებისა და სერსათის, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და სწრაფად განვითარებადი ინფლაცია, რომლებიც, თავის მხრივ, იწვევენ კაპიტალდბანდებათა და ინვესტიციების მკვეთრად შემცირებას; საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა დისპროპორციები, რომლებიც ვლინდებიან საგადამხდელ ბალანსის

მიმდინარე ოპერაციების დეფიციტში, კაპიტალის გადინების და საგარეო დავალებათა სრდაში; კრედიტზე, იმპორტსა და ფასებზე კონტროლისა და რაციონირების ფორმების სულ უფრო მზარდი გამოყენება, ხოლო ამის შედეგად, საწარმოო სიმსლავრეების ეფექტიანობის შემცირება და სტრუქტურული შეუსაბამობებისა თუ დისპროპორციების გადიდება.

ყველა ეს პრობლემა დამახასიათებელია დღევანდელი საქართველოს მეურნეობრივი ცხოვრებისთვისაც. აქ ჩამოთვლილი და სხვა ფაქტორები არის საქართველოში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებისა და სამეურნეო რეფორმების გატარების აუცილებლობის დამახასიათებელი ძირითადი მიზეზები.

ამიტომ ახალი სტრატეგიის არსი კონკრეტულად უნდა გამოიხატოს საფინანსო-საბიუჯეტო სტაბილურობის მიღწევის შემდეგი თანმიმდევრობით: კაპიტალის დაგროვება – მოთხოვნის გაფართოება – წარმოებისა და დასაქმების სრდა – ინფლაციის შემცირება. მაშასადამე, წინა პლანზე გამოდის სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია და აქტიური საქმიანობა კაპიტალის დაგროვებისთვის ხელშეწყობის მიზნით, რაც ითვალისწინებს გადასახადების შემცირებას, გრძელვადიანი კრედიტების ამოქმედებას, საწარმოებისა და მოსახლეობის დანახოების გაფართოებას. ამრიგად, ახალი საფინანსო-საბიუჯეტო სტრატეგიის არსი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: სოციალური პრიორიტეტების წინ წამოწევა, წარმოების სტიმულირება, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება.

საბიუჯეტო სისტემის მართვის სრულყოფისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის მიზნით, საგადასახადო ბაზის გაფართოება, საგადასახადო შეღავათების შემცირება, ფასიანი ქვანახების გამოშვება – სახელმწიფო უზრუნველყოს მათი ღირებულების დროულად დაფარვა – აგრეთვე რეფინანსირების განაკვეთების შემცირება და მათი მიმოქცევის ვალების გადიდება.

2. საბიუჯეტო ასიგნებათა მიზნობრივ და ეფექტურ ხარჯვაზე კონტროლის გაძლიერება.

3. მსხვილი სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის დასრულება და მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში აკუმულაციის შემდეგ, მისი მოხმარება რეალური სექტორის აღორძინება-განვითარებისათვის.

4. სახაზინო სამსახურის რეორგანიზაციის დანიჭარება მისი უფლება-მოვალეობებისა და დამოუკიდებლობის გაზრდის მიმართულებით.

5. საბიუჯეტო აღრიცხვის არსებული პრაქტიკის რეორგანიზაცია, აღრიცხვის მსოფლიო სტანდარტების შემუშავება და დანერგვა.

6. ეკონომიკის სტაბილური ზრდის საფუძვლების შექმნა და სიღარიბის დაძლევა.

7. ფინანსური მდგრადობის გარანტიებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა.

8. მაკროეკონომიკური და ფისკალური მართვის გაუმჯობესება წინასწარ განსაზღვრული დაფინანსების პირობებში სახარჯო პოლიტიკის შემუშავებით.

9. შესლუღული რესურსების პირობებში დაფინანსების გააწილება სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით.

10. საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის სრულყოფა და გადასახადების ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესება.

11. საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა და ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის სრული ინტეგრაცია საბიუჯეტო პროცესში.

12. საგარეო დახმარების (დონორების) კოორდინაციის შემდგომი გაუმჯობესება.

13. ბიუჯეტის წყაროების დამატებითი შემოსავლების ძიება: გამოუყენებელ მიწის რესურსებზე მაღალი გადასახადების შემოღება, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების იჯარით გაცემა საკონკურსო წესით, კაპშიტაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში სამეწარმეო საქმიანობის და ხე-ტყის დამუშავების უფლებების ღიკენსირების აუქციონით გაყიდვის შემოღება, სახელმწიფო აპარატის შემცირება, მკაცრი კონტროლი სახელმწიფო საკუთრების მართვაზე და ა.შ.

14. სახელმწიფო ვალის ეფექტურად მართვის ღონისძიებების განხორციელება: საგარეო ვალის ზრდის ტემპი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპს, ახალ კრედიტზე გადასახდელი თანხა არ უნდა აღარბებდეს ექსპორტის ზრდის ტემპს.

15. დოლარიზაციის მკვეთრი შემცირება, როგორც მკროეკონომიკური სტაბილურობის უმთავრესი ნიშანი.

16. ღარის განმტკიცებისთვის გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება, მისი რეალიზაცია და ა.შ.

საქართველოში უდუფიცოტო ბიუჯეტის მიღებისთვის საფინანსო სტრუქტურებმა სრულად უნდა გაითვალისწინონ შემდეგი მოთხოვნები:

- საბიუჯეტო ასიგნებების სახით აღარ გამოეყენოს ფინანსური დახმარება მაკროეკონომიკური დოკლამის მწარმოებელ დარგებზე. გარდა სოფლის მეურნეობისა;

- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელონ ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსება;

- განხორციელდეს 'ხედამხედველობა საბიუჯეტო ასიგნებათა უკანონოდ და არამისწობრივად გამოყენების სალიკვიდაციოდ';

- გაუქმდეს ყველა არასაბიუჯეტო ფონდი, რომელთა დაფინანსებაც წარმოებდა ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროებიდან.

ამასთანავე, თუ გაითვალისწინებთ იმასაც, რომ მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებას ჯერ არ შეუქმნია ყველასთვის მისაღები და მოსაწონი საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის მოდელი, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა სრულყოფას მიაღწევს.

ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შესრულებაზე მოქმედი ფაქტორებიდან უნდა გამოიყოს: შემოსავლების და ხარჯების დაუბალანსებლობა, გადასახადების აღმინისტრირების დონე, წარმოების დინამიკა და სტრუქტურა, ინფლაციური პროცესები ფულად-საკრედიტო და სავალუტო ურთიერთობათა სფეროში და საგარეო-სავაჭრო ოპერაციებში მიმდინარე მოვლენები, ასევე ფისკალური პოლიტიკის, სახელმწიფო ვალდებულების მომსახურების, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და გლობალური საფინანსო-ეკონომიკური პირობების შექმნისთვის გაწეული მუშაობა¹⁷.

¹⁷ თ.გამახარდია. „საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. გვ. 66. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003წ.

გადასახადების, საგადასახადო სისტემის, საგადასახადო პოლიტიკის, როგორც ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების ფაქტორის გაძლიერების მიზნით, საქართველოში უკანასკნელ პერიოდში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. ქვეყანამ ყოფილ საბჭოთა სიერცეში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო კოდექსი მიიღო. სამჯერ შემცირდა გადასახადების ოდენობა, დარწმუნდა განაკვეთებმაც მნიშვნელოვნად იკლო. გადასახადის გადამხდელის ტვირთი 2-ჯერ და მეტად შემცირდა და სრული ადმინისტრირების პირობებში მშპ-ს 25% შეადგინა. ახალ საგადასახადო კოდექსში დარჩა შემდეგი გადასახადები:

- 1) საშემოსავლო გადასახადი – 20%-ის ნაკველად 12%
- 2) მოგების გადასახადი
- 3) დამატებული ღირებულების გადასახადი 20%-ის ნაკველად 18%.
- 4) აქციის გადასახადი
- 5) ქონების გადასახადი
- 6) სათამაშო ბიზნესის გადასახადი
- 7) სოციალური გადასახადი 33%-ის ნაკველად გახდა 20%

საბიუჯეტო შემოსავლების ანალიზი

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავალმა და გრანტ-ებმა 2005 წელს 2 706.3 მლნ ლარი შეადგინა და წინა წლის მანუენებელს 24.2 პროცენტით გადააჭარბა (ცხრილი 3).

შემოსავლისა და გრანტების საერთო მოცულობამ მშპ-ის 233 პროცენტი შეადგინა.

მლნ. ლარი

	ნაერთი ბიუჯეტი						საგადასახადო შემოსავლის განსახილველ წელი
	2005					2005/2004	
	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგს		
ნაერთი ბიუჯეტი	2.574 7	2.706.3	131.6	105.1	23.3	124.2	
დაქვანი (კაპიტალი) შემოსავლები	2.453 3	2.601.7	148.4	106.0	22.4	126.7	
საგადასახადო შემოსავლები (სადასახადო ბიუჯეტი)	2.166 8	2.288.9	122.1	105.6	19.7	126.4	100.0
საგადასახადო შემოსავლები	273.9	290.7	16.8	106.1	2.5	108.2	12.7
საგადასახადო შემოსავლები	209.9	210.3	1.4	100.7	1.8	130.1	9.2
საგადასახადო შემოსავლები	938.5	987.4	48.9	105.2	8.5	157.2	43.1
საგადასახადო შემოსავლები	280.5	286.4	5.9	102.1	2.5	140.0	12.5
საგადასახადო შემოსავლები	123.0	123.4	0.4	100.3	1.1	123.2	5.4
საგადასახადო შემოსავლები	66.9	84.4	17.5	126.2	0.7	50.5	3.7
საგადასახადო შემოსავლები	275.2	306.3	31.1	111.3	2.6	109.0	13.4
საგადასახადო შემოსავლები (სადასახადო ბიუჯეტი)	286.5	312.8	26.3	109.2	2.7	128.9	
საგადასახადო შემოსავლები	121.4	104.6	-16.8	86.2	0.9	83.7	

საკუთარი შემოსავლის სახით ნაერთ ბიუჯეტში 2005 წელს შევიდა 2 601.7 მლნ ლარი, რაც 26.7 პროცენტით მეტია 2004 წლის შესაბამის მანუენებულზე.

მშპ-ის მიმართ საკუთარი შემოსავლების წილი 22.4 პროცენტამდე გაიზარდა, რაც 1.6 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა წლის შესაბამის მანუენებულს.

საგადასახადო შემოსავლების სახით 2005 წელს მობილიზებულ იქნა 2 288.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მანუენებულზე 5.6 პროცენტით მეტია.

2004 წელთან შედარებით, საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ 26.4 პროცენტით მოიმატა, ხოლო მშპ-ის მიმართ მისი წილი 1.5 პროცენტით გაიზარდა და 19.7 პროცენტი შეადგინა

²⁰ <http://www.mof.ge/> ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2007–2010 წწ.

ცხრილი 4. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 2003-2005

წლებში (მლნ ლარი)

	2003	2004	2005
შემოსავალი და გრანტი	1348.6	2178.6	2706.3
სულ შემოსავალი (კაპიტალური შემოსავლების გარეშე)	1300.8	2053.9	2661.7
საგადასახადო შემოსავალი (საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური ანარტიკების გარეშე)	1207.8	1811.2	2288.9
საშემოსავლო გადასახადი	152.9	268.6	290.7
მოგების გადასახადი	101.5	161.6	210.3
დამსრუბელი ღირებულების გადასახადი	415.2	628.2	987.4
აქციზი	106.3	204.6	286.4
საბაჟო გადასახადი	70.3	100.1	123.4
სხვა გადასახადები	128.9	167.1	84.4
სასულმწიფო სოციალური ყონდები	238.9	280.9	428.8
არასაგადასახადო შემოსავალი (გაცემული კრედიტების დაბრუნების გარეშე)	93.0	242.7	312.8
გრანტები	47.8	124.7	104.6

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის ხაზით 2005 წელს ყველა დონის ბიუჯეტებში შევიდა 290.7 მლნ ლარ. რაც საპროგნოზო მანუენებლის 106.1 პროცენტია.

მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 8.2 პროცენტით გაიზარდა და მშპ-ის მიმართ მისმა წილმა 2.5 პროცენტი შეადგინა.

საშემოსავლო გადასახადის წილმა საგადასახადო შემოსავალში კი - 12.7 პროცენტი.

ძვევების გადასახადის მოცულობა ნაერთ ბიუჯეტში 2005 წელს, 2004 წელთან შედარებით, 30.1 პროცენტით გაიზარდა და 210.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მანუენებელს 0.7 პროცენტით აღემატება. მშპ-ის მიმართ მოვების გადასახადის წილი 1.8 პროცენტია, ხოლო მისი წილი საგადასახადო შემოსავალში 9.2 პროცენტს გაუტოლდა.

ღამაჯებულო დარებულოების გადასახადის სახით, რომლის წილი საგადასახადო შემოსავალში 43.1 პროცენტია, ნაერთ ბიუჯეტში შევიდა 987.4 მლნ ლარი და საპროგნოზო მანუენებლის 105.2%-ს მიაღწია. (წინა წელთან შედარებით, 57.2 პროცენტით გაიზარდა), ბიუჯეტში მობილიზებულმა გადასახადის წილმა მშპ-ის მიმართ 8.5 პროცენტი შეადგინა.

აქციის გადასახადის სახით, რომლის წილი საგადასახადო შემოსავალში 12.5 პროცენტია, მობილიზებულ იქნა 286.4 მლნ ლარი. ეს წინა წლის ფაქტობრივ მანუენებელზე 40.0 პროცენტით მეტია და საპროგნოზო მანუენებლის 102.1 %.

აქციის წილი მშპ-ის მიმართ 2.5 პროცენტის ტოლია.

საბაჟო გადასახადის სახით, რომლის წილი საგადასახადო შემოსავალში 5.4 პროცენტია, მობილიზებულ იქნა 123.4 მლნ ლარი (წინა წელთან შედარებით 23.2 პროცენტით გაიზარდა). ეს მანუენებელი პროგნოზს 0.3 პროცენტით აღემატება.

მშპ-ის მიმართ საბაჟო გადასახადის წილი 1.1 პროცენტია.

არასაკადასახადო შემოსავალმა, რომელიც მოდითანი შემოსავლისა და გრანტების 11.6 პროცენტია, 312.8 მლნ ლარ შეადგინა და წინა წელთან შედარებით, 28.9 პროცენტით-გაიზარდა.

არასაგადასახადლო შემოსავლის ფაქტობრივი მოცულობა 9.2 პროცენტით მეტია მის საპროგნოზო მანქენებელზე, ხოლო მშპ-ის მიმართ მისი წილი 2.7 პროცენტის ტოლია.

საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზი²¹

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზული გათვლებისას გათვალისწინებულია ფისკალურ სფეროში მომხდარი ცვლილებები და მათი შესაძლო შედეგები.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების მოცულობის 'ზრდა 2006 წელს 15.4 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ, საეარაულოდ, 23.9 პროცენტს გაუტოლდება.

საეარაულოდ, 13.4 პროცენტით გაიზრდება საკუთარი შემოსავლები, ხოლო მისი მშპ-თან ფარლობის მანქენებელი 22.6 პროცენტს მიაღწევს.

პროგნოზული გათვლებით, 'ზრდის ტენდენცია შენარქენდება 2007-2010 წლებშიც.

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადლო შემოსავლების (საბიუჯეტო სექტორიდან სოკვიალური ანარიცხების გარეშე) მოცულობის 'ზრდა 13.6 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 19.9 პროცენტს გაუტოლდება, მათ შორის:

– საშემოსავლო გადასახადის მოცულობის 'ზრდა მოსალოდნელია 8.3 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ – 2.4 პროცენტის ფარგლებში;

²¹ წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია.

- მოცუბის გადასახადის მოცულობის 'სრდა მოსალოდნე-
ლია 26.6 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ - 2.0 პროცენტის
ფარგლებში;

- დამატებელი ღირებულების გადასახადის მოცულობის
'სრდა მოსალოდნელია 16.0 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ -
8.8 პროცენტის ფარგლებში;

- აქციის 'სრდა მოსალოდნელია 18.1 პროცენტის, ხოლო
მშპ-ს მიმართ - 2.6 პროცენტის ფარგლებში;

- ხაბკო გადასახადის მოცულობის 'სრდა მოსალოდნე-
ლია 11.4 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ - 1.1 პროცენტის
ფარგლებში;

- ადგილობრივი გადასახადების მოცულობის 'სრდა მოს-
ალოდნელია 6.2 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ - 0.6 პრო-
ცენტის ფარგლებში;

- არასაბიუჯეტო სექტორიდან სოციალური გადასახადის
(ერთჯერადი ჩარიკხეების გარეშე) მოცულობის 'სრდა მოს-
ალოდნელია 19.4 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ - 2.3 პრო-
ცენტის ფარგლებში.

მნიშვნელოვანი მატების ტენდენციაა მოსალოდნელი საგა-
დასახადო შემოსაგელებში 2007-2010 წლებისთვის, 2010 წლისთვის
მისი წილი მშპ-თან მიმართებაში საგარაუდოდ 21.0 პროცენ-
ტამდე გაი'სრდება.

არასაგადასახადო შემოსაგელების (გაცემული კრედიტების
დაბრუნების გარეშე) მოცულობის 'სრდა 2006 წლის ჩაერთ
ბიუჯეტში 17.3 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო
მისი წილი მშპ-ის მიმართ, საგარაუდოდ, 2.8 პროცენტს
გაუტოლდება.

კაპიტალური შემოსავლების მშპ-თან ფარდობის მანკურებულ
ლი 2.7 პროცენტს მიაღწევს.

მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად,
საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სოფლის მეურ-
ნეობის სამინისტრომ განახორციელოს რეფორმა ქვეყნის
ეკონომიკის სტაბილურად და მაღალი ტემპებით განვითარებ-
ისათვის შემდეგი მიმართულებებით:

ეკონომიკის სამინისტროს მისიის რეალიზაციის ხტრატე-
გია:

- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ქვეყნის
ინფრასტრუქტურის განვითარება.
- ვაჭრობის სფეროს ღობერალიზაცია და ტექნიკურ
ბარიერების შემცირება.
- ეკონომიკის ინსტიტუციონალური დერეგულირება.
- სახელმწიფო ქონების პრივატიზების გზით, ინვესტიციუ-
ბის მოზიდვა და სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ქონების
მართვის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყო-
ფა.

საშუალოვადიან პერიოდში მოხალოდნელი შედეგთ:

- ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს შექმნა და ქვეყნის
ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა.
- კერძო სექტორში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.
- მშპ-ს სტაბილურად და მაღალი ტემპებით ზრდის უზრუნ-
ველყოფა და სიღარიბის დონის მკვეთრი შემცირება.

სამინისტროს საშუალოვადიანი პრიორიტეტები:

- ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და მისი
რეალიზაციის კოორდინაცია

- ვაჭრობის სფეროს ღიბერალიზაცია, ვაჭრობაში არსებული ტექნიკური ბარიერების შემცირება.

- სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციისა და ბაზრის უზღაურებულობის სისტემის რეფორმა.

- ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის რეფორმაში მონაწილეობა (სამინისტროს კომპეტენციის შესაბამისად).

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო სუბიექტებისა და ქონების განსახელმწიფოებრიობა.

- სატრანსპორტო სფეროს მართვის სისტემის ოპტიმიზაცია, ღიბერალიზაცია, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისია:

- ეფექტიანი სოფლის მეურნეობის პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის არსებობა.

- საქართველოს ეპისოლოგიური და ფიტოსანიტარული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ქვეყნის აღიარება, როგორც კეთილსამიჯლო სავაჭრო პარტნიორის.

- სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა.

სამინისტროს მისიის რეალიზაციის სტრატეგია:

- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების გზით.

- ქვეყნის ეპისოლოგიური, ფიტოსანიტარული უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა სახელმწიფო უზღაურებულობის განხორციელების გზით.

საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელი შედეგები:

- აგრობიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო;

- სერსათის უენებლობა;
- ქვეენის ეპისოლოტიური და ფიტოსანიტარული უსაფროთხოება.

- ხაერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა.

სამინისტროს საშუალოვადიანი პრიორიტეტები:

- ხასურსათო უსაფროთხოებისა და ხარისხის უენებლობის უსრუნველეყოფა.

- ხასოფლო-ხამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება და სამელიორაციო სისტემების მართვის რეფორმა.

- მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა.

საქართველოს საბიუჯეტო ფედერალიზმის განვითარების პერსპექტივები. საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა უნდა განისახდეროს ქვეენის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეენის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემას შეადგენს ქვეენის სახელმწიფო, ავტონომიური ფორმირებისა და ადგილობრივი ბიუჯეტები. ეს ბიუჯეტები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი უნდა იეოს. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ ადმინისტრაციული წესით წაერთონ სახელმწიფო იერარქიის ქვემდგომი საფეხურების პროცესებში. საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა ხელისუფლების ეკონომიკური

პოლიტიკისა და სტრატეგიის ორგანული ნაწილი უნდა გახდეს. მისი მიზანი უნდა იყოს ტერიტორიულ ერთეულებში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების უზრუნველყოფა და ცალკეული რეგიონისთვის თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე, ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს ნორმალური ფუნქციონირების პირობების შექმნა. ეს კი შესაძლებელია დეცენტრალიზაციის პროცესის შემდგომი სრულყოფის საფუძველზე. ტრანსფერტის განაწილება რეგიონალური ბიუჯეტისთვის უნდა დაეფუძნოს სუსტ, არგუმენტირებულ და ყველასთვის მისაღებ პრინციპებს.

ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონული ბიუჯეტისათვის გადასაცემი ტრანსფერტების მოცულობის განსაზღვრა შესაძლებელია შემდეგი ფორმულის გამოყენებით²

$$T = S - H_1 + H_2 + H_3$$

სადაც T არის ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონისთვის გადასაცემი ტრანსფერტების მოცულობა; S - ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ გასაწევი აუცილებელი ხარჯების მოცულობა; H_1 - ადგილობრივი გადასახადებითა და მოსაკრებლებით მიღებული შემოსავალი; H_2 - ადგილობრივი არასაგადასახადო შემოსავლები; H_3 - გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებით მიღებული შემოსავალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანსფერტების გამოთვლის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდის სრულყოფის საკითხის გადაწყვეტა გულისხმობს საჭირო პარამე-

² იმესხია. „რეგიონული საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემების თანამედროვე პრობლემები“. ჟურნალი „მიკრო-მაკრო ეკონომიკა“. 1999. №4. გვ.25.

ტრებში ისეთი შესწორებების შეტანას, რომლებშიც აისახე-
ბა: პირველი, რეგიონის ფაქტობრივი სოციალური გასაყდუ-
ბი (ერთ სულსე) მათ ნორმატიულ დონესთან შედარებით;
მეორე, რეგიონის განვითარების დონე და ფინანსური პოტენ-
ციალი; მესამე, არსებული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანებ-
ის გადაწყვეტის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამორჩენილი რეგიონების
(მათ შორის აფხაზეთის) მდგომარეობის გამოსწორებისთვის
აუცილებელია ადგილობრივ ორგანოებს მიეცეოდ მოხახლე-
ობის გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით, ცალკეული
სახეობის საკონელსე დიფერენცირებული დამატებითი გა-
დასახადის დაწესების უფლება. ცენტრსა და რეგიონებს
შორის გადასახადების სამართლიანი განაწილებისთვის
საჭიროა ბიუჯეტური ფედერალიზმის პრინციპების გამოყ-
ენება, რაც ნიშნავს, რომ რეგიონებს, მიმდინარე სოციალური
ხარჯების ნორმალურ დონესე დასაფინანსებლად, დარწხს
საკმარისი ფინანსური რესურსები. ამისთვის აუცილებელია,
რეგიონებში დასატოეებელი გადასახადების წილის გადიდუ-
ბასთან ერთად, არსებითად შემცირდეს დოტაციური რეგიონ-
ების წილი.

აქვე შევნიშნავთ, რომ საგადასახადო-საბიუჯეტო სისტე-
მის სრულყოფაში ბიუჯეტთაშორისო როლის ამადლება, და,
პარალელურად, ქვეყნის საბიუჯეტო ხარჯების დეცენტრალ-
იზაციის მნიშენელობის ამადლება დამოკიდებულია შემდე-
გსე: პირველი, ქვეყნის ეკონომიკაში რეგიონებს შორის ვერ-
ტიკალური და პორიზონტალური დისბალანსების აღმოფხ-

ერის საფუძველზე რამდენად მიკვეთრად გაიმიჯნება სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა დონის უფლებამოსილებანი: მეორე, თუ მიიღწევა განაწილების ეფექტიანობა ხარჯების პრიორიტეტებსა და მოხახლეობის იმ პრიორიტეტებს შორის, რომლებსთვისაც გამოყოფილია ეს ხარჯები. ზესამე, თუ ხარჯებზე პასუხისმგებლობის დეცენტრალიზაციას თან მოჰყვება ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების შემოსავლების მნიშვნელოვანი საკუთარი წყაროების განაწილება; დამუშავდება ბიუჯეტის შესრულებისთვის წახალისების მექანიზმი ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების ფისკალური პასუხისმგებლობის გაზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან ბიუჯეტი უნდა განიხილებოდეს არა მარტო, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური დატვირთვის დოკუმენტი, არამედ ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევისთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტიც; მეხუთე, განისაზღვრება თუ არა საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საქართველოში ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების განვითარების პერსპექტივების ჩამოყალიბებას სასღვარგარეთის გამოცდილებათა გათვალისწინებით?

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შემოსავლების მატებას იმ დონეზე, რომ განხდეს სახელმწიფო ხარჯების უმეტესობის დაფი-

თ.გამსახურდია. „საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. გვ 183. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003წ.

ნანსების საშუალება. რაც შეეხება კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას, ორიენტაცია ამ მხრივ კვლავ საგარეო რესურსებზე რჩება.²⁴ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის რეზერვის გამოყენება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული საგადასახადო სისტემისა და საბაზო დაწესებულებათა ბაზების განმტკიცებაზე, ხარჯების შემცირების კურსზე, მათ მისწობრივ მართვასა და საბიუჯეტო დაგეგმის სრულყოფაზე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ-ჯერობით კვლავ დაბალია სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის დონე. ამიტომ, აუცილებელია, რომ ეს პრობლემა წედებოდეს მხოლოდ სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის მკვეთრი გადიდების ხარჯებზე კონტროლის გაძლიერებისა და მათი რაციონალიზაციის გზით. მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელი გახდება ეკონომიკის ზრდის საგრძნობი ეფექტის მიღების გარეშე.

²⁴ ი.მესხია, ებახარია. „საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები“. თბ. გამომცემლობა „ფინანსები“ 2001წ.

სრულყოფის აუცილებლობა

დღესდღეობით, თეორიტიკოსი თუ პრაქტიკოსი ეკონომისტები თითქმის ერთხმად აღიარებენ მონეტარიზმის ფუძემდებლად ცნობილი მილტონ ფრიდმანის მიერ ჯერ კიდევ 70-იან წლებში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ერთადერთი მაკროეკონომიკური მანევრებელი, რომელსედაც გრძელვადიან პერიოდში ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეუძლია იქონიოს გავლენა, არის ინფლაცია²⁵ შესაბამისად, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, უმეტესი ქვეყნების ცენტრალური ბანკების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზნად სწორედ ფასების სტაბილურობა და ინფლაციის დაბალი ტემპების შენარჩუნება იქცა.

ის ხაყოველთაოდ ცნობილია, რომ ინფლაციის მაღალ ტემპებს და, მით უმეტეს, ძიპერინფლაციას დამანგრეველი ეფექტი აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე. მაღალი ინფლაციური ქვეყნები, წყულებრივ, განვითარებისა და სრდის დაბალი ტემპებით ხასიათდებიან. ინფლაციის თუნდაც შედარებით დაბალი ტემპები (10-15%) სერიოზულ ეკონომიკურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული და განაპირობებს ფინანსური, ადამიანური თუ დროითი რესურსების ნაწილის არაპროდუქტიულ გამოყენებას. მრავალწლიან გამოცდილებასა და არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდა საერთაშორისო კონსენსუსი, რომ ინდუსტრიულად განვითარებულ

²⁵ B. Bernanke, T. Laubach, F. Mishkin, A. Posen. Inflation Targeting. - Lessons from International Experience. - Princeton University Press. New Jersey. - 1999. - p.2-3.

ქვეყნებში ინფლაციის ოპტიმალური დონე 1–3%-ს შეადგენს. შემთხვევითი არ არის, რომ ევროკავშირში გაწვევრიანების კანდიდატი ქვეყნებისთვის ერთ–ერთ აუცილებელ მოთხოვნად წლიური ინფლაციის 2%-იანი ღიმიტია განსაზღვრული.

საქართველოს განვითარებადი ეკონომიკისა და საფინანსო ბაზრების ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სტრუქტურის, მიკროინფლაციური წარსულის, ეროვნული ფულადი ერთეულისადმი დაბალი ნდობისა და ცენტრალური ბანკის ხელთ არსებული მონეტარული რეგულირების შესუღუღულობის პირობებში, მიზნობრივი ინფლაციის ასეთ დაბალ დონეზე განსაზღვრა აუცილებლად წარმოშობს ფულად–საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამკაცრების საჭიროებას. ეს კი გამოიწვევს ფულადი რესურსების დეფიციტის გაღრმავებას და ეკონომიკური აქტიუობის მკვეთრ შემცირებას. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი, მომავალი 5–7 წლის მანძილზე, მიზნად ისახავს უზრუნველყოს ინფლაციის წლიური ტემპი არაუმეტეს 5–6%-ისა. რაც შეეხება უფრო გრძელვადიან პერსპექტივას, 2010–2015 წლისთვის მიზნობრივი ინფლაციის ზღვარი, სავარაუდოდ, 3–4%-მდე შემცირდება.

ფულად–საკრედიტო პოლიტიკის ეფექტურობას საქართველოში საგრძნობლად ზრუდავს ეკონომიკის მონეტისაციის დაბალი დონე, დოლარიზაციის მაღალი მასშტაბები და სუსტად განვითარებული საფინანსო შუამავლობა. ეს ფაქტორები ერთ–იერთდაკავშირებულია და, გარკვეულწილად, ერთმანეთს განაპირობებენ. დაბალი მონეტისაცია თავისი არსით ფულადი

» S.Fisher. The Role of Macroeconomic Factors in Growth// Journal of Monetary Economics. - N32(3). - 1993. - p. 485-512.

რესურსის ხიმცირეს უკავშირდება და აფერხებს ფინანსური შეამავლობის განმტკიცებასა და საფინანსო ბაზრების განვითარებას. ამავდროულად, ბაზრების განვითარებლობა ზღუდავს დროებით თავისუფალი რესურსის ღირებულებების შესაძლებლობას და ხელს უწყობს დოლარიზაციისკენ საზოგადოების მიდრეკილებას. იმ პირობებში, როცა ეკონომიკა ძირითადად სავალუტო რესურსით საზრდობს და საფინანსო შეამავლობაც უპირატესად უცხოური ვალუტით ხორციელდება, მონეტარული პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ ეროვნული ფულადი ერთეულით ოპერირებს, კარგავს თავის ეფექტურობას. ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე დგას ამ პრობლემის კომპლექსურად და ერთიან კონტექსტში გადაჭრის მეტად რთული ამოცანა.

ყოველივე სემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკაში იკვეთება სამი ძირითადი პრიორიტეტი:

- ეკონომიკის მონეტარიზაციის არაინფლაციური სრდა;
- დოლარიზაციის შემცირება, რომელიც ამჟამად 80-85%-ია;
- ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საბანკო სექტორში რეალურად შეიმჩნევა სტაბილური განვითარების ტენდენციები – საკრედიტო რესურსების სრდა, რეალური საკრედიტო ინსტიტუტების გამოკვეთა, ბანკების ზედამხედველობის გაუმჯობესება, საერთაშორისო დონორების გააქტიურება და სხვა – ეკონომიკაში ბანკების აქტიურობის ეფექტიანი დონისგან საქართველო ჯერ კიდევ შორს არის. საშუალოდ, ბანკების

მთლიანი საკრედიტო დაბანდებები ერთობლივი შიდა პროდუქტის 10%-ს არ აღემატება. ამდენად კერძო სექტორში 450–500 მილიონი ლარის საკრედიტო პორტფელი რეალურად ადასტურებს საფინანსო ბაზარზე ქართული ბანკების ჯერ კიდევ სუსტ როლს. შედარებისთვის ისიც კმარა, რომ საქართველოში არსებული ბანკების მთლიანი საკრედიტო დაბანდება ერთი დიდი ევროპული ბანკის საკრედიტო პორტფელის 1–2%-ს შეიძლება შეადგენდეს.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების ბოლო 10 წლის გამოცდილების ანალიზში დაგვიანება, რომ ამ სფეროში ნამოყალიბდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციები. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო სფეროში თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად განხორციელებული დადებითი მომენტებიდან აღსანიშნავია:

1. ფულის რაციონალური, ოპტიმალური მიწოდების საფუძველზე, ეროვნული ბანკის მიერ ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახადა ინფლაციური პროცესების მართვა.

2. სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების მიმართ ლარს გაცვლითი კურსის მდგრადობამ განაპირობა ლარს სტაბილურობა.

3. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბანკების გამსხვილებისა და კონსოლიდაციის მიმართულებით. მხედველობაში გვაქვს, მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივი გაზრდის საფუძველზე, საბანკო სისტემაში კონკურენტუნარიანი გარემოს ნამოყალიბებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

4. მინიმალური საწესდებო კაპიტალისა და სხვა ნორმატიული მანკენებლებისადმი მოთხოვნების გამკაცრებასთან ერ-

თად, ახალი ბანკების ინციტატივებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საბანკო სისტემის ძალთა განლაგება. კერძოდ, თუ 1996 წლის დასაწყისში საბანკო სისტემის აქტივების 50%-ზე მეტი ეოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებზე მოდიოდა, ამჟამად ამ უკანასკნელთა ხვედრითი წილი საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 30%-ს შეადგენს, რაც ახლად შექმნილი ბანკების პროგრესის მანუენებელია. ასეთივე სურათი გვაქვს მოსახლეობის ანაბრების მოზიდვის თეალსაზრისითაც: 2000 წლისთვის, საბანკო სისტემაში მოზიდული ანაბრების მოცულობის 30-35% ეოფილ სახელმწიფო და კომერციულ ბანკებზე მოდის, მაშინ როდესაც 1996 წლისთვის მათი წილი საბანკო სისტემაში არსებული ანაბრების 90-95%-ს შეადგენდა;

5. დეპოზიტებისა და საკრედიტო დაბანდებების 'სრდამ მნიშვნელოვანი გაეღენა მოახდინა ბანკების კაპიტალისაციის მოცულობის გადიღებაზე.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, საქართველოს საბანკო საქმიანობის განეღილი პერიოდის ანაღიზმა, დაღებოთ ტენდეციებთან ერთად, უარყოფითი მხარეებიც წარმოანინა, კერძოდ:*პირველთ*, საბანკო სისტემის საქმიანობის წინააღმდეგობები განაპირობა ნაკლოვანებებმა, რაც გამოწვეულია მთღიანად ქვეყნის ეკონომიკის კრიზისული მღგომარეობით, სავაჭრო და საფინანსო კაპიტალის დომინირებით, სტრუქტურულ გარდაქმნებში წამორწენით, პრივატიაციის არაეტაპობრივად გატარებით და სახელმწიფო ქონების წალის ფასად ხელში წაგღებისკენ მისწრაფებით, ფისკალური პრობღემებით;*მეორე*, ბანკებ-

²⁷ ი.მანაგაძე. „საქართველოს საბანკო სისტემა XXI საუკუნის მიღნაზე“. „ბანკი“. №1 2000წ. გვ 5.

ის კაპიტალიზაციის დაბალი მახასიათებელი, საბანკო სისტემის-
ადმი უნდობლობა და ჩრდილოეთი ეკონომიკის მასშტაბები.
ბანკებს გარეთ არსებული ფულადი მასის ზრდა და მათი
საბანკო არსებში მობილიზაციის დაბალი დონე*მეხასიკე*. მომ-
ლილი აღრიცხვითობა და ეროვნული ეკონომიკის დოლარ-
ისაციის პროცესის გაფართოება, მეწარმე სუბიექტის მიერ ნაღდი
ანგარიშსწორებისთვის უპირატესობის მინიჭება, დეპოზიტებისა
მიღებულ შემოსავლებსა და ერთობლივ შიდა პროდუქტის
ზრდას შორის ურთიერთდაკავშირების არარსებობა*მეოთხე*.
საბანკო სერვისის შესწავლული სექტორი, ასევე საბანკო ოპ-
ერაციების, პროგრესული საბანკო პროდუქტების დანერგვის
ნული ტემპი, საბანკო სისტემაში ხაერედიტო რესურსების დეფ-
იციტი და სესხების მაღალი საპროცენტო განაკვეთები*მეხ-*
უთუ. კომერციული ბანკების ლიკვიდურობის აღბათობა, საიმუ-
დრობისა და მდგრადობის დაბალი დონე, ასევე კომერციული
ბანკების მხრიდან საინვესტიციო საქმიანობის მიმართ ნაკლებ-
ბი ინტერესი.

ზემოაღნიშნული დადებითი და უარყოფითი ტენდენციების
შეჯერებიდან გამომდინარე, საბანკო სისტემის განვითარების
პრიორიტეტულ მიმართულებად მიგვანინია საბანკო სისტემის
განვითარების წინააღმდეგობრივი ხასიათის პრობლემების
გადაწყვეტისთვის საჭირო პირობების შექმნა, როგორცაა:

- ეკონომიკის მასშტაბების ზრდა და ფინანსური სექტორის
გაფართოება, ფინანსური გლობალიზაციის, კაპიტალის მოძრაო-
ბისა და ეროვნული სავალუტო სისტემის ურთიერთშემოქმედუ-
ბის გაძლიერება.

- ბანკების კაპიტალიზაციის დონის ამაღლება და ეროვნული ეკონომიკის დოლარიზაციის პროცესის შეზღუდვა, საბანკო სისტემის აქტივებისა და ვალდებულებების უცხოურ ვალუტაში კონცენტრირების შემცირებისკენ მიმართული კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება.

- საბანკო სისტემების მიმართ ნდობის ამაღლება, ჩრდილოეთი ეკონომიკის მასშტაბების შეზღუდვა და ბანკებს გარეთ არსებული ფულადი სახსრების საბანკო არხებში მობილიზება.

- ეკონომიკის ფულადი რესურსებით სტიმულირებისთვის ღონისძიებათა შემუშავება, ამავდროულად, კომერციული ბანკების ლიკვიდურობის გზების, აგრეთვე მომგებიანობასა და გადახდისუნარიანობას შორის მიხედვით შედეგობრივი კაეშირის განსახილვრა.

- ბანკების საიმედოობის, მდგრადობისა და საინვესტიციო საქმიანობის გაძლიერება.

აქვე უნდა მივანიშნოთ, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზის დაუხევეწაობა აფერხებს კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკისთვის გრძელვადიანი კრედიტების გაცემას. კომერციული ბანკები ვერ შეძლებენ რეალური სექტორის დაკრედიტების გაფართოებას, თუ სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოქმნისას სახელმწიფო მათი ინტერესების დაცვას არ უსრუნველყოფს. თანამედროვე ეტაპზე დეპოზიტების დახლეკვის სისტემა ამა თუ იმ ფორმით, ეროვნული ეკონომიკის გათვალისწინებით, ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს. განვითარებული ქვეყნების დეპოზიტების დახლეკვის სისტემის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ

დეპოზიტების დაზღვევის ეფექტიანად ფუნქციონირებად სისტემას მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა შეუძლია, კერძოდ: უზრუნველყოს მისი წევრებისა და მთლიანად საბანკო სისტემის მდგრადობა; გააერთიანოს ზღვარზე მეოფი ბანკების ფინანსური მხარდაჭერა; ბანკის ფინანსური მდგომარეობის გართულების შემთხვევაში, შეანაბროს დაცვა ანაბრების დაკარგვისგან; შეუქმნას შეანაბრებელი გარანტიები ბანკის გაერთიანების შემთხვევაშიც კი; აამაღლოს საბანკო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხი.

საქართველოში საბანკო დეპოზიტების დაცვის სისტემის შექმნას სისტემური ხასიათი უნდა აქონდეს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. ამისთვის აუცილებელია შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

- გამყარდეს დეპოზიტების დაცვის სისტემა სამართლებრივად.

- დამუშავდეს სესხების შეფასების, რეგულირებისა და კონტროლის ოპტიმალური სისტემა.

- სახელმწიფო მოხელეებს მიენიჭოს უფლებამოსილება და გადაეცეთ ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია გაერთიანებული გადახდისუუნარო ბანკების მიმართ სპეციალური ღონისძიებების გასატარებლად.

- სადეპოზიტო დაზღვევა შემოღებული უნდა იქნეს საბანკო სისტემის საბოლოო რესტრუქტურისა ცილის შემდეგ. ბანკის გაერთიანების შემთხვევაში, მან უნდა მოიცვას ყველა ბანკი, უზრუნველყოს ყველა ტიპის დეპოზიტების შეუსლუდავი ანაზღაურება და სწრაფი კომპენსირება²

² ხ.ბარბაქაძე, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემა: მსოფლიო გამოცდილება და საქართველოს რეალობა“. ჟურნალი „ბანკი“ გვ. 37. 1-2/2002წ.

არადა ზემოაღნიშნულისა, საქართველოში საფინანსო სექტორის განვითარება დამოკიდებული იქნება ეკონომიკის დარგების ოპტიმალური დატვირთვით ამუშავებასა და მცირე და საშუალო ბიზნესის აქტიუობაზე, რამდენადაც საბანკო სისტემის, კაპიტალის ბაზრისა და სადაზღვევო სისტემის ხიდლიერე დამოკიდებულია აქტიურ, ძლიერ კლიენტებზე და პირიქით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საფინანსო სექტორის ინსტიტუციური მოწყობა და არსებული ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია, მისი შემდგომი სრულყოფისთვის აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება და ამ ბაზარზე რიგი სიახლეების შემოტანა. კერძოდ, *პირველი*, შესაბამისი სამსახურები ძირითად აქცენტს გადაიტანენ სტაბილური საფინანსო ბაზრისთვის აუცილებელი ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – მთავროვნების სტიმულირებისა და მიწოდების უზრუნველყოფის მიმართულებით; *მეორე*, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ყურადღების გადატანის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს ეტაპობრივად შეუმცირდება და საბოლოოდ დაეხერება ეროვნული ბანკიდან პირდაპირი დაკრედიტების ღიმიტი; *მესამე*, განხორციელდება საფონდო ბაზარზე პოტენციური ინვესტორების საქმიანობის შესწავლა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პარამეტრების მათ ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანასთან; *მეოთხე*, მიზანშეწონილი გახდება, ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანიებს გაემიჯნოს ისეთი კომპანიები, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან განხორციელონ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ყველა სახის საბროკერო საქმი-

ანობა და მათ ბა'სა'სე შეიქმნება „საინვესტიციო ბანკის“ ინსტიტუტი. ასეთ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების ბა'ზარ'ზე იფუნქციონირებს ორი სახის ინსტიტუტი – საბროკერო კომპანია და საინვესტიციო ბანკი, რომელთა მთავარი განსხვავება იქნება, მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის სახეობები. მოხდება ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანიების საქმიანობის კონცენტრირება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასა და საბროკერო საქმიანობა'ზე, ხოლო საინვესტიციო ბანკების საქმიანობის – ფართომასშტაბიანი მოცულობის ფასიანი ქაღალდების ოპერაციებ'ზე, ანდერრაიტინგის ნათელით;

მეხუთე, დაინერგება ელექტრონული ანგარიშსწორების ფუნქციებით ინვესტირებ'ზე ფასიანი ქაღალდების პირდაპირი მიყიდვის სისტემა; *მეექვხე*, დახლვევის სახელმწიფო 'ხელამხდველობის სამსახური ავა მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სტატუსში და გაფართოვდეს სადა'სრევეო სისტემის რეგულირებასთან დაკავშირებელი მისი უფლებები. ასევე მი'ზანშეწონილია სიცოცხლისა და სხვა სახის და'ხლვევის განცალკევება.

ფასიანი ქაღალდების ორგანი'ხებული ბა'ზრის განვითარების ხელშეწყობა:

- ფასიანი ქაღალდების ბა'ზრის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

- პრევატი'ზაციის პროცესში საბირჟო აუქციონის უპირატესი გამოყენების უსრუნველყოფა.

- ფასიანი ქაღალდების ერთიანი კანონმდებლობის ფარგლებში სახელმწიფო, მათ შორის, მუნიციპალური ფასიანი

ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დასეეწა-შემუშავება.

- ინვესტორების მოსახიდად, ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის დანერგვა.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ეტაპზე მთავარია, საქართველოს საბანკო სისტემა რეალურად გახდეს ე.წ. „სახელმწიფო სახელმწიფოში“ და მის საქმიანობაში ეოვედმხრიე გამოირიცხოს გარედან უხეში ჩარევის მცდელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს საბანკო სისტემა ემსხვერპლება ცალკეული ჯგუფების პოლიტიკურ ამბიციებს.

2.6. ბიზნესის ლეგალიზაციისა და სანიმუშობის გარემოს განვითარების პირსპექტივები საქართველოში

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ გარდაქმნებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლეგალურ მეწარმეობის განვითარებისკენ მიმართული პოლიტიკის გატარება, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგრალობასა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებაზე. გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში სრულიყოფანი ეკონომიკის მასშტაბთა შემცირების პროცესი ბოლო წლებში ძალზე რთულად მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, საქართველოში საბაზრო ეკონომიკისკენ ხელის გარდამავალ პერიოდში, რიგ დარგებში აღურიცხავე საქმიანობის წილი მკვეთრად გაიზარდა.

ფაქტია, რომ მოძველდა მაკროეკონომიკურ-ფინანსური სტაბილურობის მოქმედი კონცეფცია და იგი ნაკლებად ითვალისწინებს მის უშუალო მიზანს – ბიზნესის ლეგალიზაციას და საერთოდ, მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტს. ბოლო დრომდე საგადამხდელო ბალანსის უმნიშვნელოვანესი ნაწილი – მიმდინარე ანგარიში, რომელიც საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის, აგრეთვე ტრანსფერტების ბალანსს ასახავს, დაახლოებით 250–300 მლნ აშშ დოლარის უარყოფითი სალდოთი ხასიათდება. ამგვარად, ნეგატიური სავაჭრო სალდო საგადამხდელო ბალანსის კაპიტალურ ანგარიშზე პერმანენტულ დაწოდებს ქმნის და აიძულებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორებს გამუდმებით გაზარდონ

საგარეო ვალდებულებები და ამ გზით დაიკმაყოფილონ ვალუტაზე მოთხოვნილება. გარდა საგარეო დაფინანსებისა, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდოს დაბალანსება ხდება ალურიცხავი ფულადი ნაკადის ხარჯზე, რაც უპირატესად, წრდილოეთ კონომიკურ გარიგებებს ემსახურება.

ისეუ პირობებში, როდესაც საგაღუტო რეზერვები შეხლეულებია, უარყოფითია საგარეო სავაჭრო და მომსახურების ბალანსი და არასახელმწიფო სექტორიც საგარეო ვალდებულებების გაზრდით იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, უარყოფითი მუხლების დაბალანსებაში ძირითადი სიმძიმე კერძო ინვესტიციებზე მოდის. ასეთი მდგომარეობა ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის იმდაგვარ სასწრაფოდ გადაწყობას მოითხოვს, რომ მომავალში განჩდეს საგარეო ვალების მომსახურების სტაბილური წყარო. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე და კაპიტალური ანგარიშების დაფინანსება, ძირითადად, დონორებისგან მიღებული თანხებით მოგეიხლება.

სემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას ლეგალური მეწარმეობის განვითარების გზით, საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესების გადაუდებელი ამოცანა, რის გარეშეც, საშუალოვადიან პერიოდში, მაკროეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნება შეუძლებელია.

როგორ უნდა მოხერხდეს ეს? ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, იმპორტნანაცვლება და ლეგალური ექსპორტის წახალისება ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი უნდა გახდეს. ნებისმიერ გადაწყვეტილებაში, იქნება ეს საგადასახადო კანონ-

მდებლობაში ცვლილება, კორუფციასთან ბრძოლის თუ ინსტიტუციონალური მოწყობის საკითხები. პრიორიტეტი ხაზოვან ღვადალურ სექტორში ეკონომიკური სრდის ხელშეწყობას უნდა მიენიჭოს. დანამდეილებით შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის ღვადალიზაციის პრობლემა მნიშვნელოვანწილად მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პრობლემაა, რადგან ხაზოვან ამ სექტორშია თავმოყრილი ნრდილოვანი წარმოების 60–70%, სოგიერთ დარგში კი აღნიშნული მანევენებელი 100%-საც უტოლდება.

ექსპერტული გათვლებით, აღურიცხაეი პროდუქციის გამოშვების წლიური მოცულობა კვების მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოებში 200 მლნ ღარს შეადგენს, მსებუქ მრეწველობაში – 8 მლნ ღარს, ხე-ტყის, ქაღალდისა და ავეჯის წარმოებაში – 23 მლნ-ს, ქიმიურ მრეწველობაში – 6 მლნ-ს, რეზინისა და პლასტმასის წარმოებაში – 7,5 მლნ-ს, საშენ მასაღათა მრეწველობაში – 25,5 მლნ-ს. მთლიანობაში, მცირე და საშუალო საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის 60%, ანუ 270 მლნ ღარის პროდუქცია იწარმოება ფარულ სექტორში.²⁹

მცირე ბიზნესთან დაკავშირებული კორუფციის შემცირებისთვის, მნიშვნელოვანია კორუფციის ‘დაკანონებული’ შესაძლებლობების მოსპობა. ეს გულისხმობს, რომ მინიმუმამღუნდა დავიდეს გარემოებები, რომლებიც შესაძლებელს და დასაშეებს ხდის კორუფციას. კერძოდ, კანონმდებლობის აღსრულების სირთულე, ცაღკეული სახელმწიფო მოხელის გა-

²⁹ ნ.თურნაეა. „ბიზნესის ღვადალიზაციის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“. უურნალი „ბანკი“, გვ 46. 2/2001წ.

დახაწვევად დატოვებული საკითხები და გადაჭარბებული უფლებამოსილებანი, სახელმწიფოს მხრიდან სამეურნეო გადაწვეტილებებში ზედმეტი ჩარევის შესაძლებლობა და ა.შ. პარალელურად უნდა განვითარდეს ლეგალურ მცირე ბიზნესის წახალისების ინფრასტრუქტურა (სპეციალური ფონდები, ხალოზინგო და სადაზღვევო, კონსალტინგური და სხვა სახის მომსახურება და ა.შ.).

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში განიხილავს მცირე მეწარმე ლეგალურ სექტორში საქმიანობას, როგორც ჩრდილოეთი ეკონომიკის მისაღებ ალტერნატივას.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის საქართველოში მიზანშეწონილია:

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ეროვნული გეგმის შემუშავება და დანერგვა.

- მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, სახელმწიფოს მიერ სესხის საგარანტიო და შეღავათიანი კრედიტების ფონდების შექმნა.

- სპეციალური პროგრამების შემუშავება დამწეები მეწარმეებისთვის, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში (გრძელვადიანი სესხებისა და კრედიტების ხაზი). აგრეთვე, სოციალური ჯგუფისთვის, კერძოდ, ქალებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის და მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის.

- ეკონომიკის დარგობრივი განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტების მიხედვით ბიზნეს ინკუბატორების ჩამოყალიბება და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

- ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრების შექმნა და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

რაც შეეხება საინვესტიციო გარემოს განვითარებას საქართველოში, ამისათვის რამდენიმე პირობაა გასათვალისწინებელი. საქართველოს ეკონომიკის რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა. ბევრი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება გვჩვენებს, რომ საინვესტიციო ბუმი სწორედ უცხოური კაპიტალის შემოსვლით იწყება. ეკონომისტები განსაზღვრავენ საინვესტიციო პოლიტიკის შემდეგ მიმართულებებს:

1. ხელსაყრელი გარემოს ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს არასახელმწიფო სექტორის საინვესტიციო აქტიუობის ზრდას.

2. კერძო ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საწარმოების რეკონსტრუქციისათვის;

3. სასიცოცხლო მნიშვნელობის საწარმოებისა და სოციალური სფეროს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის ზრდისას.

სახელმწიფოსთვის მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო უცხოური ინვესტიციები, არამედ შიდა ინვესტიციებიც. საქართველოში, უპირატესად მართვის დაბალი დონის გამო, ბევრი საწარმო არ არის მზად მიღებული სახსრების ახაოვისცდლად. არც ინვესტორები არიან მზად დააბანდონ კაპიტალი არარეფორმირებულ საწარმოებში. ექსპერტები ინვესტიციების წამახალისებელ ერთ-ერთ ფაქტორად ბიზნესის გრძელვადიან დაკრედიტებას მიიჩნევენ. მნიშვნელოვანია აგრეთვე მოსახლეობის სახსრების მოზიდვა საინვესტიციო პროცესში. ამის

განხორციელება კი შეიძლება პრივატიზებული საწარმოების აქციების მიყიდვით. ასევე ცნობილია, რომ განვითარებული ქვეყნები, რომელთაც არ გააჩნიათ თავისუფალი სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტში, ხშირად იყენებენ საგადასახადო და საბაჟო შეღავათებს.

სოციალური მანქანების თანახმად, უკანასკნელი წლების განმავლობაში უცხოელი ინვესტორებისთვის ყველაზე მომსიდეველი სექტორები იყო ნავთობისა და გაზის მოპოვება, ენერჯეტიკა, ტელეკომუნიკაციები და კვების მრეწველობა. საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსახიდად ფრიად პოპულარული გარემოს ქმნის ისეთი, მეტწილად ტერიტორიული გაერთიანების არეალში მდებარე დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების არსებობა, როგორებიცაა ნავთობის მრეწველობა, შაჟი (ძირითადად მანგანუმის მადნისა და ფეროშენადნობის წარმოება) და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობის ცალკეული სახეობანი, სამთოქიმიური მრეწველობა, მტკნარი და მინერალური წყლების წამოსხმა, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება, მეწაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა, თამბაქოს წარმოება და ა.შ. მართალია, ამჟამად უცხოური კომპანიები ამ დარგებში ახორციელებენ კაპიტალურ დაბანდებებს, მაგალითად, სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში, მაგრამ მეტად უმნიშვნელო ოდენობით.

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა მისი გეოგრაფიული მდებარეობაა – იგი მიიხსნევა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაკავშირებელ ხატრანსპორტო დერეფნის

შემადგენელ ნაწილად. TRACECA-ს პროგრამა, რომელიც 93 წელს ევროგაერთიანების ხელშეწყობით დაიწყო, ითვალისწინებს კავკასიის გავლით ევროპისა და აზიის სატრანსპორტო ღერეუვნის შექმნას. ყოველივე ეს კი სელსაერულ პირობებს ქმნის. საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით, ინვესტიციების დაბანდობისთვის.

მსოფლიოს ენერგეტიკული ბაზრების დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს კასპიის ნავთობის მილსადენებით ტრანსპორტირებისთვის მეტად ეფექტიან და უმოკლეს გაზს ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან და აზერბაიჯანიდან შავ ზღვამდე. საქართველო ესაზღვრება იმ ქვეყნებს, რომლებიც ფლობენ ნავთობისა და გაზის უდიდეს მარაგებს, კერძოდ, რუსეთსა და კასპიის ქვეყნებს; მეორეს მხრივ, იგი ესაზღვრება რომელიც ენერგორესურსების მომხმარებელ თურქეთს. აქედან გამომდინარე, საქართველო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც ნავთობისა და გაზის მომპოვებელი, ისე აღნიშნული პროექტის შემსყიდველი ქვეყნების მხრიდან. მეტად პერსპექტიულად არის მინიჭული ტრანსკავკასიური გაზის მილსადენის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თურქმენეთიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიების გავლით, გაზის ტრანსპორტირებას თურქეთში. აღნიშნული პროექტების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის სატრანსპორტო შემოსავლებს, უზრუნველყოფს სამშენებლო ხეივანის ხელშეწყობას და

კუთარებას და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

რაც შეეხება აფხაზეთის რეგიონს, აქ ეკონომიკური აქტიურობის შექერების ერთ-ერთი მიზნია კაპიტალისა და კრედიტის არარსებობა. აფხაზეთის ინფრასტრუქტურა უმძიმეს დღეშია. მის რეაბილიტაციას კი უსარმაზარი ინვესტიციები სჭირდება, რაც სახელმწიფოს და კერძო მეწარმეებს არ გააჩნიათ. ინვესტიციების უქონლობა შეიძლება კატასტროფული აღმონდეს სოციალური დარგისთვის. მაგალითად, შესაბამისი კაპიტალური დაბანდების გარეშე ციტირების ბალებს ან წაის პლანტაციებს რამდენიმე წელიწადში სრული განადგურება ემუქრებათ.

გახელი საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში სანკო-პეტერბურგში მოღვაწე ცნობილი ქართველი ბიზნესმენის კონსტანტინე ფიფიას ინიციატივითა და მონაწილეობით, საქართველოს ეწვია ინგლისელი, შვედი, ესპანელი, ფინელი, რუსი, ბრაზილიელი და იტალიელი ინვესტორების წარმომადგენლობითი დელეგაცია. ყოველ მათგანს, ბუნებრივია, თავისი ინტერესი აქონდა. მაგრამ ქართველ ბიზნესმენს სტუმართა ფინანსური შესაძლებლობების საქართველოსთვის უფრო სასურველი კალაპოტისკენ წარმართვა სურდა. სტუმრებმა აფხაზეთიდან მოყოლებული, მთელი დასავლეთი საქართველო მოიარეს. შვედები დაინტერესდნენ საორაგულე მეურნეობის მოწყობით, დაათვალიერეს კამანისა და ინწირას ხეობები, ეწვივნენ ენგურის ზღვას და წელის ნიმუშებიც კი წაიღეს ლაბორატორიული გამოკვლევებისთვის. ესპანელები, იტალიელები, ინგლისელები და რუსები ანაკლიის პორტის პერსპექტივებმა

დააინტერესა, ბრა'სილიელები და ფინელები – ტურისტულმა წინადადებებმა. იყო შეხვედრები საქართველოს მაშინდელი მთავრობის ხელმძღვანელებთან და საქმეც დაიწყო. შედეგებმა ენგურის წყალი საუკეთესოდ მიიხნიეს საორაგულე მეურნეობისთვის. პარალელურად დაიწვეს ფიქრი ენგურის ზღვის გარშემო ტურისტული ობიექტებისა და გზების აღდგენა-მშენებლობის პროექტზე. ამ საქმეში მონაწილეობის სურვილი ბრა'სილიელებმაც გამოთქვეს.

ქართველმა მეცნიერებმა ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან შეისწავლეს საკითხი ენგურის შესართავთან საზღვაო პორტის მშენებლობის მიზანშეწონილობის შესახებ. მას შემდეგ კი, რაც ენგურის კაშხალი აშენდა და მდინარის ნაკადს მიმართულემა შეუცვალა, ამ პროექტმა მეტი აქტუალობა შეიძინა. მისი განხორციელება უდიდეს პერსპექტივებს უხასაყს დამოუკიდებელ საქართველოს, მის ძირძველ მხარეს – აფხაზეთს. მერე იყო ქართველ ბიზნესმენტთა საპასუხო ვისიტები შვედეთსა და ფინეთში, გერმანიასა და ინგლისში, იტალიასა და ბრა'სილიაში. ჩანაფიქრს თანდათან უნდა შესხმოდა ხორცი. შედეგებმა უკვე დაიწვეს საჭირო კონსტრუქციების აწობა და სულ რამდენიმე თვეში, სათანადო ოფიციალური დოკუმენტების გაფორმების შემდეგ, მისი საქართველოში ტრანსპორტირებისა და მონტაჟისთვის მოემზადნენ.

ასე იწყებოდა ჩაენგურალი ჭალების ათვისება და ანაკლის საზღვაო პორტის მშენებლობის იდეის განხორციელება, მაგრამ... კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია!.. საქართველოში განვითარებულმა მოველენებმა, სამოქალაქო

ლაპირისპირებამ და შინა ომებმა კარგა ხნით დაასამარა ეს გრანდიოზული პროექტი.

როგორც ნაენგურალის ათვისება-რეაბილიტაციის იდეის ერთ-ერთი ავტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, შავი ზღვის სანაპირო ზოლის მორფო-დინამიკის ლაბორატორიის გამგე, გეოგრაფიის ინსტიტუტის მოავეარი მეცნიერ-თანამშრომელი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი ბატონი არსილ კიქნაძე მიუთითებს, დღეს, როცა ძირ-ფესვიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულება ბიზნესისა და უცხოური ინვესტიციებისადმი, განხდა ამ იდეის სისრულეში მიყვანის შესაძლებლობა.

მაგალითად, ასე: ენგურის „სღვიდან“ დაწეებულ, რამდენიმე მონაკვეთზე, არც ისე დიდი დანახარჯებით, შესაძლებელია მოეწეოს სათევზე მეურნეობები. ენგურის ამომშრალ ჭალებში უნდა ჩატარდეს აღდგენითი სამუშაოები, სადაც მოეწეობა საერთაშორისო სტანდარტების საპორტო ნაგებობები, ტურბაზები და ხასტემროები, პიდროპარკი და სამკურნალო დაწესებულებები. საშენ მასალათა კომბინატი და ყველაზე გრანდიოზული და უმნიშვნელოყვანესი – ანაკლიის უნიკალური სასღვაო პორტი. სხვას რომ თავი დაეხანებოთ, ერთ რამეს მივაქციოთ ყურადღება – თუ სუფსის ტერმინალში ზღვის სანაპიროდან 3–5 კილომეტრის დაშორებით, სასღვაო ხომალდებზე სპეცმილებით იტუმბება ნავთობი, აქ ანაკლიაში, საოკეანო გემებით პირდაპირ ბაქანს მოადგებიან და მინიმუმამდე (შეიძლება ითქვას, სრულიად) შემცირდება ეკოლოგიური საფრთხე, გაცილებით იაფი იქნება დანახარჯები...

ლოგიკურად ჩნდება კითხვა – ნუთუ საოკეანო გემების შემოსვლაც არის შესაძლებელი ანაკლიაში? დიახ, შავი ზღვის მთელ სანაპიროზე ხწორედ ანაკლიის სანაპირო წყლებია ამისთვის ყველაზე მოხერხებული. დავაკვირდეთ ენგურის შესართავის მარჯვენა მხარეს. იქვე, სულ რაღაც რამდენიმე მეტრში, ჩანს წყალქვეშა კანიონი, რომლის ხიდრმე რამდენიმე ასეულ მეტრს უდრის. საბჭოთა კავშირის დროს საკავშირო სამხედრო უწყებებს სრულიად საიდუმლოდაც კი შეუკვეთიათ ამ ზონის გეოლოგიური შესწავლა, რათა იქ წყალქვეშა ნაგებობის სამალაგი მოეწყოთ. სანაპირო ისე ღრმაა, იქამდე რადარიც ვერ აღწევს. ეს არის უნიკალური ბუნებრივი რელიეფი. ეს პროექტი საქართველოს, ყოველწლიურად, მრავალმილიონიან შემოსავალს მოუტანს. ყოველივეს განხორციელება დაუყოვნებლივ შეიძლება დაიწყოს და რაღაც ხუთ წელიწადში უკვე შედეგს მოგვცემს, ოღონდ, სახსრებია საჭირო და, რა თქმა უნდა, საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაერთიანებული საქართველოს დროშა მალე აფრიალდება ენგურის გაღმა-გამოღმა ანაკლიის საერთაშორისო საოკეანო-საზღვაო პორტის შუქურაზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნული უპირატესობებისა, საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის არასახურეული ფაქტორებიც არსებობენ. მათ შორის აღსანიშნავია:

- პოლიტიკური არასტაბილურობა და არცთუ იშვიათად აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ბიზნესის მიუღებელი მეთოდებით ღობი-

რება, რაც ხაფუძველს აცლის ჯანსარ კონკურენციას, როგორც 'ხოვადად, ისე ინვესტორთა შორის.

• ქვეყნის ტერიტორიული მოდიალობის მოშლა, ინსპირირებული ეთნოკონფლიქტები, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში საქართველოს შეხლულელი იურისდიქცია; სახელმწიფო სახლვრის დაცეასთან დაკავსირებული პრობლემები, რაც ფართოდ უსსნის გ'სას კონტრაბანდას და აბრკოლებს როგორც სამამულა, ისე უცხოური ინვესტიციების ბა'სა'ზე პატიოსანი ბი'სნესის განვითარებას.

'სემოადნიშნული ნეგატიური მოვლენების გავრცელების დონის დადგენისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, მსოფლიო ბანკმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ნაატარეს ერთობლივი გამოკვლევა, სადაც შეისწავლეს გარდამავალი ეკონომიკის მქონე 22 ქვეყანა. გამოკვლევების შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ ამ ქვეყნებში მოსყიდვების, ხელში წაგდების მანვენებული საშუალოდ შეადგენს 21%-ს. აღსანიშნავია, რომ იგივე მანვენებული საქართველოსთვის 24%-ია. რაც შეეხება ადმინისტრაციული კორუფციის საშუალო დონეს, იგი 3%-ს აღწევს, საქართველოში - 4,3%-ს. ბუნებრივია, შექმნილი ვითარება აფროთხობს უცხოელ ინვესტორებს და ხელს უშლის ქვეყანაში მათი კაპიტალის სოლიდური მოცულობით მოსიდვას²

სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული უცხოური ინვესტიციების დასლევვის მყარი სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას და სასლვარგარეთიდან დიდი მოცულობით ინვესტიციების შემოადინებას.

² რეკონსტრუქციის, კანტონალური, აკადემიური და კორუფცია. საქართველოს ეროვნული უსაფროსოების მუქარა". გვ. 21, თბილისი 2001წ.

2.7. ტურიზმის განვითარების ამრსაკმტინკვიპი

ტურიზმის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. ტურისტულ ქვეყნებში, ტურიზმის მეშვეობით მნიშვნელოვნად ვითარდება ვაჭრობისა და მონახულების სფერო, რაც იწვევს სავალუტო შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას, ეროვნული ტრადიციების და კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ასპარეზზე გატანას და მათი შენარჩუნების ფინანსურ უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში, საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებს შორისაა ტურიზმი.

საქართველოს თავისი ბუნებრივი, გეოგრაფიული, კლიმატური, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამო ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის დიდი პოტენციალი აქვს. ქვეყანა უძველესი დროიდან დასერილი იყო სავაჭრო გზებით და ცხადია, სავაჭრო გზები წარმოუდგენელია დასახვეწებელი ადგილებისა და მოგზაურთა მომსახურებისთვის აუცილებელი, თუნდაც პრიმიტიული ინფრასტრუქტურის გარეშე. წყენში სწორედ აქედან იღებს სათავეს სასტუმროების ტიპის სახლების მშენებლობა, როგორცაა ქარვასლა, სახვეწია, ხანი, სამადლო, იამი, ფუენდუკი, მანძილი.¹

უკვე XIX საუკუნიდან შეინიშნება საქართველოს მთიანი მხარეებისა და სასლვაო სანაპიროს დასახვეწებლად და სამოგზაუროდ ათვისების ცდები. ბუნებამ უხვად დააჯილდოვა

¹ მ.მეტრეველი. „ტურიზმი“. თბილისი, 2003წ

საქართველო. მოველ მსოფლიოში არც თუ ბევრი ადგილი მოიძებნება, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე განლაგებულია ამდენი განსხვავებული ლანდშაფტი – ნოტო სუბტროპიკებიდან მუდმივ თოვლამდე და მყინვარებამდე. საქართველოს ტურისტულ-საკურორტო პოტენციალს განსაზღვრავს *პირველი*. შავი ზღვის სოლი, რომლის სიგრძე ქვეყნის მასშტაბით 318 კილომეტრია. იგი მასობრივი ტურიზმის განვითარების ძირითად საშუალებას წარმოადგენს. *მეორე*, დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრეხილები, რომლებიც შავიდან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული და სიგრძით 1500 კილომეტრს აღწევს. საქართველოს მთიანეთი სამთო-სათხილამურო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისთვის უადრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის. *მესამე*, კურორტები.

საქართველოში დღეისათვის 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია. ქვეყნის საკურორტო რესურსები მრავალფეროვანია. აღრიცხულია შემდეგი სახის სამედიცინო კურორტები: კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ფტიზიატრიული, ალერგოლოგიური, ნეფროლოგიური, გასტროენტეროლოგიური, ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნეფროლოგიური, უროლოგიური, დერმატოლოგიური. საქართველოს კურორტები განლაგებულია სხვადასხვა კლიმატურ სონაში. ზღვის სანაპიროებზე მდებარეობს შესანიშნავი კლიმატური კურორტები: აფხაზეთში – გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, გუდაუთა, სოხუმი. აჭარაში – ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, სარფი. გური-აში – ურეკი. სამეგრელოში – მალთაყევა, პალიასტომი. ზღვის დონიდან 700 მეტრზე განლაგებულია ბალნეოლოგიური

კურორტები: წყალტუბო, ნაბეღლაი, 'სვარე, ნუნისი და სხე. ზღვის დონიდან 700–1000 მეტრ სიმაღლეზეა ასევე ბალნეოლოგიური კურორტები: ბორჯომი, ხაიროზე, უწერა, სურამი. ზღვის დონიდან 1000–1500 მეტრ სიმაღლეზე კი ხამთო კლიმატური: აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ყაფა, მანგლისი. მაღალმთიანი სონის კურორტები 1500 მეტრს 'ხემთ: ბაკურიანი, გუდაური, შოვი, ბახმარო, ლეპარდე და სხეა, სადაც წარმოტებით მკურნალობენ ფილტვის ტუბერკულოზს, ბრონქიალურ ასთმას, სისხლნაკლებობას, გულსისხლძარღვთა დაავადებებსა და ნეკროზს.

ისეთი ქვეყნისთვის, როგორცაა საქართველო, ტურიზმი და კურორტები ერთმანეთისაგან განუყოფელია. არ არსებობს ტურისტული მარშრუტი, რომელიც გვერდს უვლიდეს კურორტსა და საკურორტო ადგილს, ისევე როგორც წარმოუდგენელია კურორტებზე დასვენება, მკურნალობა და გაჯანსაღება, რომელსაც არ ავსებდეს კულტურულ-შემეცნებითი, ბუნების გაცნობითი და სხეა სახის ტურიზმის მიმართულებები. ძნელად თუ მოიძებნება სხეა რომელიმე ქვეყანა, რომელსაც გააჩნდეს მსოფლიოში ცნობილი ყველა ტიპის ფაქტორები: ზღვისპირეთისა და ზღვის კლიმატი, 2400-მდე მინერალური წყაროები 13000 მლნ ლიტრი დებიტით დღე-ღამეში, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მღვიმეები და სხე.

ტურიზმი საქართველოში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული და ეს შემთხვევითი არ არის. ტურიზმის პრიორიტეტულობის საფუძველი ამ დარგის უაღრესად დიდი ექსპორტტექვადობაა. საქართველოს ბაზარი მოცულობით მცირეა და, შესაბამისად, წარმოებ-

ის მაღალი ტემპებით განვითარებისთვის შიდა ბაზარი ნაკლებტევადია. გარე ბაზარი კი საქართველოს სამრეწველო პროდუქციისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ჯერ-ჯერობით ძნელად ასათვისებელია. ამიტომ შიდა ბაზრის გაფართოება და ექსპორტი პირველი რიგის მაკროეკონომიკური პრობლემაა. ტურიზმი, სხვა დარგებთან შედარებით, ამ პრობლემის გადაჭრის მაღალი დონით გამოირჩევა, რადგანაც ექსპორტიც და იმპორტიც უშუალოდ შიდა ბაზრის გაფართოებაზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმისა და კურორტების დარგის რეალური ადგილისა და როლის განსაზღვრა.

ქართული ტურიზმის კონკურენტუნარიანობისთვის და მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ადგილის დასაკავებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის რეკლამირება, აქტიურად წარმონეხა და დანარჩენი მსოფლიოსთვის გაცნობა. ტურიზმი ქვეყნის იმიჯია და მისი განვითარება შეუძლებელია ფაქტორების მთელი სისტემის გათვალისწინების გარეშე. ტურიზმი ვერ განვითარდება, თუ ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური არ იქნება. ტურიზმის განვითარება შეუძლებელია ქვეყნის მთლიანი სოციალური და ეკონომიკური წინსვლის გარეშე. ტურიზმს სჭირდება ენერგეტიკა, კარგი საავტომობილო გზები და მაღალი სტანდარტების სატრანსპორტო საშუალებები, მოწესრიგებული საბანკო და სადაზღვევო საქმიანობა, სასოგადოებრივი წესრიგი და ქვეყნის შიგნით დემოკრატიული, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობისა და მომსახურების სფეროს განვითარება, კულტურის, ხალხური რეწვისა და

სახუეენირო წარმოების მაღალი დონე, ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა სწავლება, კვალიფიციური კადრების მომზადება და უცხოელი სტუმრებისთვის კეთილმოსურნე გარემოს შექმნა.

საქართველოში შემოსულ ვალუტასა და ქვეყნიდან გასულ ვალუტას შორის დადებითი ბალანსის მისაღწევად, ქვეყანაში საჭიროა შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება (ყველი რომ იხარჯებოდეს ქვეყნის შიგნით და არა მის ფარგლებს გარეთ). ეროვნული ტურიზმის კარგად დაგეგმილ, დინამიურად და პროფესიულად გატარებულ პოლიტიკას, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობამდე მივყავართ. თუ ეს პირობები დაცული არაა, მაშინ ქვეყანა ტურიზმში წადებს იმაზე მეტს, ვიდრე ამოიღებს.

საქართველოში ტურისტული ბიზნესის წარმატებულად წარმართვისათვის საჭიროა პროფესიული, უმთავრესად, ტურისტულ მომსახურებაში (ტურპროდუქტები) მომხმარებლის მოთხოვნილებათა მაქსიმალური გათვალისწინება. საერთაშორისო ნორმებისა და წესების კარგი ცოდნა, სწორი ტურისტული მენეჯმენტი და მარკეტინგი.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ნათლად იკვეთება დაცული ტერიტორიების ახალი, უფრო მოქნილი, რაც მთავარია, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებული სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა. დღესდღეობით საქართველოში 15 სახელმწიფო ნაკრძალია. დაცულ ტერიტორიებზე დიდია ტურისტული სახეუბის დანერგვის შესაძლებლობები. უნდა გამოვეყოთ რამდენიმე

მათგანი, რომელთა დანერგვა და(კულ ტერიტორიებზე შესაძლებელია:

- ტურიზმი ბუნების გაცნობის მიზნით და ეკოტურიზმი.
- საოჯახო ტურიზმი.
- აგროტურიზმი.
- ასალგაზრდული და საბავშვო ტურიზმი.
- სღვისპირა და მდინარისპირა ტურიზმი.
- სპორტული ტურიზმი (სამორის სათხილამურო, მთის ველო-სიკედების, პარაგლაიდინგი, ხაცხენოსნო და ა.შ.).
- სათავედასაველო;
- საშუქებულებო და საუიკენდო ტურიზმი.
- ინვალიდთა ტურიზმი.
- სოლოლოგიური და ბოტანიკური შექმეცნებითი ტურიზმი და ფოტონადირობა.
- კულტურული და შექმეცნებითი ტურიზმი.
- ტრეკინგი და ლაშქრობები.
- სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი.

ყოველგვარ საქმიანობას, რომელიც პარკის დამხმარე სონაში განხორციელდება, საფუძეულად უნდა დაედოს ბუნების სრულფასოვანი დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარმონიზაცია. ამ პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე მისაღები გზა ტურიზმის განვითარებაა, რადგან სწორედ იგია მეწარმეობის ის სახე, რომლის განხორციელების დროსაც მაქსიმალურადაა შესაძლებელი ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა და მოსახლეობისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროების შექმნაც.

საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში მიღებულია ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი შემდეგი სახის ეკონომიკური და ადმინისტრაციული მექანიზმები:

- საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები და დოტაციები.
- ტურიზმის განვითარებისა და ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი ეროვნული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შექმნა და დანერგვა.

- ქვეყანაში შესვლისა და ქვეყნიდან გასვლის დროს ხაი-ზო და საპასპორტო შესღუდვების შემცირება.

- სხვადასხვა შეღავათებით არასეზონური ტურიზმის წახადლისება.

- სოციალური ტურიზმისთვის ხელის შეწყობა და განვითარება.

- ტურისტების უსაფრთხოებაზე მოთხოვნათა გაზრდა.

- სახელმწიფოს მიერ, გარემოს დასაცავად, კულტურული ღირებულებებისა და ისტორიული მემკვიდრეობის სხვა ფასეულობების შესანარჩუნებლად ჩასატარებელი ღონისძიებების შემუშავება.

საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე ზემოქმედების ფაქტორების განხილვა და კონტროლი საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ ან შევამციროთ უარყოფითი ტენდენციები, გავაძლიეროთ დადებითი პროცესები. საქართველოში ტურიზმის განვითარებით გადაიტრება შემდეგი საკითხები:

1. ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

2. განკითვარდება ადგილობრივი ინფრასტრუქტურა (სასტუმროები, რესტორნები, სატრანსპორტო სისტემა და ა.შ.).

3. მოხდება როგორც შიდა, ისე გარე ინვესტიციების მოზიდვა.

4. გამრავალფეროვნდება ადგილობრივი ეკონომიკა, მაღალმთიან რეგიონებში შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

5. ტურიზმის განვითარებამ შესაძლებელია სასყენებელი გახადოს კონკრეტული რეგიონი, აქედან გამომდინარე, მთავრობა უკლებია დამატებითი რესურსები გამოეყოს ამ და მიმდებარე ტერიტორიის განვითარებისთვის.

6. ხელი შეეწეობა იმ მიწების ნაყოფიერად ათვისებას, რომლებიც ნაკლებ ვარგისიანია სოფლის მეურნეობისთვის.

7. რეგიონი შეიძლება თვითდაფინანსებას.

8. შეიქმნება რეკრეაციული ობიექტები, რომლებითაც სარგებლობის საშუალება ექნებათ არა მარტო ტურისტებს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც.

9. ამადლდება ადგილობრივი მოსახლეობის საერთო კულტურული დონე.

საქართველოში ტურიზმის არასწორი და ქაოტური განვითარებით შესაძლებელია მივიღოთ შემდეგი უარყოფითი შედეგები:

1. პოტენციური ეკონომიკური მოგების დაკარგვა.

2. უარყოფითი განწყობა ადგილობრივ მოსახლეობაში.

3. დისპროპორცია ეკონომიკასა და დასაქმებაში (ტურისტული ობიექტების კონცენტრაცია შეიმჩნევა მხოლოდ ცალკეულ ადგილებში და ისინი შესაბამისად არ ვითარდება სხვა მომიჯნავე რაიონებში).

4. ეკონომიკის სხვა დარგებიდან (მაგ: სოფლის მეურნეობიდან) ადგილობრივი მოსახლეობის გადასვლა ტურიზმის სფეროში.

5. ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება სხვა რაიონებში.

6. კულტურის ჭეშმარიტი თვითმყოფადობის (ტრადიციული ხელოვნება, ხალხური რეწვა და ცხოვრების წესი) დაკარგვა ზედმეტი კომერციული საცდის პირობებში.

7. სხვადასხვა სოციალური პრობლემის – ნარკომანიის, კრიმინალური დანაშაულის და სხვათა წარმოშობის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, საქართველოში სათანადოდ ორგანიზებული ტურიზმის ინდუსტრიის არსებობისთვის არ არის საკმარისი სახლევარგარეთიდან ქვეყნის შიგნით მიმართული ტურისტების ნაკადი (ტურიზმის ექსპორტი), აუცილებელია ქვეყნიდან გარეთ გამყვანი, ხარისხიანი ტურისტული (ტურიზმის იმპორტი) საქმიანობაც.

ზონის არსებობის იდეა

ბოლო წლებში საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) საკმაოდ პოპულარულია თავისუფალი ეკონომიკური ზონის იდეა და მას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. თავისუფალი ეკონომიკური ზონა (თეზი) – ეს არის ტერიტორია, სადაც ბიზნესს გარკვეული შეღავათები ეძლევა. ბიზნესის მწარმოებელი შეიძლება საბაჟო გადასახადებს არ იხდიდეს, ან მას სხვა გადასახადებზე აქონდეს შეღავათი. თავისუფალი ეკონომიკური ზონების კლასიფიკაცია მათი სპეციალიზაციის ნიშნით, განსახლვრავს ზონების შემდეგ ძირითად სახეობებს: საბაჟო, სავაჭრო, სამრეწველო-საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური და სერვისული.

თავისუფალი საბაჟო ზონა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი უმარტივესი ფორმაა. მას მიეკუთვნება ტრანზიტული, კონსიგნაციური და სხვა თავისუფალი საწვობები, რომლებშიც განთავსდება საქონელი ქვეყანაში ძირითადად მოქმედი კანონმდებლობიდან განსხვავებულ რეჟიმში.

ყველაზე ფართოდ მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის ზონების სხვადასხვა მოდიფიკაციებია გავრცელებული. ისინი, როგორც წესი, შესაძლებელ ტერიტორიულ უბნებს (რომელთა ფართი რამოდენიმე ათეულ კვადრატულ მეტრს შეიძლება არც აღემატებოდეს) წარმოადგენენ, სადაც სავაჭრო ოპერაციები და საქონლის შეყუთვა, დახარისხება, დადამლევა (მათზე შეღავათიანი ეკონომიკური და ფისკალური რეჟიმის გავრცელების პირობებში) ხორციელდება. ასეთი ზონების ორგანიზაციული

სტრუქტურების სპექტრი ძალზე მრავალფეროვანია, მათ მიეკუთვნება ე.წ. „Duty Free“-ის ტიპის მაღაზიები, ასევე სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც საკაპრო შეღავათებს აღგენენ.

სამრეწველო-საწარმოო სონები იქმნება საექსპორტო და იმპორტშემცველელი პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით. ასეთ სონებში რეგისტრირებული ეკონომიკური აგენტები მნიშვნელოვანი საგადასახადო და სხვა შეღავათებით სარგებლობენ. გარდა ამისა, ასეთ სონებში საწარმოების რეგისტრაციის, ინვესტირების, მოგების რეპატრიაციის, სონის ტერიტორიაზე უცხოელ ფიზიკურ პირთა გადაადგილების გამარტივებული ადმინისტრაციული წესები მოქმედებენ.

თავისუფალი ეკონომიკური სონების კიდევ ერთი სახეობა სამეცნიერო-ტექნიკური სონებია, რომელთა ეველაზე უფრო გაერცვლებული ფორმაა ტექნოპარკები. ამ სონების ჩამოყალიბების ეველაზე აქტიური პერიოდი გახული ხაუკენის 70-80-იან წლებზე მოდის. ისინი განსაკუთრებულ სახელმწიფო მხარდაჭერას საჭიროებენ და მსხვილი სამეცნიერო ცენტრების ირგვლივ კვლევითი, საექსპორტო და სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირების მიზნით იქმნებიან. სამეცნიერო-ტექნიკური სონების უმრავლესობა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფუნქციონირებს, ვინაიდან მათი შექმნა და შემდგომი ქმედითუნარიანობა სერიოზულ სუბსიდირებასა და სხვა სახეობის სახელმწიფო დაფინანსებასთანაა დაკავშირებული.

სერვისული სონები, როგორც თვით მათი დასახელება მეტყველებს, წარმოადგენენ სონებს, რომელთა სპეციალიზაცია სხვადასხვა სახეობის მომსახურებისათვის (მაგალითად:

საბანკო, სადაზღვევო, ტურისტული, სატრანსპორტო და სხვა საქმიანობისათვის) შედარებითი რეჟიმის დაწესებას გულისხმობს. სერვისული ზონების მეტად პოპულარულ სახეობას ოფშორული ზონები, რომლებიც, ძირითადად, კუნძულებზე, ან ზღვისპირა ტერიტორიებზე იქმნება.

გარდა ექვლა ზემოთ აღწერილი ზონის ნაირსახეობისა, მსოფლიო პრაქტიკაში აგრეთვე კომპლექსური თავისუფალი ზონების შექმნაა მიღებული, რომლებიც ორი, ან რამოდენიმე სახეობის ზონის შერწყმული მოდელებია.

მსოფლიოში თავისუფალი ეკონომიკური ზონები მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას არიან განთავსებულნი. ასე მაგალითად:

კარიბის ბასეინი – ანგილია, ანტიგუა, არუბა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზი, ბერმუდის კუნძული, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძული, პოლანდიის ანტილიის კუნძული, კაიმანის კუნძული, კოსტარისა, ტიორკისისა და კაიკოსის კუნძული, პანამა, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსისია, სენტ ვინსენტი და გრენადინე.

ევროპა – ანდორა, შიბრალტარი, ჰერნსი, ჯერსი, ირლანდია (დუბლინი), კამპონე, კვიპროსი, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, ადეირა, მალტა, მონაკო, მენის კუნძული, სარკი, შვეიცარია.

ასია და წყნარი ოკეანის შემოგარენი – ვანუატუ, ჰონკონგი, დასავლეთ სამოა, ლაბუანი, მაკაო, მარაიის კუნძული, ნაურუ, ნიუე, კუკას კუნძული, სინგაპური.

ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა – ბაჰრეინი, დუბაი, ლიბანი, ლიბერია, მავრიკა, სეიშელის კუნძულები²

²Финансовые убежища, банковская тайна и отмывание денег. Организация объединенных наций, Нью-Йорк, 1999. 8-ое издание технической серии ЮНДКП. Стр. 37.

დიდი კომპანიების უმრავლესობაც, როგორებიცაა „დაამ-
ლერ კრაისლერი“, „ნისანი“, „სონი“, „ნიკია“, „ტოშიბა“, „მიცუბ-
იში“, „ფორდალი“, „ქოლგეითი“, „პალმოლივი“, „დეუ“, „ფილდ-
სი“, „ჯონსონ ენდ ჯონსონი“, „ნესტლე“ და ა.შ. სწორედ ასეთ
‘ზონებ’ში მოქმედებენ.

თითქმის ყველა ტიპის ‘ზონისათვის შემდეგი შედეგათებისა
და გამარტივებული მექანიზმების მოქმედებაა დამახასიათებ-
ელი: *პირველი*, საგარეო საეაჭრო შედეგათები, რომლებიც
საბაჟო-სატარიფო ლიბერალისაციას (საბაჟო გადასახადებ-
ის შემცირება ან მოხსნა, ექსპორტ-იმპორტზე დღგ-სა და აქ-
ციის შესავალი სისტემის დაწესება და სხვ.) და საგარეო
ეკონომიკური ოპერაციების განხორციელების გამარტივებუ-
ლი წესის შემოღებას ითვალისწინებს; *მეორე*, ფისკალური
შედეგათები, რომლებიც პირდაპირ გადასახადების ლიბერ-
ალური სისტემის არსებობასთან არიან დაკავშირებული. კერ-
ძოდ, ეს შედეგათები მოგების, ქონების, საშემოსავლო და სხვა
გადასახადებს ეხება; *მესამე*, ეკონომიკური შედეგათები, რომელთა
ძირითადი მიზანია ეკონომიკური აგენტების რეგისტრაციის,
ანგარიშების სისტემის, საეისო რეჟიმის გამარტივება და სხვა.

როგორც ცნობილია, წინეთი დღესაც თავისუფალი
ეკონომიკური ‘ზონებ’ს მეშვეობით ითქვამს სულს და სწრაფი
ტემპებით ვითარდება. სადაც თავისუფალი ეკონომიკური ‘ზონაა,
კორუფციული ხელი მოკლეა და წარმოება სახელმწიფო რე-
კტისგან დაცულია. თავისუფალი ეკონომიკური ‘ზონები უნდა
შეიქმნას იქ, სადაც სურვილია, რომ დაეამარცხოთ კორუფცია.

საწყის ეტაპზე ასეთი ზონა შესაძლებელია შეიქმნას გაღ-
ში, ფოთში, პორტის სარეზერვუო ტერიტორიაზე (400 კა) და
სენაკის აეროპორტთან რამდენიმე ათეულ კექტარზე. გალი, ამ
მხრივ, მნიშვნელოვანია არა მარტო მისი სასაზღვრო განლაგე-
ბისა და ქართველებით დასახლების გამო, არამედ მისი მაღა-
ლი ეკონომიკური, კერძოდ კი სასოფლო-სამეურნეო პოტენცი-
ალით. უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ დაძაბულ სიტუა-
ციაშიც, გალი ორივე მხარისათვის გარკვეულწილად ასრულებს
კლირინგულ და საბაზრო ფუნქციას. დასაწყისისთვის ზე-
მოაღნიშნულ ზონებში უნდა მოეწეოს საბაჟო ტერმინალები,
რის შედეგადაც აქ დასაწყოებულ საქონელზე საბაჟო გადა-
სახადი არ იარსებებს. ამ გზით საქართველოში შეიქმნება
საგადასახადო ოაზისები.

უკანასკნელ წლებში საქართველოში შექმნილი საზოგა-
დოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო, ბიზნესის დიდი ნაწ-
ილი თბილისში გადაიქანა. ეს მოხდა სახელმწიფოს მიერ შე-
ქმნილი არათანაბარი პირობების გამო. ერთ-ერთი მიზეზი იყო
ის, რომ ელექტროენერჯით უფრო ხშირად თბილისი მარაგდუ-
ბოდა. ამიტომ შეიქმნა ასეთი ანომალია, მაგალითად: კახეთიდან
თბილისში მოჰქონდათ მორები და ხერხაედნენ, თუმცა ყველა
ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის თანახმად, მომგებიანია,
როდესაც მორი სადაც მოიჭრა, იქვე დაიხერხოს, ასე ხარჯი
ნაკლებია. აგრეთვე ნიშანდობლივია, რომ საწყოები ძირითადად
თბილისშია განთავსებული. შეიძლება სხვა მრავალი მაგალი-
თის მოყვანაც. თუკი გალში ან ფოთში მოეწეობა საბაჟო
ტერმინალი, იქ აღმინისტრირება გაიოლდება.

დღეისთვის ძირითადი საბაჟო საწყოები მდებარეობს ღუბაიში. ეს უკანასკნელი არის სასაწყობო ცენტრი, სადაც საქონლის დასაწყობებისას გადასახადის გადახდა არ ხდება. სავსებით რეალურია მსგავსი რამის მოწობა გაღში და ფოთში. სანამ საქონელი საწობში იქნება, ნათვლება, რომ ის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არ შემოსულა.

რა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ეფექტი შეიძლება მოჰყვეს საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას? პირველი – ჩამოყალიბდება საბაჟო საწყოები, რომლებიც უფრო მარტივ რეჟიმში იმუშაებენ. მათ შეეძლებათ მოემსახურონ არა მარტო საქართველოს, ან სომხეთ-აზერბაიჯანს, არამედ თურქეთს, რუსეთს, ბულგარეთს, უკრაინას და სხვ. ფოთიდან და გალიდან მიმოსულა რეგულარულია, ამიტომ ამის ორგანიზება ძნელი არ იქნება. შეიძლება პროცესი იმდაგვარად წარიმართოს, რომ იგივე ღუბაის ინვესტორები დაინტერესდნენ სხვა თავისუფალი ეკონომიკური ზონებით, როგორც ღუბაის სასაწყობო ზონების ლოკალურ აღტერნაცივით. მეორე – ბიზნესი (წარმოების სფერო), რომელიც აქ შეიძლება მოეწეოს. უნდა დაეუშვათ იქნეს ახალი პროდუქციის შექმნა, ეს შეიძლება იყოს მარტივი წარმოება – ვთქვათ, უთოების, მაგნიტოფონების, კომპიუტერების აწობა. მაგალითად, თუ დღეს, საქართველოში აწობენ მაგნიტოფონებს, ამისთვის აუცილებელი 200 იმპორტირებული დეტალი უნდა განბაჟდეს (ვალ-ვალკე, გამოიწეროს 200 ზედნადები (ტვირთბარათი) ე.წ. ინეოსი და თითოეულ ინეოსზე მოხდეს სხვადასხვა საბაჟო გადასახადის გადახდა. მაგრამ თუკი ის დეტალები შევა გალისა და ფოთის ეკონომიკურ ზონაში, მაშინ

საბაჟო გადასახადის გადახდა არ მოხდება, მაგნიტოფონი იქვე აეწეობა, და როდესაც აწეობილი მაგნიტოფონი საწეობიდან გასაყიდად გამოვა, საბაჟო გადასახადის გადახდა მოხდება ერთი ზედნადების მიხედვით.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის პირობებში, რაც მთავარია, უნდა გაკონტროლდეს მასში აკრძალული ნივთების და საშუალებების შეტანა, როგორცაა ნარკოტიკი და იარაღი. უნდა შეიქმნას საექსპორტო წარმოებები, გადამუშავება. ანუ შეიძლება საექსპორტო წარმოება აწეობილი იყოს საქართველოს სხვადასხვა წერტილში, მაგრამ ბოლო ეტაპი გალისა და ფოთის ეკონომიკურ ზონაში დაასრულოს. ამით ბიზნესმენი საბრუნავი კაპიტალის ეკონომიას მოახდენს. ეთქვათ, თბილისში ორ სხვადასხვა დეტალს ამზადებ და მერე ამ დეტალები-სგან ერთ მთლიან პროდუქციას აწეობ. თითოეული ნაწილის დამზადებაზე და მერე ამის აწეობაზე თითო-თითო თვეა საჭირო. თავისთავად, ამ დეტალების დამზადებისას რაღაცას ყიდულობ, იხდი დღგ-ს, მაგრამ ამ დღგ-ს ვერ დაიბრუნებ, სანამ ექსპორტზე მზა საქონელს არ გაიტან. მეწარმე დღგ-ს სასლვარზე იბრუნებს. ამიტომ მეწარმისთვის უფრო მომგებიანი იქნება, როგორც კი ამ დეტალებს დაამზადებს, მაშინვე გალისა და ფოთის ზონაში გააგზავნოს. ამით მაშინვე დაიბრუნებს დღგ-ს, საბოლოო პროდუქტს კი გალში ან ფოთში ააწეობს, ამით დროში მოიგებს, დღგ-ს (18%-ის) დაბრუნებას და საბრუნავი კაპიტალის ეკონომიას მოახდენს. განსაკუთრებით მომგებიანია ასეთი ზონები იმ ბიზნესისათვის, რომლებიც შეკვეთებზე მუშაობენ.

გაღისა და ფოთის გარდა, ხასურველია ეკონომიკური განვითარების ზონა ხენაკის აეროპორტთანაც შეიქმნას. აქ უფრო პატარა ტერიტორიაა (რამდენიმე ათეული ჰექტარი) და ძირითადად შესაძლებელია საწვობების მოწვობა. ვინაიდან ამ ზონებში საბაჟო ადმინისტრირება ძალიან გამარტივებული იქნება, აქ შეიძლება ისეთი ბიზნესიც განვითარდეს, რომელიც საქართველოს დღეს არ აქვს. შეიძლება ჩედლეული შემოიტანო გაღის ზონაში, ამ დროს საბაჟო გადასახადს არ გადაისდი, გადაამუშავებ და გაიტან ექსპორტზე. საქართველოს ბიუჯეტი ამით მაინც მოიგებს. მართალია, საბაჟო გადასახადი ამ ბიზნესიდან არ შევა, მაგრამ ხალხი დასაქმდება, ბიუჯეტში შევა ხაშემოსავლი, სოციალური, მოგების გადასახადები, დღევანდით, რომ 10 წლის განმავლობაში ქონების გადასახადისთვის შეღავათი დაწესდეს. ამით ინდუსტრიული დაინტერესება შეიქმნება და საქართველოს მომავალიც პერსპექტიული იქნება.

რა არის საჭირო, რომ ამ ტერიტორიებზე საქმიანობა შესაძლებელი გახდეს? ვფიქრობთ, საჭიროა მცირე ზომის სახელმწიფო ადმინისტრაციის შექმნა, რომელიც ტერიტორიას, წესრიგის თვალსაზრისით, გაუწევს ზოგად კურირებას. არის ასეთი ტერიტორიის გაქირავების პრაქტიკაც. ასევე შესარჩევია, თუ ვინ მოახდენს ამ ზონის მენეჯმენტს. ეს შეიძლება იყოს კომპანია, რომელსაც ამის გამოცდილება აქვს. აღსანიშნავია, რომ ასეთი ზონები უამრავია შავი ზღვის გარშემო, თურქეთში, უკრაინაში, ბელგარეთში, ირანში, მაღასიაში, ჩინეთში, ვიეტნამში, აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში.



რაც მოთავრია, 'სონების შექმნის დროს აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს, რომ არ გამოიკვეთოს შემდეგი თავისებურებები:

1. თავისუფალი ეკონომიკური 'სონების პრინციპებისა და ამოცანების უცოდინრობა.
2. ახალშექმნილ თავისუფალ 'სონებზე საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედზე მეტის წართვა.
3. ადგილობრივი ხელისუფლების სუვერენიტეტისაკენ მისწრაფება.
4. ეკონომიკური 'სონების საქართველოს ეკონომიკის „შავ ხერხელებად“ გადაქცევა, საიდანაც ქვეყნის რესურსების გადინება, კრიმინალური ელემენტებისა და ნეგატიური მოვლენების კონცენტრაცია მოხდება.

5. სეპარატისტული მოძრაობების აქტივიზაცია.

თავისუფალი ეკონომიკური 'სონების შექმნით რა სარგებელს მიიღებს საქართველო? საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ ასეთი 'სონების განლაგების ადგილებში მკვეთრად დაეცემა უმუშევრობის დონე, განვითარდება ინფრასტრუქტურა, წარმოება, მრეწველობა, გაიხსნება ახალი რეზერვუარები ქართული საქონლის ექსპორტირებისთვის, რეგიონში შევა უახლესი დასაფლური ტექნიკა, წარმოიშობა აქტიური ურთიერთობა მსოფლიოს წამყვან სხვადასხვა საფინანსო ცენტრებთან. გალის ტერიტორიებზე თავისუფალი ეკონომიკური 'სონის შექმნით, რამდენიმე ათასი გალედი დასაქმდება. გალის რაიონში შეიძლება დასაქმდეს როგორც აფხაზი, ისე ქართველი მოსახლეობა. ისინი ერთ 'სონაში იმუშავენ, სხვადასხვა პროექტებზე. მიზანი კი ერთი იქნება – ეკონომიკური სრდა და რეგიონის განვითარება, რაც, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს კონფლიქტის მოგარებას.

2.9. აფხაზეთის ალჰინისტრაციულ ტერიტორიას
სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ეკონომიკური
ასპექტები

ეკონომიკური პროცესების სტიმულირების მეშვეობით აფხაზეთში ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენის რეალური გზა არის, რკინიგზის აფხაზეთი მონაკვეთის დანარჩენ საქართველოსთან შეერთება. რკინიგზა უზარმაზარი და უროულესი სამეურნეო-ტექნიკური სისტემაა და მას ნებისმიერი ქვეყნისთვის სტრატეგიული, სამხედრო და თავდაცვითი ფუნქციები აკისრია. რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი როელი პროფილისაა, აგრეთვე, რელიეფისა და ლანდშაფტის მხრვაც (მარტო გვირაბების რაოდენობა 11-ს აღწევს). ამიტომ მისი ექსპლუატაციაში სრულმაშტაბიანი შეყვანა და დაკავშირება ჩრდილო კავკასიის რკინიგზასთან, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის მიწერულს დასრულდა. ამასთან, მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, ვერ განხორციელდა ამ 227 კილომეტრიანი სარკინიგზო მაგისტრალის ორლიანდაგიანზე გადაყვანა. კონფლიქტამდელი (1991 წლის მდგომარეობით) მისი ხაინჯინროტექნიკურ ნაგებობათა და სალიანდაგო მეურნეობა მთლიანობაში შეადგენდა 20 სადგურს, 454 ხაისრე გადამეყანს, სატვირთო ოპერაციების მწარმოებელ 12 სადგურსა და ასაქცეეებს, 44 სალიანდაგო გადახახვლელს. ამ მონაკვეთზე არსებობდა რკინიგზისთვის აუცილებელი ღორღის ქარხანა და სამონტაჟო მატარებელი. 1991 წლისთვის აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულ უშუალოდ რკინიგზის ექსპლუატაციისა და მომსახურების ორგანიზაციებში დაკავებული იყო 4047 თანამ-

შრომელი, მათი 80%-ზე მეტი კი ქართველი ეროვნების. გარდა ამისა, სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში შედიოდა აგრეთვე რკინიგზის საავადმყოფო და პოლიკლინიკა, სკოლა-ინტერნატი, რკინიგზის მომარაგების სასადილოები და რესტორნები. მოლიანად აღნიშნულ ინფრასტრუქტურაში დასაქმებულთა რაოდენობა 10 ათასს აღემატებოდა.

რკინიგზის აღდგენას სჭირდება შესაბამისი, ყოველმხრივ განვითარებული, სრული დატვირთვით მომუშავე ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურა მოითხოვს შესაბამისი რაოდენობის კადრებს, რომლებიც აფხაზეთში ფაქტობრივად აღარ არიან. დგება საკითხი, თუ ვინ მოემსახურება აფხაზეთის მონაკვეთზე რუსეთ-სამხრეთ კავკასიის შემაკავშირებულ რკინიგზას? ბუნებრივია, რკინიგზის მომსახურე პერსონალის დიდი ნაწილი აფხაზეთში მის ფარგლებს გარედან უნდა შევიდეს. ამდენად, აფხაზეთში რკინიგზის გახსნის საკითხი აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს დეენილების დაბრუნების საკითხს.

დღეისათვის, როდესაც ლაპარაკია სარკინიგზო მიმოსვლის გახსნაზე აფხაზეთში, ოპონენტი მხარე მიანიშნებს, რომ ის პრაქტიკულად ფუნქციონირებს, რადგან მთელ აფხაზეთში რკინიგზა მაინც მოქმედებს, როგორც შიდა აფხაზეთი სატრანსპორტო საშუალება (სოხუმი-ადლერი-სოხუმი). თუმცა მას დაკარგული აქვს მთავარი დანიშნულება – უმნიშვნელოვანესი რეგიონული (მთელი სამხრეთ კავკასიის) საკომუნიკაციო საშუალება.

რკინიგზის აღდგენას უდიდესი ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია. სტატისტიკოსების გაანგარიშებით, საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, აფხაზეთში მარტო სატრანსპორტო საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა შექმნის დაახლოებით 2-2,5-ჯერ მეტ დამატებულ ღირებულებას, ვი-

დრე დღეს იქმნება მთელი აფხაზეთის ეკონომიკის მიერ. 1985–1990 წლებში საქართველო–რუსეთის ტვირთბრუნვის არანაკლებ 80% რკინიგზაზე მოდიოდა, ხაიდანაც თითქმის სამი მეოთხედი შავიხდვისპირეთის გავლით ხორციელდებოდა. 1985 წელს აფხაზეთის გავლით მოძრაობდა 100–110 მილიონი ტონა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შემოხსენებული ბრუნვის ხელ ცოტა ნახევარი მაინც აფხაზეთზე გამავალ რკინიგზაზე მოდიოდა. ეს ექვივალენტურია 30 ათასზე მეტი სამოცვაგონიანი შემადგენლობისა, ანუ ყოველდღიურად 84 ასეთი შემადგენლობის მოძრაობისა (ყოველ 17 წუთში თითო შემადგენლობა იქით ან აქეთ).

ამჟამად 1 ტონა ტვირთის გადატანა საქართველოს რკინიგზით 340 კილომეტრზე (გადატანის ხაშუვალ მანძილი) იძლევა 4 დოლარ მოგებას. ესე იგი, აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთზე რომ აღდგეს მიმოსვლა ისეთივე მოცულობით და ინტენსივობით, როგორც ხდებოდა 1980-იან წლებში, ეს ამ მონაკვეთზე შექმნიდა 200 აშშ დოლარზე მეტ მოგებას, ხოლო რკინიგზის პროფილის სირთულის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ხელ ცოტა, 250 მილიონ დოლარს.

აფხაზეთის რკინიგზის აღდგენით ასევე დაინტერესებულია თურქეთი და სომხეთი, რადგან სარკინიგზო ბლოკადის გამო, თურქეთისა და სომხეთის ბიუჯეტები წამში ყოველწლიურად 600–800 მილიონ აშშ დოლარს კარგავენ. საქართველო-თურქეთის რკინიგზა გასასვლელს გაუხსნის აზერბაიჯანს ცენტრალური აზიისა და რუსეთისკენ. თურქეთი რუსეთს საქართველოს ან აზერბაიჯანის გავლით უნდა დაუკავშირდეს. აფხაზეთში ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენის შემთხვევაში, თურქეთს რუსეთის ბაზარზე გასასვლელად მეოთხე სახელმწიფოს, ანუ აზერბაიჯანის ტერიტორიის გაფ

ლა აღარ დასტირდება. რა თქმა უნდა, იგივე შეიძლება ითქვას რუსეთსაც. რუსული ტვირთი თურქეთში მარტო საქართველოს გავლით ნაადწევს. ასე რომ, სარკინიგზო კავშირის აღდგენა არაერთი სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი თურქეთისა და სომხეთის ეკონომიკურ ინტერესებში შედის.

რეგიონში მოსკოვის მთავარ მოკავშირე სომხეთს რკინიგზის საშუალებით რუსეთთან დაკავშირება არ შეუძლია. რკინიგზა კი იმპორტ-ექსპორტის განსახორციელებლად ყველაზე იაფი და ხელსაყრელი საშუალებაა. სომხეთს სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობებისთვის ძირითადი გზა მხოლოდ საქართველოს გავლით აქვს გახსნილი. სომხეთი, ფაქტიურად, ეკონომიკურ წიხშია მოქცეული. საქართველო-აფხაზეთის რკინიგზის გახსნა კი მას უამრავ პრობლემას მოუხსნის. ყველაფერთან ერთად, დიდად სარალდება აფხაზეთის რეგიონიც.

რკინიგზის ამოქმედება რეგიონის თითქმის ყველა სახელმწიფოს (რუსეთის ჩათვლით) ეკონომიკური თვალსაზრისით აძლევს ხელს. რუსეთი კი ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს რატომღაც ვრთიმანეთისგან მიჯნავს. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ძნელია იმის თქმა, რამდენად შეიძლება საქართველო იურიდიულობის აღდგენას აფხაზეთში, აფხაზეთზე რკინიგზის აღდგენის და, საერთო ჯამში, ეკონომიკის განვითარების გარეშე. ეკონომიკური გათვლები კი ადასტურებენ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის მაღალეფექტურობას. ესაა, რომ განვითარების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვექტორი ყოველთვის არ ემთხვევა ეკონომიკური მიზანშეწონილობის ვექტორს. აქ კი გადამწყვეტი სიტყვა, ეკონომისტებთან ერთად, პოლიტიკოსებმა და პოლიტტექნოლოგებმაც უნდა თქვან

2.10. აფხაზეთის ტერიტორიის გაკლით ნავთობის

ტრანსპორტირების ილქა

სამხრეთ კავკასია დიდი რაოდენობით ნავთობისა და გაზის რეზერვების მქონე კასპიის ზღვის რეგიონის ჩარჩოში მთავარება. იგი ერთგვარ მიკრორეგიონს და, ამასთანავე, მნიშვნელოვან არეს წარმოადგენს ევროკავშირისთვის. რომელიც ახალი ენერგო საჭიროებების წინაშე დგას და ცდილობს ენერგომომარაგების წყაროების დივერსიფიცირებას. სამხრეთ კავკასია პოტენციურად მეტად მომგებიანი და მიმსიდეგელი ადგილია უცხოური ინვესტიციებისთვის, განსაკუთრებით ტრანსნაციონალური ნავთობკომპანიებისთვის. ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიული „აბრეშუმის გზის“ აღდგენას, რომელიც არის აზიასთან პირდაპირ სავაჭრო არხი. საქართველომ ერთგვარი ხიდის როლი შეიძლება შეასრულოს ევროპასა და აზიას შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებით რაც ასევე აფხაზეთურ-ქართული კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი ბერკეტია. აფხაზეთის ტერიტორიაზე ნავთობსადენის ერთ-ერთი მონაკვეთის გავლის მიზანშეწონილობის დასახატუთებლად შეიძლება მოვიყვანოთ ის არგუმენტი, რომ ამჟამად მოქმედი და უკვე მშენებარე ნავთობსადენები ვერ იქნება საკმარისად გამტარუნარიანი კასპიის აუზში მოპოვებული მთელი ნავთობის ტრანსპორტირებისთვის. კასპიის საბადოებში გათვალისწინებულია წელიწადში საშუალოდ 100 მილიონი ტონა ნავთობის მოპოვება და ეს ციფრი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

ამახთან, ბოსფორის სრუტეში ტანკერების მოძრაობის შეზღუდვის გამო განიხილება ხმელთაშუა ზღვაში ალტერნატიული გასასვლელის შექმნის საკითხი. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტი შეიძლება იყოს შავი ზღვის ნოვოროსიისკის ტერმინალის დაკავშირება ბაქო-სუფსის ტერმინალთან აფხაზეთის ტერიტორიის გავლით. ასეთი მარშრუტი რუსეთისთვისაც შეიძლება სელსაყრელი იყოს ჩვენთვის ტერიტორიაზე გამავალ ნავთობსადენზე კონტროლის დაკარგვის გამო.

აფხაზეთის ტერიტორიის გავლით ნავთობსადენის ნოვოროსიისკის ტერმინალამდე გაყვანის გარდა, არსებობს აგრეთვე თნამირის უოფილი სამხედრო ნავსადგურის ნავთობის ტერმინალად გადაკეთების მოსაზრება, საიდანაც დამატებით შეიძლება გადაიტვირთოს ნავთობი ნოვოროსიისკში და შავი ზღვის სხვა ნავსადგურებში. აფხაზეთის ტერიტორიის გავლით შეიძლება ასევე საქართველოში მოპოვებული ნავთობის როგორც ადგილზე მოხმარება, ისე ტრანსპორტირებაც.

საქართველოში ნავთობის მოპოვებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი პირობითად შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს. პირველი პერიოდი მოიცავს ნავთობის მოპოვების ისტორიას უხსოვარი დროიდან 1929 წლამდე, როდესაც წამოყალიბდა ტრესტი „საქნავთობი“. მეორე, შედარებით ხანმოკლე პერიოდი გაგრძელდა 1929 წლიდან 1974 წლამდე, ხოლო მესამე 1974 წლიდან დღევანდლამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პერიოდები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან არა მარტო ხანგრძლივობით, არამედ, რაც მთავარია, ამ პერიოდებში განხორციელებული სამუშაოების მოცულობის, ხას-

იათის და მათგან მიღებული პრაქტიკული შედეგების მიხედვით. განსაკუთრებით აღსანიშნავია წყენი ქვეყნის ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვების მესამე პერიოდი. 1974 წლამდე საქართველოში მთლიანად მოპოვებული ნავთობის რაოდენობა არ აღემატებოდა 1,5 მილიონ ტონას. 1974 წლიდან დაემდეგ მოპოვებულია 25,5 მლნ ტონაზე მეტი ნავთობი, რომლის რეალიზაციამ მთლიანად ააჩაღლაურა წინა პერიოდის დაბალი ეფექტურობით გამოწვეული დეფიციტი და საგრძნობი მოგებაც მოუტანა რესპუბლიკას.

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 1980 წელს საქართველოში მოპოვებული იქნა 3,2 მილიონი ტონა ნავთობი, თუმცა შემდგომ წლებში მოპოვება საგრძნობლად შემცირდა. მაგალითად, 1986-91 წლებში რესპუბლიკაში ნავთობის წლიური მოპოვება მხოლოდ 180 ათასი ტონა იყო. ამის მიზეზი, როგორც შემდგომში გამოირკვა, სამგორი-პატარძელის საბადოზე (რომლის წილი ხაერთო მოპოვების 90%-ს შეადგენდა) ნავთობის მარაგის ამოწურვამ განაპირობა.

1991 წლიდან ნავთობის მოპოვება კიდევ უფრო მცირდებოდა და 1992 წელს შეადგინა 100 ათასი ტონა, 1994 წელს – 67 ათასი ტონა, 1995 წელს კი მხოლოდ 45 ათასი ტონა. ამის მიზეზი, ზემოთ აღნიშნულის გარდა, საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სიტუაციის გამწვავება იყო. კერძოდ კი, საბჭოთა კავშირის დაშლის გამო, შეწყდა საკავშირო ნავთობის სამინისტროდან (რომელსაც ექვემდებარებოდა „საქნავთობი“) დაფინანსება და (კენტრალური მმართვება. გახშირდა სარეწებიდან და სამგორი-ბათუმის ნავ-

თობსადენიდან შეიარაღებული ბანდებისა და მოსახლეობის მიერ ნავთობის დატაცების ფაქტები. განურდა მრავალი მოქმედი ჭაბურღილი. ვინაიდან მათი ელექტროდანადგარებიდან დაიტაცეს ფერადი ღითონები. ამის შედეგად თითქმის მთლიანად შეწყდა ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და ექსპლუატაციის სამუშაოები.

1995-1996 წლებში ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილიზაციის დამყარებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ნავთობისა და გაზის სექტორში უცხოელ ინვესტორთა მოზიდვისა და ნავთობის მოპოვების გაზრდის საქმეში. ამ პერიოდში შეიქმნა რამდენიმე ერთობლივი საწარმო, კერძოდ, ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანია, ქართულ-შვეიცარული „იორის ველი“, ქართულ-ბრიტანული „კახეთი-ოილ“, ქართულ-ამერიკული „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“. შედეგმაც არ დააყოვნა. 1996 წელს ნავთობის მოპოვება წინა წელთან შედარებით, სამჯერ გაიზარდა და 128 ათასი ტონა შეადგინა.

ხემაღნიშნული კომპანიები ნავთობს აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად კახეთის რეგიონში მოიპოვებდნენ. თუმცა 2000 წელს „შაჰი ოქროს“ მოპოვება განახლდა დასავლეთ საქართველოშიც, კერძოდ გურიაში (სუფსა-ჭაღაღიდი). სადაც საქმიანობას შეუდგა ქართულ-გერმანული ერთობლივი კომპანია „გეოგეროილი“. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმავე წელს საქართველოს ნავთობმოპოვების ისტორიაში, პირველად დაიწყო საძიებო სამუშაოები შაჰი ზღვის აკვატორიაში. ნენი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში ნავთობისა და გაზის რესურსების დადგენისა და

მოპოვების მიზნით სამუშაოების ნატარების სურვილი გამოთქვა აშშ-ის ერთ-ერთმა წამყვანმა ნავთობკომპანია „ანადარკომ“. 2000 წლის 26 ივნისს ხელი მოეწერა ე.წ. პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობასა და ზემოაღნიშულ კომპანიას შორის, რის შედეგადაც ამერიკელი სპეციალისტები შეუდგნენ გეოლოგიური და გეოფიზიკური სამუშაოების ნატარებას ქვითისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვაო სექტორის მიდამოებში.

დღეისათვის საქართველოში ცნობილია 15 ნავთობისა და 2 გაზის საბადო. ქვეყნის ტერიტორიის 69,7 ათასი კვადრატული კილომეტრიდან ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისათვის პერსპექტიულად მიხნეულია 26,5 ათასი კვადრატული კილომეტრი ხმელეთზე და 9 ათასი კვადრატული კილომეტრიც შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში.

2002 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვებამ 73 941 ათასი ტონა შეადგინა, რაც 25 ათასი ტონით ნაკლები იყო 2001 წლის შედეგებთან შედარებით, ამავდროს, მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში, სხვადასხვა კომპანიების მიერ მოპოვებულ იქნა 94 ათასი ტონა ნავთობი, რაც 67% - ით მეტია გახული წლის ცხრა თვის შედეგებთან შედარებით. ნავთობის მოპოვების რაოდენობით ხსენებულ წელს პირველ ადგილზე იყო ქართველ-ბრიტანული ნავთობკომპანია, რომელიც ნავთობმოპოვებით სამუშაოებს საგარეჯოს რაიონში ახორციელებს. მის მიერ მოპოვებული ნავთობის რაოდენობამ 2002 წელს 60 ათასი ტონა შეადგინა.

ქართულ-შვეიცარულმა კომპანია „იორის ველმა“, რომელიც ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში მოიპოვებს ნაეთობს, 2003 წელს 24 ათასი ტონა მოიპოვა, ხოლო კომპანია „ფრონტერა რისორსი'ს ჯორჯიამ“ (სამუშაოებს აწარმოებს დედოფლისწყაროს რაიონში) 5 ათას 300 ტონა. რაც შეეხება ეროვნულ კომპანია „საქნათობს“, მან ცხრა თვის განმავლობაში 6 ათასი ტონა მოიპოვა.

საინტერესოა, რომ კომპანია „ანადარკოს“ მიერ შავი ზღვის აკვატორიაში ნატარებელი გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგები მეტად დამაიმედებელ სურათს იძლევა შავ ზღვაში არსებული რესურსების შესახებ. გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ 2001 წლამდე საქართველოში ნაეთობის პოტენციური რესურსების მოცულობა განისაზღვრებოდა 600 მილიონი ტონით. თუმცა ეროვნული კომპანია „საქნათობის“ მიერ საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე ნატარებელი გეოლოგიური და გეოფიზიკური სამუშაოების შემდეგ, ამ ორგანიზაციის მიერ ქვეყანაში ნაეთობის პოტენციური რესურსების რაოდენობა 2 მილიარდ 240 მილიონი ტონით განისაზღვრა. რაც შეეხება გაზის რესურსებს, უკანასკნელ მონაცემებზე დაყრდნობით, მისი პოტენციური რაოდენობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეფასებულია 180 მილიარდი მ-ით, ნაცვლად 98 მლრდ მ-ისა (ეს მონაცემიც ოფიციალურად 2001 წლამდე არსებობდა).

ზემოაღნიშნული ფაქტორები, აგრეთვე ნაეთობისა და გაზის მოპოვების სექტორში უცხოური ინვესტიციების დაბანდების პერსპექტივები იძლევა იმის წინაპირობას, რომ საქართველო-

ში ნავთობისა და გაზის მოპოვება გაიზრდება, რაც მეტად დადებითად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და ენერგეტიკული დამოუკიდებლობის განმტკიცებაზე. ასევე გაზრდის საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტს, როგორც, არა მხოლოდ ნავთობის სატრანსიტო, არამედ როგორც ნავთობმოპოვებელი ქვეყნის.

რა როლი შეიძლება ითამაშოს ევროკავშირმა როგორც კასპის, ასევე საქართველოში მოპოვებული ნავთობის, როგორც ადგილზე მოხმარების, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ხელშეწყობისთვის? ევროკავშირის მიერ დახარჯული ასეულობით მილიონი ეურო, რამდენიმე რეგიონალური მასშტაბის პროექტი და საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნისთვის გაწეული დახმარება მნიშვნელოვან საფუძველს იძლევა დაეასკვნათ, რომ ევროკავშირს საკმაოდ აქტიური მიზნები აქვს საქართველოში, რადგან სამხრეთ კავკასია ევროკავშირის ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის(CFSP) სტრატეგიულ რეგიონს და შუა აზიისკენ ნამდვილ ჭიშკარს წარმოადგენს.TACIS-ის რეგიონალური მიმართულება ევროკავშირის რამდენიმე მრავალგანსომილებიან რეგიონალურ პროექტზე ფოკუსირდება, რომელთაგან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანიაTRACECA და INOGATE. TRACECA-ს პროექტი 1993 წელს დაიწყო და იგი მიზნად ისახავს შავი და კასპის ზღვის რეგიონის თანამედროვე სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემებით დაკავშირებას და რეგიონში კოპერენტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვი-

თარეხას. TRACECA ხაკმაოდ ფართომასშტაბიანი პროექტია, რომელიც მასში მონაწილე ქვეყნებს ევროპისა და მსოფლიო ბაზარზე აღტერნატიული სატრანსპორტო გზებით გასვლის ხაშუალებას მისცემს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწეობს ამ ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რეგიონალურ თანამშრომლობას და მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნას, აგრეთვე TRACECA-ს ტრანსეევროპულ ქსელებთან(TENs) დაკავშირებას. პერსპექტივაში 'აბრეშუმის გზის' გასწერივ ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და მონიტორინგის სატელიტური ქსელის შექმნაა გათვალისწინებული, რაც სატრანსპორტო დერეფანს ახალ განსომილებას შესძენს. TRACECA მხოლოდ ერთი ნაწილია იმ გიგანტური პროექტისა, რომელიც „აბრეშუმის გზის განახლების“ სახელით არის ცნობილი და მიზნად ისახავს დასავლეთ ევროპიდან სამხრეთ აღმოსავლეთ აზიამდე კავკასიისა და შუა აზიის გავლით სატრანსპორტო დერეფნის შექმნას.

INOGATE (ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროპისკენ) 1995 წელს დაიწყო. ეს ევროკავშირის რეგიონალური მასშტაბის მეორე პროექტია, რომლის მიზანია დსთ-ის სივრცეში არსებული ნავთობ და გაზსადენების სისტემებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია, აღტერნატიული მარშრუტების ვარიანტების შეფასება, აგრეთვე მონაწილე ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება და ევროპისკენ ენერგეტიკული დერეფნის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

უთუოდ, მომგებიანი იქნება როგორც საქართველოსთვის, ისე თავად ევროკავშირისთვის, თუკი ე.წ. INOGATE პროექტში ნაჯდება შემოსხენებული კასპის ნავთობის აფხაზეთის ტერიტორიის გაკლით ევროპისკენ ტრანსპორტირება. მაგრამ, როდესაც საქართველოში ევროკავშირის აქტიურობასა და მის პოლიტიკას განვიხილავთ, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის შიდა და გარე ფაქტორები და მათი ურთიერთქმედება, რომლებიც პოზიტიურ თუ ნეგატიურ გავლენას ახდენენ ევროკავშირის პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ რუსეთის ფაქტორი, რომელიც ყველაზე გავლენიანი ძალაა რეგიონში და განსაკუთრებული ინტერესები აქვს სამხრეთ კავკასიის მიმართ. აქედან გამომდინარე, საქართველოში ევექტური პოლიტიკის საწარმოებლად, ევროკავშირისთვის აუცილებელია მხედველობაში მიიღოს რუსეთის ფაქტორი. რუსეთი მეტად მგრძობიარეა თავისი ყოფილი "სამფლობელოს" ამ ნაწილის მიმართ. აფხაზეთისა და სამანაბლოს კონფლიქტები, კასპის ზღვის აუზში აღმონენილი ნავთობისა და გაზის საბადოებთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხები და სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის როლი კიდევ ერთ თავსატეხს უქმნის რუსეთის ხელმძღვანელობას. მიუხედავად რუსეთის პეგემონური ზრახვებისა და რეგიონში სამხედრო უპირატესობისა, მისი პეგემონია რეგიონში ერთგვარ დაღმასველას განიცდის, რაც ეკონომიკური რესურსების ნაკლებობითა და ჩრდილო კავკასიაში პოლიტიკური არასტაბილურობით არის გამოწვეული. ამ მხრივ ევროკავშირს შეუძლია ისარგებლოს თავისი ეკონომიკური

რესურსების უპირატესობით და ხელი შეუწეოს რეგიონის სტაბილიზაციას. სტაბილური რეგიონი სასურველია რუსეთისთვისაც, თუმცა მას არ სურს სამხრეთ კავკასიაში ძლიერი ქვეყნების ხილვა და ადვილად არც მართვის სადავეების დაკარგვას შეეგუება.

ევროკავშირს შეუძლია ფინანსურ თუ დიპლომატიურ გზებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარებაში. აუცილებელია ისიც გაითვალისწინოთ, თუ როგორ აღიქვამს რუსეთი ევროკავშირის გააქტიურებას და მხედველობაში მივიღოთ რუსეთის განსხვავებული დამოკიდებულება რეგიონში სხვა გარე ძალების წართევასთან მიმართებაში. რუსეთი ევროკავშირს უფრო ეკონომიკურ ძალად აღიქვამს და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად პრობლემატურად მიიხსენებს, ვიდრე ნატოს ან აშშ-ის გააქტიურებას მისი „გაულენის სფეროში.“ ეს ნაწილობრივ, ალბათ, რუსეთის „ცივი ომისდროინდელი“ დროინდელი ხედვითაც არის განპირობებული. ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთის შეშფოთება, რაც, 11 სექტემბრის შემდგომ, რეგიონში აშშ-ის გააქტიურებას მოჰყვა. რუსეთს ურჩევნია რეგიონში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ყოფნა, როგორცაა ეუთო ან ევროპის საბჭო. გადამწვეტი მნიშვნელობა შეიძლება აქონდეს ევროკავშირის მიერ რუსეთის დაყოფიებას, რომ მან დასძლიოს ეროვნული ინტერესების გეოპოლიტიკური კრილიდან ხედვა და პეგემონური ამბიციები, ხელი შეუწეოს რეგიონის გეოეკონომიკური მიმართულებით განვითარებას, კონფლიქტების მოგვარებას და

კასპიის ზღვის ნავთობის საერთაშორისო ბაზრებისათვის აფხაზეთის ტერიტორიის გავლით მიწოდებას.

საქართველოში არც ამერიკის საკმაოდ შესამჩნევი აქტიურობაა ევროკავშირისთვის მნიშვნელობას მოკლებული. ხშირად ევროკავშირი და აშშ მოიაზრებიან როგორც ერთობლივი „დასავლეთის ინგეიჯიმენტის“ ორი მხარე. ეს მოიაზრება რამდენადმე მარტივია, რადგან იგი არ ითვალისწინებს სოგიერთ განსხვავებას ევროპასა და ამერიკას შორის. მართლაც ასეა მათი ხაერთო მიზნების გათვალისწინებით, რაც საქართველოს სტაბილურობაში მდგომარეობს. აშშ, რომელიც დაინტერესებულია ხელეწიფებოდეს კასპიის ზღვის აუზის ნავთობისა და გაზის რესურსები და აქტიურად უჭერს მხარს სამილსადენო გზებისა და ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებას, მიხთვის მისაღები იქნება ნავთობის აფხაზეთის ტერიტორიის გავლით ევროპისკენ ტრანსპორტირება. უფრო მეტიც, დემოკრატიის პრინციპების გაერცელება და სამოქალაქო ხაზოგადოების განვითარება საქართველოში კიდევ ერთი საკითხია, რომელშიც ამერიკისა და ევროპის ინტერესები სრულ თანხვედრაშია.

საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების მიხნით, აფხაზეთის ნავთობსადენის (ენგურიდან-ფსოემდე) მშენებლობის დაწყების შესახებ, აგრეთვე ვალკე დანარჩენი საქართველოს ნავთობსადენების მშენებლობის შესახებ (ბაქო-თბილისი-ენგური). როგორც ჩანს, არსებობს რესურსები, რათა დაიდოს გარიგებუ-

ბი. აშენდეს ნავთობსადენები და პორტები. მაგრამ საჭიროა ამ გარიგებებისა და მათი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების პოლიტიკური და სამხედრო უზრუნველყოფა რეგიონის კონფლიქტური მდგომარეობიდან გამომდინარე. ქვეყნის მთავრობამ ამ პროექტის განხორციელებაში აქტიურად უნდა ჩართოს როგორც ევროკავშირი, ასევე ამერიკა.

ამგვარად, ნათელია, რომ კასპიის ნავთობის აფხაზეთის ტერიტორიის გავლით ევროპისკენ ტრანსპორტირება, რეგიონის გეოეკონომიკური მიმართულებით განვითარება, კონფლიქტუბის მოგვარება¹⁵ და საქართველოს სტაბილიზაცია¹⁶ზე ორიენტირდება.

* * *

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნული თავეებიდან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია დაუასკენათ, რომ საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკა სწორედ კრიზისიდან გამოსვლის გზებს უნდა მოერგოს და არა პირიქით. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამ კი არ უნდა დააბაღანოს ქვეყნის ეკონომიკა, არამედ ეკონომიკის ზრდამ და მოდერნიზაციამ უნდა მიგვიყვანოს ერთიან, აყვავებულ საქართველომდე. *...ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით უნდა გადაეწყვიტოს. უცხოეთიდან მიღებული რჩევების მხოლოდ ნაწილი შეიძლება იყოს გამოსადევი, რადგან ის ქართულ მოწყვეტილია ნიადაგს. იმედი მაქვს ეკონომიკა განვითარდება, თუ ერთ შეინახავს ფასეულობებს...*¹⁷ – ბრძანებს

¹⁵ გ. შინაშვილი. „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ხოციადურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ“ (1977–2004წ.წ.), თბილისი 2004წ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საქართველოს საპატრიარქოში სწავლულ ეკონომისტებთან შეხვედრის დროს.

ასევე ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია პატრიარქის სიტყვა საადღვანო ეპისტოლეში: „...ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული პრიორიტეტების განსაზღვრა. ამაზეა დამოკიდებული, თუ როგორ სახელმწიფოდ წამოვყალიბდებით. ვფიქრობთ, მომავალმა თაობამ უმთავრესი უურადლება უნდა მიაქციოს სამეცნიერო, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროს, რომ სენი ქვეყანა სრულფასოვან სახელმწიფოდ იქცეს. საერთაშორისო ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს ათწლეულში სახმელი წყალი გახდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი კაცობრიობისათვის. საქართველო ამ რესურსის ერთ-ერთი დიდი მფლობელია და მისი მომავალი ეკონომიკური განვითარება, ალბათ, დაკავშირებული უნდა იყოს წყალთან, კერძოდ, წელის მსოფლიო ბაზარზე სენი ადგილის მოპოვებასთან. დღეს კი უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. უნდა შეიქმნას საშუალო ადგილები, რომ ხალხი დასაქმდეს და გამოვიდეს იმ მძიმე სოციალური პირობებიდან, რომელშიც ის დღეს იმყოფება. სენი დიდი რესურსია ინტელექტუალური პოტენციალიც. ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ის სამეცნიერო მონაპოვარი, რაც მას გააჩნია...“⁴.

⁴ საპატრიარქოს უწყებანი. „უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საადღვანო ეპისტოლე“, №16(369). 2006წ. 26 აპრილი-3 მაისი.

ეკონომიკის რეფორმირების შემჯობ, კონსულიტის
 აღკვეთის თაობაზე სწრაში რეაბირების აუცილებლობა

სრულყოფილი, კარგად გათვლილი და გატარებული რე-
 ფორმის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში და-
 გროვდება გაცილებით მეტი შემოსავალი, ვიდრე დღეს არის.
 აქედან გამომდინარე და სწორი პოლიტიკის წარმართვის შემთხ-
 ვევაში შესაძლებელია ეკონომიკური ბერკეტებით განხორ-
 ცივდეს ქართველი და აფხაზი ერების თანაცხოვრება. ანუ,
 გვექნება შესაძლებლობა, დავაფინანსოთ მოქმედებები სარე-
 აბილატაციო საქმიანობის მხარდაჭერის კონტექსტში, პუმანი-
 ტარული საკითხებისა და სასწრაფო ტექნიკური მომსახურებ-
 ის უზრუნველყოფად, შემდგომი პუმანიტარული კრისისის რისკ-
 ის შესამცირებლად. საქმიანობა ისეთი გზით უნდა წარიმარ-
 თოს, რომელიც იდეალური მდგრადობის საწინდრად იქცევა.

აფახაზეთის სოფლებში საწვის ფაზაში უნდა ჩატარდეს
 სამუშაოები, რომელთა ფოკუსირება მოხდება ცხოვრების დო-
 ნის გამყარებაზე სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, წყლით
 მომარაგების, ხანიტარიისა და განათლების სფეროებში. გა-
 მომდინარე აქედან, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი:

- სოფლის მეურნეობის საშუალებების ხელმისაწვდომობა,
 როგორებიცაა, მაგალითად: მარცვლეული, ხელსაწყოები, სასუ-
 ქი და სხვა.
- სამშენებლო მასალების ხელმისაწვდომობა, როგორები-
 ცაა გადასახური მასალები, ფანჯრის მინა, ცემენტი და ძირი-

თადი ლითონის მასალები, სპეციფიკურ მოთხოვნების გათვალისწინებით.

- დაწვებითი სკოლების მასალებით და ხელსაწყოებით უზრუნველყოფა.

- ცოდნის ამადლება და ტრენინგის ნატარება ჯანდაცვის, ფსიქო-სოციალური კონსულტაციების, პიტიენისა და ხანიტარიის სფეროებში.

- წელის მიწოდების გაუმჯობესება, რომლითაც ამქამად სარგებლობს სოფლის მოსახლეობა.

- ხაშუალო 'სომის სოფლების მიდამოებში გამავალი გ'სების ხასწრაფო შეკეთება ადგილობრივი მეშა ძალის გამოყენებით;

- ქალაქების წელით მომარაგების ძირითადი მიღების წესრიგში მოყენა და წელის გამანაწილებელი სისტემის შეკეთება.

- მცირე გრანტებისა და მიკროფინანსების მიწოდება რეგიონში მცირე საწარმოების გასავითარებლად.

- ტრანსფორმატორის 'სეთის მიწოდება ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელში მეოფი ტრანსფორმატორებისთვის.

- სოფლების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაციისთვის საქართველოში გაეროს დამკვირვებულთა მისიის ტექსტურ ფორმატში მონაცემთა ბაზის კომპიუტერული პროგრამის შემუშავება.

- დოკუმენტების და წინანდადებების შემუშავება და დამატებითი მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება ძირითადი სარეაბილიტაციო ფაზისთვის.

საწყის-მოსამზადებელ ფაქსაში რეგიონის დონეზე მოსალოდნელი შედეგები გულისხმობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების 'ზრდას, ჯანდაცვის, წყალმომარაგებისა და სანიტარიის გაუმჯობესებას, საკლასო ოთახების გარემონტებას, სოფლის საცხოვრისების შეკეთებას, სოფლების უსაფრთხო წყალმომარაგებას, მცირე საწარმოების განვითარების საფუძვლის ჩაყრას. ელექტროენერჯის განაწილების უსაფრთხოებას და ინფორმაციული მეტეჯმენტის გაუმჯობესებას გარდამავალი აღდგენისთვის. საწყისი ფაქსის არაპირდაპირი შედეგების ხაზით აღგიღობრივ დონეზე და მონაწილეობითი მიდგომის წყალობით, მოსალოდნელია სოფლის მოსახლეობის საკუთარი თავისადმი რწმენის ამადლება, თვითდახმარებისა და სა'სოგადოების აღმშენებლობითი შესაძლებლობების გა'ზრდა და სამოქალაქო სა'სოგადოების განვითარება აფხა'სეთის ტერიტორიაზე.

ძირითად სარეაბილიტაციო ფაქსაში, გარდა 'ხემოაღნიშნულისა, შესაძლებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ნაკლებად იქნება კონცენტრირებული ჰუმანიტარულ მოთხოვნებზე'სე და ეურადლებას გაამახვილებს მდგრად რეაბილიტაცია'სე. ასეთებია:

- აფხა'სეთის რაიონებში ცხოვრების ღონის ამადლები-სკენ მიმართული ფართო სამუშაოების ჩატარება სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, წყალმომარაგების, სანიტარიისა და განათლების სფეროებში.

- სოფლის მეურნეობის გაფართოება, ექტერინარული მომსახურების და სასოფლო-სამეურნეო თუ განათლების პრო-

გრამების გადახედვა, რათა იხინი შეესაბამებოდნენ არსებული სოფლის მეურნეობის სექტორის მოთხოვნებს.

- არსებული წაის პლანტაციებისა და წაის წარმოების რეაბილიტაციის ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასება მარკეტინგული პერსპექტივის თვალსაზრისით.

- მექანიზმების შემუშავება, რომლებიც მისცემენ სოფლის სასოგადოებას ისეთი ადგილობრივი რესურსებისადმი ხელმისაწვდომლობისა და კონტროლის შესაძლებლობას, როგორებიცაა ტყეები, საძოვრები, სათევსე მეურნეობები და სანადირო ადგილები.

- მშენებლობის ინტერესებიდან გამომდინარე, ხე-ტყის მიწოდების მრეწველობის შექმნა, რომელსაც ექნება სასაწყობო მეურნეობა ხე-ტყისა და სამშენებლო მასალის შესანახად.

- რეგიონის ბაზაზე ამჟამად არსებული ყველა წყალმომარაგების საშუალებების იდენტიფიცირება და ტესტირება ამ რესურსების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის დასადგენად. ასეთი შეფასება უნდა ნატარდეს ყველა სოფელში.

- რაიონებისთვის დახმარების გაწევა, რათა შენარჩუნდეს წყლის მიმწოდებელი მიწების სისტემა იმ სოფლებში, სადაც ის უკვე არსებობს.

- მასალებისა და დამხმარე ხელსაწყოების მიწოდება დაწყებითი სკოლების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისთვის.

- რაიონებში მასწავლებლების დახელოვნების პროგრამების წამოყალიბება.

- საცხოვრებელი კორპუსების შესაკეთებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა, ლტოლვილთა შესახლებისა და ბინების საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით.

- რეგიონში პერიფერული (ამბულატორიები, საავადმყოფოები, დისპანსერები) და ცენტრალიზებული (ცენტრალური საავადმყოფოები გაღწი, ონკოლოგია და ტევარსელში) სამედიცინო მომსახურებისა და ჯანდაცვის პროგრამების აღდგენა.

- ქალებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი ძირითადი სამედიცინო მომსახურების პროგრამების დანერგვისა და რეაბილიტაციის მხარდაჭერა.

- პროფესიონალური უნარ-ჩვევების ამაღლება მუდმივი ტექნიკური დახმარებისა და ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალთა (ექიმები, მომსახურე პერსონალი, მეანი ქალები) ტრენინგის მეშვეობით.

- ადგილობრივი ჯანდაცვის მუშაკებისა და ბავშვთა მოვლის სფეროებში მომუშავეთა ტრენინგები, რათა უსრუნველყოფილ იქნას ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობა, შესაბამისი კვება და მოვლა.

- ელექტროგამანაწილებელი ქსელის რაციონალიზაცია სამივე რაიონის მასშტაბით ხაზების ჭარბი დუბლირების შესამცირებლად.

- სპეციალისტებისთვის ხელშეწყობა რეგიონის ტელეკომუნიკაციის მოთხოვნილებების შესასწავლად, რათა შემოწმდეს მიწისზედა და მობილური ქსელების პოტენციალი, აგრეთვე ქალაქსა და სოფელს შორის რადიოგადაცემებზე დაფუძნებული კომუნიკაციების პოტენციალი (ადგილობრივ განაწილებასთან ერთად).

- რაიონების მხარდაჭერა გეოგრაფიულ-საინფორმაციო სისტემების ბაზაზე შექმნილი სიერცობრივი მენეჯმენტის სისტემის შემუშავებაში.

- დამატებითი დოკუმენტაციისა და წინადადებების შემუშავება აღდგენითი ფაზისათვის.

აღდგენითი ფაზა წარმოადგენს ძირითადი რეაბილიტაციის ფაზის საქმიანობის გაგრძელებას, რასაც დაემატება ქვემო-მოყვენილი ახალი ელემენტები:

- სამშენებლო მასალებით მომარაგების სექტორის განვითარების ხელშეწყობა როგორც საბითუმო, ისე საცალო დონეზე. აქ შეიძლება მოხიდვა როგორც შიდაა გარე, ასევე კერძო სექტორის დახმარება.

- ბინების შეკეთების მენეჯმენტის პროგრამის ხელშეწყობა რეგიონის ადმინისტრაციასთან პარტნიორობით.

- წყალგამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია, როგორც ეს არის რეკომენდირებული განვითარების ძირითად ფაზაში.

- სოფლის ადგილობრივი წყლის ქსელის დანერგვა, ჰებიდან წყლის ამოღება და მისი გადატემბვა მცირე ზომის რესურსურებში, სადაც იგი გაიფლის დეზინფექციას და განაწილდება ცალკეულ მომხმარებელზე.

- სოფლის მეურნეობის გაფართოება და ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის კვლევის მხარდაჭერის პროგრამასთან ერთად, რომელიც მოხნად ისახავს მსხვილფეხა საქონლის კვების პროგრამების გაუმჯობესებას.

- მიწის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციული სისტემის განვითარების მხარდაჭერა.

- გზების სრული რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების დაწყება ძირითად ხარეაბილიტაციო ფაზაში განსაზღვრული სტრატეგიული საგზაო ქსელისთვის.

სემოაღნიშნულთან ერთად, აფახაზეთის ტერიტორიაზე ხაჭიროა ასევე შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებაც: პირველი. საკანონმდებლო გარემოს გააუმჯობესება. გაუმჯობესებული საკანონმდებლო გარემო და ბიზნესისთვის უფრო ხელსაყრელი კლიმატის შექმნა გაზრდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასშტაბებს. ხელისუფლებას შეუძლია გამოსაყლის მოძებნა კომერციული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ამოქმედებით და კომერციული საქმიანობის ხელშემწყობი საკანონმდებლო აქტების მიღებით. როგორც ნაწილი კორუფციასთან ბრძოლისა, მას შეუძლია მიიღოს ზომები მექრთამეობის წინააღმდეგ არაკეთილსინდისიერი თანამშრომლების გამოვლინების ხელშემწყობისა და კანონდარღვევისთვის სისხლის სამართლის კოდექსში მაქსიმალური სასჯელების გამკაცრების გზით. სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებში ასევე უნდა შევიდეს შესწორებები ბიზნესისა და მეწარმეთა დაცვის მიზნით. საქართველოს ბიზნესის საბჭომ უნდა გაზარდოს თავისი ძალისხმევა რეგიონში ბიზნეს საქმიანობისთვის არსებული ბარიერების მოსაშორებლად, ინვესტიციებისთვის გააუმჯობესოს ბიზნეს-კლიმატი და დახვეწოს ფინანსური და საინვესტიციო უწყებები.

მეორე. ყურადღების კონცენტრაცია სოფლის მეურნეობის სექტორზე სოფლის მეურნეობის სექტორის აღორძინების ეროვნულ გეგმას წინ უნდა უძღოდეს მიკროეკონომიკური ანალიზი. ტექნოლოგიების, „შენატანებისა“ და წარმოების ღირებულების დაბეგვრის ჩათვლით. იგივე შეეხება გადასახადებს, ტარიფებსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შესუღუღებებსაც. შეფასებას ასევე უნდა დაექვემდებაროს მი-

წახე საკუთრების უფლება, საკრედიტო მოთხოვნები და სისტემა „ფერმა-ბაზარი“. წარმოების გაზრდისთვის ფერმერებს ესაჭიროებათ სათესი და სხვა „შენატანების“, – მათ შორის პესტიციდების უფრო ხელმისაწვდომი მომარაგება. ასევე საჭიროა ფერმერებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს კრედიტები ადგილობრივად ორგანიზებული საფინანსო გაერთიანებებიდან. ადგილობრივი საგრანტო და საკრედიტო პროგრამების გასაფართოებლად შესაძლებელია ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის პროგრამის გამოყენება. ასევე დიდი პრიორიტეტია ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. დიდ შრომას მოითხოვს საირიგაციო და ხადრენაუო სისტემები, გამანაწილებელი არხები და წყალსაქანი საშუალებანი. არსებითია მიწის რეფორმა. მთავრობას შეუძლია მიწის ბაზრის სტიმულირება სოფლის მეურნეობის საეარგულების შემდგომი შესწავლა-შეფასების, რეგისტრირებისა და კლასიფიცირების გზით. უნდა გაძლიერდეს ურთიერთკონტაქტები მწარმოებლებს, დამამუშავეებებსა და ბაზრებს შორის.

მესამე, ყურადღების კონცენტრაცია დაუცველ უკუყვებზე ეკონომიკური განვითარება გამოისწვლი უნდა იყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა და მოსახლეობის სხვა, სოციალურად დაუცველ სეგმენტებზე, როგორცაა უმუშევარი და ერთი მარნენალის კმაყოფაზე მყოფი ოჯახები. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ევრაზიის ფონდის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესაძლებელი იქნება დონორებმა უსრუნველყონ მეტი გრანტებისა და სესხების გამოყოფა ისეთი მცირე ბიზნესების წამოწყებისა და დასაფინანსებლად, როგორებიცაა კერვა, კუსტარული წარმოების პროექტები, მე-

ბაღუობა, მეცხოველეობა და საცხოობი საქმიანობა. თვითგადარწმუნისთვის საქმარისი შემოსავლით უზრუნველსაყოფ ამ სისტემაში სასურველია წაერთოს ბიზნესის მენეჯმენტი და სწავლება.

შემოადნიშნულთან ერთად, საჭიროა საქართველოს ღტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ გაატაროს შემდგომი ღონისძიებები:

სამინისტროს მისია:

- დევნილთა მიმართ ახალი ხელვის შემუშავება, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უძრავი ქონების აღწერა და მათზე საკუთრების უფლების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა.

- მიგრაციული პროცესების რეგულირება.

- საქართველოში მეოფი ღტოლვილების საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

- რეპატრიანტთა და სტიქიით დასარაღებულთა განსახლება-ინტეგრაცია.

- ქართულ დიასპორაში ეროვნული ცნობიერების შენარწუნებისთვის ხელშეწყობა.

სამინისტროს მისიის რეალიზაციის სტრატეგია:

- დევნილთა ბაზის არსებულ მონაცემთა სრულყოფა და აღრიცხვიანობის მოწესრიგება; აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების მოთხოვნის უფლებების აღრიცხვა.

- ღტოლვილთა უფლებების დაცვა და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

- მიგრაციული პროცესების დასარეგულირებლად სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების შემუშავება და განხორ-

ცივლება, განსახლებებისთვის აუცილებელი ურბანული კვლევების ნატარება.

- დიასპორებთან კონტაქტების დამყარება და ხელშეწყობა ორმაგი მოქალაქეობის მისაღებად. ქართული კულტურის ცენტრების დაარსება.

საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელი შედეგები:

- დეენილთა რაოდენობის დასუსტება, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, განსახლება და ინტეგრაცია.

- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებების დაცვის გარანტიების შექმნა.

- ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

- მიგრანტთა ადგილზე დამკვიდრებისთვის ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა.

- ქართულ დიასპორაში ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება-განმტკიცება, საქართველოს აღმშენებლობის პროცესში მისი მონაწილეობა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

სამინისტროს საშუალოვადიანი პრიორიტეტები:

- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების მოთხოვნის უფლებების აღრიცხვა.

- დეენილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება მათი ინტეგრაციისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით.

- სტიქიით გამოწვეული მიგრაციული პროცესების რეგულირება და დასარაღებულთა განსახლების, ინტეგრაციისა და სრულფასოვანი დასაქმების უზრუნველყოფა

- რეპარტიანტთა განსახლება-ინტეგრაციის ხელშეწყობა.
- ღია სპორახთან ურთიერთობის დამყარება-განმტკიცება.

აფხაზეთის პრობლემები იმდენად ფართო სპექტრისა და ყოველმხომცველია, რომ ახალ მთავრობას გაუჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომის გარეშე წინ გადადგას ნაბიჯები. თემცადა, უცხოური დახმარება მხოლოდ საქართველოს პროგრესზე გამიზნულ რეფორმებზე იქნება დამყარებული. გამონაკლისია დახმარებები პუმანიტარულ და დემოკრატიზაციის დარგში. ამ მხრივ გადაუდებელ დახმარებად წაითვლება:

გაერომ სასურველია:

- გაზარდოს საკვებით გადაუდებელი დახმარება და გააფართოს ამ დარგში უსაფრთხოება „საკვები სამუშაოსთვის – პროგრამით“ (საკვების მსოფლიო პროგრამა).

- გაიზარდოს „გაეროს გენერალური მდივნის საქართველოს მეგობართა ჯგუფის“ როლი, რომელშიც შედიან შეერთებული შტატები, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო. გაფართოვდეს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მანდატი.

- გააფართოს სამოქალაქო-სახოგადოებრივი კონტაქტები ქართველებსა და აფხაზებს შორის, აქცენტით ქალთა შორის თანამშრომლობაზე და ეკონომიკურ ინტეგრაციაზე.

- განაღდოს გაეროს სამოქალაქო პოლიციის დამატებითი ჯგუფები გალის რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა რეინტეგრაციის გეგმის ხელშეწყობად.

რუსეთმა სასურველია:

- დახუროს თავისი სამხედრო შტაბი თბილისში და დაიწყო მოლაპარაკებები ბაქების გაყვანის შესახებ.

- მოახდინოს დსთ-ს სამშვიდობო ოპერაციების ინტერნაციონალიზაცია და ამგვარად ჩამოაყალიბოს რეგიონული ძალები.

- გააფართოვოს ერთობლივი სასაზღვრო პატრულირება და საქართველოსთან თანამშრომლობის სხვა მეთოდები ჩეჩნეთისა და ინგუშეთის საზღვარზე.

შეერთებულმა შტატებმა სასურველია:

- გააგრძელოს სამხედრო თანამშრომლობა „წერთისა და აღჭურვის“ პროგრამით.

- გააფართოვოს გფბ-ს ოფისი თბილისში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში სწავლების გათვალისწინებით.

- კვლავ წამოაყენოს თავისი წინადადება რუსული სამხედრო ნაწილებისა და ტექნიკის გაყვანის ხარჯების დაფარვის თაობაზე, რის შესახებაც რუსეთის მხარე დროში არარეალურად გაჭიმული გრაფიკით მოქმედების წინადადებით გამოდის.

- სხვა დონორებთან და საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან ერთად გასარდოს პოლიტიკური რეფორმებისა და პრივატიზაციის მხარდაჭერა.

- გააფართოვოს შეერთებული შტატების არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიზაციის მხარდაჭერას და ქართული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას (მაგალითად, ევრაზიის ფონდი,

ეროვნული წვლილი დემოკრატიაში, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი).

საერთაშორისო ფინანსურმა ორგანიზაციებმა სასურველია:

- გამოაცხადონ მორატორიუმი ვალების გასტუმრებაზე 2007 წლამდე (პარიზის კლუბი).

- აქციონ ქვეყნის მხარდაჭერის ცენტრალურ მიმართულუბად დახმარება კორუფციასთან ბრძოლაში (მსოფლიო ბანკი).

- განავითარონ რეფორმა ენერგეტიკის სფეროში გადასახადების ამოღების გაუმჯობესების გზით (ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი).

- უსრუნველყონ ენერგეტიკის სფეროში გადასახადების ამოღებასა და კაპიტალის გაზრდას შორის გარღვევის დაფინანსება (საერთაშორისო განვითარების ასოციაცია).

- დახმარება გაუწიონ კერძო სექტორის წარმომადგენელ ინვესტორებს პოსტ-პრივატიზაციის პერიოდში (საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია).

დონორმა ქვეყნებმა სასურველია:

- უსრუნველყონ დახმარება ენერგეტიკის დარგში სომხეთისა და რუსეთისადმი დაგროვილი დავალიანების დასაფარად. რუსეთის შემთხვევაში კი, თუ მოსკოვი შეასრულებს თავისი ბაზების გაყვანის ვალდებულებას სტამბულის ხელშეკრულების მიხედვით (ევროკავშირი და ევროპის ორმხრივი დონორები).

- წინ გადადგან ნაბიჯები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ასაღორძინებლად „დიდი აბრეშუმის გზის პროექტით“ (ევროკავშირი-ტრასეკა).

- ხელი შეუწეონ საქართველოს ბიზნესის საბჭოს მოღვაწეობას.

- გააფართოვონ სასახლერო ჯარებისა და მილსადენის უსაფრთხოების ძალთა წვრთნა.

კერძო სექტორმა სასურველია:

- დაიწეოს აფხაზეთის ტერიტორიის გაყვით კახპიის ნაეთობის ტრანსპორტირების იდეის განხორციელება – ამ ნაეთობსადენის გაყვანა.

- დაანქაროს ბაკო-თბილისი-ერზრუმის გასხადენის მშენებლობა.

- განახორციელოს ინვესტიცია ფოთის პორტში, როგორც კერძო-კოლექტიური პარტნიორობის საქალაქო სამეწარმეო სონაში.

- განახორციელოს ინვესტიცია ანაკლიის საერთაშორისო საოკეანო-სახლვაო პორტის შექქერის მშენებლობისთვის.

- ჩამოაყალიბოს პოლდინგური კომპანიები თანხების მობიდისებებისთვის ქართულ-აფხაზეური კომუნალური საწარმოების პრივატიზაციის დასასრულებლად.

ასევე უნდა გაეთვადლისწინით საერთო დაინტერესება თავისუფალი და უსაფრთხო ნაოსნობით. უნდა ვიფიქროთ სახლვაო კომუნიკაციათა უშიშროების უსრუნველსაყოფად საერთაშორისო რეგიონალური ცენტრის შექმნასე. არც ერთ ქვეყანას, როგორ მიღავრ ფლოტსაც არ უნდა ფლობდეს ის, მარტოს არ

ძალუძს სახლგაო მიმოსველის სტაბილურობის გარანტირება, მისი თავისუფლებისა და უსაფროთხოების დაცვა. მეტიც, რომელიმე სახელმწიფოს ასეთ აქტიურობას შეიძლება სხვა სახელმწიფოს ეჭვი და უნდობლობა მოჰყვეს.

ზღვასა და პაერში კომუნიკაციათა უსაფროთხოების, მათ შორის ტერორიზმიან და მეკობრეობასთან ბრძოლის ღონისძიებების საუკეთესო საშუალებაა საერთაშორისო გარანტიათა ხისტემის შემუშავება. შესაძლებელია შემუშავდეს ერთობლივი დოკუმენტი, რომელშიც დეკლარირებული იქნება შეხვედრის მონაწილეთა პოლიტიკის შეთანხმებული პრინციპები. ასეთი დოკუმენტი დაადასტურებდა კონფრონტაციის უარყოფას და პარტნიორულ ურთიერთობებზე გადასვლას.

ჩვენ არავის არ მოუწოდებთ წამოყალიბებული სამხედრო სტრუქტურების მსხვერვისკენ. ყველა ქვეყანა, თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად, თავად განსაზღვრავს, თუ როგორ აავოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობები, მათ შორის, უშიშროების საკითხებშიც.

საქართველოში მწვავე სამხედრო-პოლიტიკურ პრობლემასთან ერთად, მატულობს საფიქრალი ეკონომიკურ პროცესთა განვითარებაზე. უკანასკნელ ხანებში გამოითქმის პროგნოზები მოსალოდნელი „ეკონომიკური ცივი ომის“ შესახებ არა მარტო აზიას, ევროპასა და ამერიკას შორის, არამედ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის შიგნითაც. ამჟამად იქმნება მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თანასწორობის, ურთიერთსარგებლიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე დამყარებული ერთიანი განვითარების წინამძღვრები. შესამჩნევია აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურება. ყველგან ღრმავდება ინტეგრაციული პროცესები, იზრდება სახელმწიფოთა და ინტერესება მრავალმხრივი საეკონომიკური და სავალუტო-ფინანსური მექანიზმების ეფექტურობის განმტკიცებათა ამადლებით.

ასეთი ტენდენციები სავსებით ახახიათებს საქართველოსაც. აქ ძალას იკრებს ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები. მთავარია ამ პროცესებს გაერთიანებული ძალისხმევით მიეცეს პარმონიული და დემოკრატიული ხასიათი, რათა მათ არ მოგუქციონ ისეთი კარნაკეტილი სავაჭრო-ეკონომიკური დაჯგუფე-

ბების ნიხში, რომლებიც გამუდმებით წარმოქმნიან ეკონომიკურ უთანხმოებებს, კონფლიქტებს, ღამის აშკარა „საეაგრო ომებისა“ კი.

გასაგებია, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა საქართველოს ეკონომიკურმა როლმა აფხაზეთსა და ოსეთში მიაღწიოს თავისი შესაძლებლობების შესაბამის დონეს. აქ ხეენი მსრივ საჭიროა აქტიური „ეკონომიკური დიპლომატია“, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამეურნეო ცხოვრებაში ახალი ფორმირების ჩართვა. ამისთვის აუცილებელია შინაგან წყობაში ისეთი „ომების“ მიღება, რომლებიც ბიძგს მისცემენ აფხაზეთისა და ოსეთის რეგიონში ეკონომიკისა და ბაზრის განვითარებას, შექმნიან ინვესტიციებისთვის ხელსაყრელ პოლიტიკურ და სამართლებრივ გარემოს.

საქართველოს დღევანდელი ვითარება – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მისი მეტი გახსნილობა, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ურთიერთმიმდებრივი ფორმების დანერგვა – საფუძველს ქმნის, რომ საქართველო ჩაერთოს კონფლიქტის „ზონის“ ეკონომიკურ არქიტექტურაში, რომლის ფორმირებაც ახლა ხდება. ნეენმა ქვეყანამ უნდა მოიწადინოს, რომ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა ორგანულად დაუკავშიროს აფხაზეთისა და სამანაბლოს რეგიონში ჩამოყალიბების ფაზაში მყოფ ეკონომიკურ კომლექსს.

XX სუკუნის 90-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენცია ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია გახდა. თანდათან ნათელია, რომ სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სახლერე-

ბი უწინდელ მნიშვნელობას კარგავს და ეთნიკური იდენტიფიკაციის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად კულტურული არეალიდა რჩება. საქართველო სხვადასხვა კულტურებისა და ცივილიზაციების გზაგასაყარზე მდებარეობს. სტრატეგიული თვალსაზრისით, ეს უნიკალური მდებარეობაა, ამიტომაც, ისტორიულად, მისაღმი ინტერესი მრავალ ქვეყანას აქონდა და აქვს.

გადმოცემის მიხედვით, ბერძნული მითოლოგიის გმირი პრომეთე კავკასიონის იმ მთებზე იყო მიჯაჭვული, რომელიც საქართველოს აკრავს, პრომეთეს ქართულ ფოლკლორში ამირანი აქვია. ოქროს ვერძი ბერძენმა ია'ხონმა დასაველეს საქართველოდან, ანუ კოლხეთიდან გაიტაცა, მისი 'შემწე' კოლხი ასული მედეა იყო. 1976 წელს ამერიკელმა ხომალდმა „ნელენჯერმა“ კოსმოსში, სხვა ინფორმაციასთან ერთად, დედამიწის ცივილიზაციის ერთ-ერთ ნიმუშად ქართული მრავალხმიანი ხიმღერა „ნაკრულო“ გაიტანა. ევრაზიის სივრცეში „პირველი ევროპელის“ ნაშთები სწორედ საქართველოში, „აბრეშუმის გზის“ გზაჯვარედინზე, დმანისშია ნაპოვნი და, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ერთობლივი დასკვნით, მისი ასაკი 1.800.000 წელს აღემატება. და თუ ამ ყოველივეს იმსახაც დაეუმატებთ, რომ საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა, მაშინ ნათელი ხდება, რატომ გადაიქცა შავ და კასპის ზღეებს შორის მოქცეული ეს ქვეყანა ხალხთა და ცივილიზაციათა ისტორიულ გზაჯვარედინად.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. დასაველეს საქართველოში ჯერ კიდევ

პირველ საუკუნეში იქადაგეს ქრისტიანობა ანდრია პირველ-
წოდებულმა და სვიმონ კანანელმა, ხოლო მეოთხე საუკუნე-
ში, მირიან მეფის დროს, უკვე აღმოსავლეთ საქართველოში,
წმინდა ნინოს ქადაგებით ქრისტიანობა სასკელმწიფო რელი-
გიად გამოცხადდა.

ქართული ხელი ხალხის კულტურასა და ცხოვრების
წესშია. სწორედ ამიტომ დამპყრობლები, ქართველთა ამოძი-
ვა რომ ხერდათ, უპირველესად, ქართულ ენას, ქართულ დამ-
წერლობას სპობდნენ. ებრძოდნენ სარწმუნოებას, ვაზის
კულტურას. ადათ-წესებს – იკრძალებოდა ქართულ ენაზე
ლაპარაკი, ისპობოდა ქართული დამწერლობის ნიმუშები,
ინგრუოდა ეკლესიები. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში
– აფხაზეთსა თუ სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა თუ პერეთში
– ეკლესია-მონასტრებზე, ხიდებზე, სამწერლო ძეგლებში
მეოთხე საუკუნეიდანაა შემორჩენილი ქართული ანბანით
შესრულებული ტექსტები.

მხოვლითში დაახლოებით სამი ათასამდე ენაა, დამწერ-
ლობა კი – მხოლოდ თითხმეტი. ერთ-ერთი მათგანი ქართუ-
ლია. ითანე ზოსიმე ქება და დიდება ქართულისა ენისა
ში ქართულ ენას დმერთების ენას უწოდებს და დასძენს,
რომ მეორედ მოსელის დროს უფალი თითოეულ სვენთაგანს
სწორედ ამ ენით განსჯის.

საქართველო ტერიტორიულად პატარა ქვეყანაა, მოსახ-
ლობა მცირერიცხოვანი. მიუხედავად ამისა, იგი მეტად
მრავალფეროვანია – დიალექტებით, ვერბალური, მუსიკალური
და ქორეოგრაფიული ფოლკლორით, ეთნიკური ხასიათით,
ნაცმულობით, ადათ-წესებით, კულინარიით.

გვინდა გეჯეროდეს, რომ გლობალიზაცია ზიანს ვერ მი-
აყენებს ისეთი ქვეყნის კულტურას, როგორც საქართველოა,
რადგან საქმე სიმცირე-სიდიდე კი არ არის, არამედ თვითმე-
ოფადობა და შინაგანი სიძლიერე. დიდი ქვეყნების დახმარე-
ბითა და საერთაშორისო ინსტიტუტების მეშვეობით (იუნეს-
კო, გაერო), უნდა შეიქმნას კულტურათა დაცვის უნივერსა-
ლური მექანიზმები. კაცობრიობის სიდიადე და სიმდიდრე
ერთა კულტურულ მრავალფეროვნებაშია და ამ კულტურა-
თა ნიველირება სრულიად დაუშვებელია.

მწვერვალისკენ ბევრ გზას მიყვართო, ამბობენ აღმოსაყ-
ლეთში. უდავოა, ყველას აქვს ნება, თავისი გემოვნებისა და
შეძლებისამებრ აირჩიოს გზა, მაგრამ თუ ძალებსა და რესურსებს
გავერთიანებთ, ყველაზე უფრო ოპტიმალურ გზას მივაკვლევთ
და ერთმანეთს დავეხმარებით, მაშინ ეთნოკონფლიქტების მოგ-
ვარებას მაღეც მივაღწევთ და უფრო ნაკლები დანაკარგები-
თაც. მწვერვალისკენ საგალი გზა გაგვიადვილდება, თუ ვიუ-
ფლით ერთად და ვიხელმძღვანელებთ ერთმანეთს გადაჯაჭვუ-
ლი ისეთი კატეგორიებით, როგორც არის პატივისცემა, ნდობა,
თანამშრომლობა.

პარტნიორთა დაფასებით, მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური
ცხოვრების წესის, მათი არსევანის, მათი კანონიერი ინტერესე-
ბის პატივისცემით არის შესაძლებელი ნდობის ატმოსფეროს
შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს აფხაზეთსა და სამა-
ნაბლოსთან ურთიერთობებში მოვლენათა წინასწარ განჭკურე-
ტას, დაამკვიდრებს ურთიერთგაგებასა და იმედიანობას.

ბ ა მ (ო) მ ე ნ ე მ ბ უ ლ ო ლ ი ტ ი რ ა ტ უ რ ა

1. ასათიანი რ. „საქართველოს ეკონომიკა, წარსული, აწმყო, პერსპექტივა“ 2002წ.

2. არნვაძე ი. „თუ დაგივიწყო აფხაზეთო“, პუბლიცისტური სტატიების კრებული. თბილისი 2004წ

3. პაბუნაშვილი გ. ხუტაშვილი მ. “სოგადი ეკოლოგია და გარემოს დაცვა“ 2003წ.

4. ანდლელაძე გ. „სახელმწიფო ბიუჯეტის როლი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში“, უურნალი „პოლიტიკა“ №2. 2000წ.

5. ასლამაშიშვილი ნ. „საგადამხდელო ბალანსი და ქვეყნის გადახდისუნარიანობის დონის შეფასების პრობლემები“, უურნალი „ბანკი“, №6, 2001წ.

6. ბალცეროვიჩი დ. „თაყისუფლება და განვითარება. თაყისუფალი ბაზრის ეკონომიკა“.

პოლონურიდან მთარგმნელი – ა.გრიშიაშვილი. თბილისი 2004წ.

7. ბარბაქაძე ხ. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემა: მსოფლიო გამოცდილება და საქართველოს რეალობა“. უურნალი „ბანკი“ 1-2/2002წ.

8. ბასარია ვ. „ეკონომიკაში საგადასახადო წნეხის ოპტიმალურობის საკითხისათვის“, თბილისი, 2001წ.

9. ბახლია თ. ხილაგაძე ა. ჩიკვაძე თ. „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე“. თბილისი, 2001წ.

10. გამახურდია გ. „ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში“, თბილისი 1997.

11. გამსახურდია გ. „საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“, თბილისი, 1995.

12. გამსახურდია გ. „საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროგრამის შესახებ“, ჟურნალი „მაკროეკონომიკა“, №3, 1998.

13. გამსახურდია გ. „საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის“, ჟურნალი „ეკონომიკა“, №9-12, 1994.

14. გამსახურდია თ. „საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“, თბილისი 2003წ.

15. გამსახურდია თ. „საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“, ჟურნალი „ბანკი“, №4, 2001წ.

16. გამსახურდია თ. „საგარეო და საშინაო ვალდების მონსახურების გაუმჯობესება, როგორც საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი პრობლემა“, ჟურნალი „ბანკი“, №6, 2001წ.

17. გველესიანი რ. მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა 1999წ.

18. გოცირიძე რ. კანდელაკი თ. „გაყვანიანი ჯგუფები და კორუფცია. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მექარა“. თბილისი 2001წ.

19. ზაალიშვილი ლ. „საქართველო საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების სისტემაში“ (ეკონომიკური ასპექტები). ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხ-

ის მოხაპოვებულად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი 2003წ.

20. ზურაბიშვილი ვ. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში“, წიგნში: „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, ტომი I, თბილისი, 1996წ.

21. თოქმაშვილი მ. „რეფორმები საქართველოში: მოკლე მაკროეკონომიკური და ინსტიტუციონალური ანალიზი“, თბილისი 1997წ, კეპეკც).

22. თურნავა ნ. „ბიზნესის ლეგალიზაციის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“. ჟურნალი „ბანკი“, 2/2001წ.

23. კონჯარია ვ. „ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და გამოყენების მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში“, თბილისი, 1999წ.

24. მანაგაძე ი. „საქართველოს საბანკო სისტემა XXI საუკუნის მიჯნაზე“. „ბანკი“. №1 2000წ.

25. მადლაკელიძე თ. „ეკონომიკური უსაფრთხოება“. 2002წ.

26. მადლაკელიძე დ. „საბიუჯეტო პოლიტიკის რეგიონალური ასპექტები“, წიგნში „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, ტომი II, თბილისი, 1998წ.

27. მენქიუ გ. „ეკონომიკის პრინციპები“, 2002წ.

28. მესხია ი. „ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეპტუალური საკითხები“, ეკონომიკა. №1-3 1996წ.

29. მესხია ი. „რეგიონული საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემების თანამედროვე პრობლემები“. ჟურნალი „მიკრო-მაკრო ეკონომიკა“. 1999. №4. გვ.25.

30. მესხია ი. ბასარია ვ. „საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები“. თბილისი 2001წ.

31. მეტრეველი მ. „ტურიზმი“. თბილისი, 2003წ.

32. მექვაბიშვილი ვ. „სახელმწიფო და ეკონომიკა“. თბილისი, 1996წ.

33. ოთინაშვილი რ. „ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები“. გვ.302. თბილისი 2005წ.

34. პაპავა ვ. „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“. თბილისი, 2002წ.

35. ჟოჟუაშვილი ნ. „საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის ფორმირების პრობლემები საქართველოს ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში“, გორი, 2001წ.

36. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. მოხსენება: „ეკონომიკური ვითარება აფხაზეთში, სეპარატისტული რეჟიმის ფინანსური და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები“. VIII თავი, ფარული დახმარების წყაროები. თბილისი 1998წ.

37. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. „ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა“, თბილისი 2005წ.

38. სილაგაძე ა. „ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები“. 2001წ.

39. სილაგაძე ა. „საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სოციურთი საკითხი“, თბილისი, 1997წ, ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

40. ქისტაური შ. „ფულის ნიშნების დეფიციტი: როგორ უნდა გადავლახოთ იგი“, ჟურნალი „ეკონომიკა“, №5-6, 1992 წელი.

41. ცინცაძე „ადგილობრივი ფინანსების როლი ეკონომიკის სტაბილიზაციაში“, თბილისი, 2001წ.
42. ლაკათაძე გ. „ადგილობრივი ბიუჯეტების როლი სახელმწიფოს რეგიონალური პოლიტიკის განხორციელებაში“, თბილისი, 1998წ.
43. ლუღუშაური ლ. „კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი“, 1998წ.
44. ყორღანაშვილი ლ. „საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები“, 1997წ.
45. შიხაშვილი გ. „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ“ (1977–2004წ.წ.), თბილისი 2004წ.
46. ნიკვაიძე თ. „საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის: არსი, შინაარსი, ძირითადი პრობლემები“. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო კრებული. ტომი I. 1996წ.
47. წიქარიძე ზ. „მსოფლიო იმპერიების ისტორიული და თანამედროვე გეოპოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები და საქართველო“, თბილისი 2005წ.
48. საპატრიარქოს უწყებანი. „უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საადღვამო ეპისტოლე“. №16(369). 2006წ. 26 აპრილი–3 მაისი.
49. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიში, ‘2001 წელს გაწეული საქმიანობის და მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების შესახებ“, თბილისი 2002წ.

50. საქართველოს სახელმწიფო კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“, თბილისი, 1996წ.

51. Финансовые убежища, банковская тайна и отмывание денег: Организация объединенных наций, Нью-Йорк, 1999. 8-ое издания технической серии ЮНДКП.

52. Adams W, Brock J, Fitchett D.A. (ed), 1992. informal finance in Low-Income Countries.

53. Boulder, Westview B. Bemanke, T.Laubach, F.Mishkin, A.Posen. Inflation Targeting. - Lessons from International Experience. Princeton University. press. New Jersey. 1999

54. Torgeon L. Bastard, Keynesianism. Westport Gonnrlind London, Breenwood Press, 1996.

55. Blanchard O, 1997. The Economics of Post Communist Transformation. Oxford, Calderon Press.

56. Blanchard O, Dornbush R, Krugman P, Layard R, Summers L, 1994. Reform in Eastern Europe. Cambridge, The MIT Press.

57. **Boulding K. Conflict and Defence.** p.190-191.
58. **Campbell R.W,** 1991. **The Socialist Economies in Transition.** a Primer on Semireformed Systems. Bloomington, Indiana University Press.
59. **Chand S.K, Verhoeven M, Korczyk S, Vroman W,** 1997. **Georgia: Restructuring Social Support Systems for Sustained Adjustment.** Washington. IMF.
60. **Coser L. Continuities in the Study of Social Conflict.** N.Y. 1967. p.137
61. **S.Fisher.** The Role of Macroeconomic Factors in Growth// **Journal of Monetary Economics.** - N32(3). - 1993.
62. **Georgia's National Energy Regulatory Commission.** 2002. **Annual Report**
63. **Griffiths A, Wall S, (ed),** 1997. **Applied Economics. An Introductory Course.** Seventh Edition. London, Longman.
64. **Milanovich B.** **Income, Inequality and Poverty during the transition.** World Bank, 1997. საქართველოს მახვევებლები გაანგარშე-ბულია სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.
65. **Negru I, Ungurean S,** 2001. **Corruption and Transition Econom-ics.** Proceedings of The Georgian Academy of Scinces – Economic series, Vol. 9, No. 1-2.
66. **World Bank Technical Paper No. 423: "Non-Payment in the Elec- tricity Sector in Eastern Europe and the former Soviet Union".**
67. <http://www.mof.ge/> ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2007–2010 წწ.
68. <http://www.abkhazeti.info>
69. **ЭКОНОМИКА АБХАЗИИ, Аграрный комплекс и лесное хозяйство.** <http://www.abkhazeti.ru/pages/2/174.html>

ავტორისგან	.5
თავი I	
1. საქართველოში არსებული კონფლიქტების შესწავლა ეკონომიკური მეცნიერების თეატლსა'სრისით	12
2. ახალი ა'სროენების კურსი	31
3. აფხა'სეთი – დაკარგული და გაძარცვული სამოთხე	.38
თავი II	
ჩვენ თეატლ'ინ იქმნება საქართველოს მომავალი, ანუ ეკონომიკის მოდერნი'საციით ტერიტორიულ მთლიანობამდე.	.62
2.1 საბა'სრო ეკონომიკა'სუე გადასეღის ორი გ'სა	.64
2.2. ეკონომიკა და სახელმ'წიფო	.72
2.2.1. „ხილ'ული ხელის“ (ეტი'სი) აქტიური 'სეგავლეწით.	72
2.2.2 „უხილავე ხელის“ აქტიური 'სეგავლეწით	.77
2.2.3. „ხილ'ული“ თუ „უხილავე ხელი“ საქართველო'ში	.81
2.3. პრევატი'საციის პოლიტიკონომიური ასპექტები	88
2.4. საქართველოს უსაფრთხოების პრობლემა	.96
2.4.1. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება	.96
2.4.2. საქართველოს სოციალური უსაფრთხოება	106
2.4.3. საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოება	.111
2.4.4. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება	115
2.4.5. ეკოლოგიური უსაფრთხოება	120
2.5. საფინანსო პოლიტიკა და თანამედროვე ეტი'სუ მისი როლი საქართველოს ეკონომიკის სტაბილი'საცია'ში	124
2.5.1. საქართველოს საბიუჯეტი-საგადასახადო პოლიტიკის	

სრულყოფის აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე	128
2.5.2. საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის აუცილებლობა	.146
2.6. ბიზნესის ღეგალიზაციისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების პერსპექტივები საქართველოში	.157
2.7. ტურიზმის განვითარების პერსპექტივები	169
2.8. საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის არ- სებობის იდეა	.178
2.9 აფხაზეთის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სარკინიგ- ზო მიმოსვლის აღდგენის ეკონომიკური ასპექტები	187
2.10. აფხაზეთის ტერიტორიის გავლით ნავთობის ტრანს- პორტირების იდეა	191
თავი III	
ეკონომიკის რეფორმირების შემდგომ, კონფლიქტის აღკვე- თის თაობაზე სწრაფი რეაგირების აუცილებლობა	. 204
ბოლოთქმა	219
გამოყენებული ლიტერატურა	.224